# ახალი ეკონომისტი

ISSN 1512 - 4649

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
**სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი**

№1 2017 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
E-mail: loidk@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(44), 2017



ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგუჯა ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; მარიამ მღებრიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; ბელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკავა.



შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2017წ.
© გამომცემლობა „ლოი“



ფასი 5 ლარი

# The New ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED 1(44), 2017**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European Univercity's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Acad-

## მეცნიერება

როზეტა ასათიანი - სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა . . . . . . . . . . 7
რევაზ გველესიანი - ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ემპირიულად და ანალიტიკურად ახსნადი და შეფასებას დაქვემდებარებული ცვლილებების გათვალისწინებით . . . . . . . . . . 16
თამაზ აქუბარდია - „მარშალის ჯვარი“ და საყოველთაო კეთილდღეობის „ხუთჯვრიანი მოდელი“ . . . . . . . . . . 22
ნიკა შენგელია - მოსაზრებები ლარის სტაბილიზებაზე დოლარსა და ევროსთან მიმართებაში . . . 27
მირანდა გავაშელი - ტურიზმის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში . . . . . . . . . . 33
გიორგი დანელია - სავალუტო ბაზრის რისკები და მათი გათვალისწინება ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში . . . . . . . . . . 38
ალექსანდრე ნაჭყებია – კონტროლინგის სისტემის ფორმირების აქტუალური საკითხები . . . . . . 43
Карбетова Ш.Р. , Курманкулова Н.Ж. , Карбетова З.Р. - ЭФФЕКТИВНАЯ ТЕХНОЛОГИЯ ОРГАНИЗАЦИИ ВРЕМЕНИ ДЛЯ СОВРЕМЕННОГО МЕНЕДЖЕРА . . . . . . . . 47
მერი დაუშვილი - საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკა საბაჟო სტატისტიკაში . . . . . . . . 52
ელენე ბრატიაშვილი - ქალთა ჩართულობის პრობლემები სამხედრო სამსახურების მართვაში . . 59
სოსო სონღულაშვილი - სწრაფი ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება ევროპის ქვეყნებში . . . . . . . . . . 65
ეკატერინე ლომია - ომი ბუნებრივ რესურსებზე კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში . . . . . . . 70
ზოდვა რადისი - კულტურა, როგორც გენდერული დისკრიმინაციის წყარო და რასობრივი განსხვავებები სამუშაო ადგილზე . . . . . . . . . . 74
სნოტილე მხიზე - აპარტეიდის მუდმივი მემკვიდრეობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სისტემაში . . . . . . . . . . 80

## ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

ანი ჭიჭინაძე - აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი . . . . . . . . . . 86
ანა მურაჩაშვილი - მიხეილ ჭიაურელი . . . . . . . . . . 88

# CONTENTS

## SCIENCE

**Rozeta Asatiani** - The social market economy as the highest form of civilization . . . . . . . . . . 7

**Revaz Gvelesiani** - Economic and political decision-making empirically and analytically explained and subjected to evaluation of changes . . . . . . . . . . 16

**Tamaz Akubardia** - "Marshall's Cross" And the "Five Cross" Model of Common Welfare . . . . . . . . . . 22

**Nika Shengelia** - Considerations of GEL stabilization to US dollar and Euro . . . . . . . . . . 27

**Miranda Gavasheli** - The role of tourism in the national economy . . . . . . . . . . 33

**Giorgi Danelia** - Currency Market Risks and their role in economic decision making process . . . . . . . . . . 38

**Aleksandre Nachkebia** - Actual issues of controlling system formation . . . . . . . . . . 43

**Karbetova Sh.R., Kurmankulova N.Zh., Karbetova Z.R.** - Effective technology of time-management for modern menejer . . . . . . . . . . 47

**Meri Daushvili** - The specifics of using Index methods in Customs Statistics . . . . . . . . . . 52

**Elene Gratiashvili** - Women's Participation Problems in Military Management . . . . . . . . . . 59

**Solomon Songulashvili** - Regulation of Express Loans Organization's Activity in European Countries . . . . . . . . . . 65

**Ekaterine Lomia** - War on Natural resources in the Democratic Republic of the Congo . . . . . . . . . . 70

**Memory Zodwa Radasi** - Culture as a source of gender discrimination and racial differences in a workplace . . . . . . . . . . 74

**Snothile Ntombikayise Mkhize** - The perpetual legacy of apartheid in South African higher education . . . . . . . . . . 80

**OUR FAMOUS COUNTRYMEN** . . . . . . . . . . 86

# სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა



როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი, თსუ-ს რექტორის მრჩევეთა საბჭოს წევრი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, გამომცემლობა „სიახლის" პრეზიდენტი.
ტელ.: 599530487
ელ. ფოსტა: marinassati@gmail.com

*მსოფლიოში სოციალურობის გაძლიერების ტენდენციამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო, თანდათან ყალიბდება „კეთილდღეობის სახელმწიფო". ეს პროცესი დაიწყო კიდეც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც პროგრესის, სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი. ყოველივე ეს საბაზრო ეკონომიკას პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანს ხდის. ამიტომაც ამბობენ, რომ მომავალი კეთილდღეობის სახელმწიფოს ეკუთვნის.*

*ნაშრომში განხილულია ფრაიბურგის სკოლის „წესრიგის" ორდოლიბერალური კონცეფცია და „მესამე გზის" თეორია, საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერების წანამძღვრები, კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები, სოციალური სტრატიფიკაციის თეორია და სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც საბაზრო სისტემის განსაკუთრებული ფორმა.*

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად დაიწყო ნეოლიბერალური იდეების განვითარება, რომლებიც დაუპირისპირდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ თეორიას. შეიქმნა კვლევითი ცენტრები ახალი ისტორიული სკოლის, ნეოკლასიკური და ტრადიციული ლიბერალიზმის ბაზაზე, სადაც დაიწყო სახელმწიფო რეგულირების ალტერნატიული მეთოდების შემუშავება. ნეოლიბერალური კვლევების ყველაზე მსხვილი სკოლები, გარდა აშშ-ისა, ჩამოყალიბდა გერმანიასა და ინგლისში. აშშ-ში ეს იყო ჩიკაგოს მონეტარიზმის სკოლა (ლ. მიზესი, მ. ფრიდმენი, ა. შვარცი...), გერმანიაში – ორდო ლიბერალიზმის ფრაიბურგის სკოლა (ვ. ოიკენი, ლ. ერჰარდი, ა. მიულერ-არმაკი, ი. რიოპკე, ა. რიუსტოვი...). ინგლისში – ლონდონის სკოლა (ფ. ჰაიეკი, ლ. რობინსი...).

ფრაიბურგის სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა ვ. ოიკენმა (1891-1950) გერმანიაში საფუძველი ჩაუყარა ნეოლიბერალიზმის ორთოლიბერალურ მიმართულებას და შექმნა მისი მეთოდოლოგია „წესრიგის ორთოლიბერალური კონცეფციის" სახით. ასევე, ლ. ერჰარდმა (1897-1977), ა. მიულერ-არმაკმა (1901-1978), ვ. რიოპკემ (1899-1966), ა. რიუსტოვმა (1885-1963) და სხვებმა ისტორიული სკოლის, ნეოკლასიკურისა და ტრადიციული ლიბერალიზმის იდეების სინთეზის საფუძველზე შექმნეს მოძღვრება სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ.[1]

ფრაიბურგის სკოლის ორთოლიბერალიზმს ტრადიციულ ლიბერალიზმთან აერთიანებს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ინდივიდუალური თავისუფლების იდეა. ამასთან, ორთოლიბერალები, ლიბერალებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ პროცესებს განიხილავდნენ არა მიკრო-, არამედ მაკროეკონომიკური პოზიციებიდან და მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის იდეას. თუმცა, კეინზიანური მოდელისგან განსხვავებით, ორდოლიბერალიზმი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაცილებით შეზღუდულ მასშტაბებს გულისხმობდა და, რაც მთავარია, ჩარევის ობიექტად ორდოლიბერალები მიიჩნევდნენ არა უშუალოდ კვლავწარმოების პროცესს, არამედ მეწარმეობისა და კონკურენციის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს.[2]

ჯონ მეინარდ კეინზი კაპიტალიზმის უმთავრეს პრობლემად თუ მიიჩნევდა ერთობლი-

1 სილაგაძე ა. ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, „ინოვაცია", 2010.
2 Megay E. N. Anti-Pluralist Liberalism: The German Neoliberals. “Politikan Science Quarterly”, Vol. 85, N. 3. 85(3). 1970, pp. 422-442.

ვი მოთხოვნის უკმარისობას, რომლის გარეშეც ეკონომიკა კარგავს განვითარების სტიმულებს, გერმანელი ნეოლიბერალები კაპიტალიზმის მთავარ პრობლემად ეკონომიკის მონოპოლიზაციას აღიარებდნენ. შესაბამისად, მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება, არამედ კონკურენტული გარემოს შექმნა, კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის რეგულირება, სამართლებრივი გარემოს შექმნა, ეკონომიკაში როგორც პირდაპირი, ისე არაპირ დაპირი მეთოდებით ჩარევა. აქედან გამომდინარე, მათი პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენდა: 1) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა; 2) მონეტარული სტაბილურობა; 3) ბაზრების გახსნილობა; 4) გარიგებებისა და კონტრაქტების დადების თავისუფლება; 5) მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება მათზე, რომლებიც პასუხს აგებდნენ სამეურნეო სუბიექტების მოქმედებებზე; 6) ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულობა და სხვ.

ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკურ იდეებს, რომლებიც გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად, მოქნილ ფისკალურ და ფულად-საკრედიტო ანტიციკლურ პოლიტიკას, 40-იანი წლებიდან დაწყებული დიდი წარმატება მოჰყვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. ორდოლიბერალებმა მას დაუპირისპირეს თანმიმდევრულობა ეკონომიკურ პოლიტიკაში: სამეურნეო პროცესებზე სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედებას ისინი დასაშვებად მიიჩნევდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, მაშინ, როდესაც ეკონომიკა განიცდიდა ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენას.

აღსანიშნავია, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ორთოლიბერალების თეორია ვერ იქნებოდა გამოყენებული, რადგან იმდროინდელ გერმანიაში შეიქმნა ვითარება, როდესაც აუცილებელი გახდა ეკონომიკაში უფრო მოქნილი მეთოდებით სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედება, ვიდრე ამას გულისხმობდნენ ორდოლიბერალები.

მოსახლეობა, 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ გავლენით მხარს არ უჭერდა კონკურენციის იდეას. ამ გარემოების გათვალისწინებით, გერმანელმა ნეოლიბერალებმა განავითარეს „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფცია, რომელსაც საფუძველად დაედო ა. მიულერ-არმაკის წიგნი „ეკონომიკის რეგულირება და საბაზრო მეურნეობა“ (1947).

თუ სოციალურ სამართლიანობად ვ. ოიკენი შემოსავლების საბაზრო განაწილებას მიიჩნევდა, ა. მიულერ-არმაკი მხარს უჭერდა სოციალური კომპენსაციის პრინციპებზე დაფუძნებულ აქტიურ სოციალურ პოლიტიკას. სოციალური კომპენსაციის მთავარ ინსტრუმენტებად იგი მიიჩნევდა მაღალი შემოსავლების პროგრესიულ დაბეგვრასა და სახსრების გადანაწილებას დაბალშემოსავლიანი სოციალური ფენების სასარგებლოდ. ამისათვის კი გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო დოტაციები შვილების აღზრდისათვის, ბინის ქირის გადასახდელად, საკუთარი საცხოვრებლის ასაშენებლად, აგრეთვე, სოციალური დაზღვევა უმუშევრობისა და ავადმყოფობის შემთხვევებში, ადამიანისთვის ღირსეული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ.

ამ იდეების პრაქტიკულ განხორციელებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმდროინდელ ჯერ ვიცე-კანცლერს და შემდეგ კანცლერს ლუდვიგ ერჰარდს.* სოციალური საბაზრო ეკონომიკის ძირითად მიზნებად იგი მიიჩნევდა თავისუფლებასა და სამართლიანობას, ამასთან, თვლიდა, რომ ეკონომიკური თავისუფლება შეუძლებელია პოლიტიკური თავისუფლების გარეშე, ადამიანის უფლებების სახელმწიფო გარანტიების, სოციალური დაცულობის გარეშე.**

მართალია, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია წარმოიშვა ორდოლიბერალიზმის იდეებიდან, ეს კონცეფცია არ არის ორდოლიბერალიზმის იდენტური, რადგან იგი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე – აქტიურად სრულყოს საბაზრო გარემო და ამავდროულად უზრუნველყოს სოციალური ინტერესების ბალანსი. ვ. ოიკენის ორდოლიბერალიზმისაგან განსხვავებით, რომლის თანახმად, სოციალური პრობლემების გადასაჭრელად საკ-

* საინტერესოა ა. რიუსტოვის შეხედულება მონოპოლიების შესახებ. მისი აზრით, ეკონომიკურ ცხოვრებაში მონოპოლიების გაბატონება Laissez-faire-ს პოლიტიკის შედეგია, რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია აქტიური ეკონომიკური პოლიტიკით, მათ შორის, ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარებით.

* ლ. ერჰარდი სოციალური საბაზრო ეკონომიკის (მეურნეობის) დოქტრინის ერთ-ერთი ავტორია, რასაც მისი ნაშრომები ადასტურებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა: „კეთილდღეობა ყველასათვის“ (1956) და სხვ.

** სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნეოლიბერალური მოდელი საფუძვლად დაედო ცნობილ გერმანულ „ეკონომიკურ სასწაულს,“ რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ლ. ერჰარდის სახელს.

მარისი იყო სახელმწიფოს მიერ კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა,ა. მიულერ-არმაკის კონცეფციის თანახმად,სოციალური საბაზრო ეკონომიკა, როგორც მარეგულირებელი პოლიტიკის იდეა,მიზნად ისახავს თავისუფალი მეწარმეობისა და სოციალური პროგრამების თანაარსებობას კონკურენტული ეკონომიკის საფუძველზე.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს მესამე გზას laissez-faire-ის ეკონომიკურ ლიბერალიზმსა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის. ამიტომ იგი „მესამე გზის" თეორიითაა ცნობილი და ინსპირირებულია ორდოლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ქრისტიანული ეთიკის იდეებით. „მესამე გზის" თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა მონეტარული, საკრედიტო, სავაჭრო, საგადასახადო, საბაჟო, საინვესტიციო და სოციალური პოლიტიკის კომბინაციით მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებასა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზე.

შემთხვევითი არ იყო, რომ მოსახლეობა მხარს არ უჭერდა ზემოხსენებული „კვლევითი ცენტრების" იდეებს. „დიდი დეპრესიისა" და მეორე მსოფლიო ომის გავლენით გაღატაკებულმა საზოგადოებამ უაღრესად დაბალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში თავიანთი მხარდაჭერა გამოხატეს ჯონ მეინარდ კეინზის მაკროეკონომიკურ თეორიაზე მორგებული იდეების მიმართ.

40-იანი წლების დასაწყისში ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე შექმნილი მონოპოლიზირებული ეკონომიკის „მკურნალობა" კონკურენციის განვითარებით ნაადრევი იყო, ამიტომაც მოსახლეობა არ უჭერდა მხარს კონკურენციის იდეას, ხოლო კეინზის მულტიპლიკაციური ეფექტი მიმზიდველი შეიქმნა საზოგადოებისათვის.

მოსახლეობის მხარდაჭერამ პოზიტიური როლი შეასრულა „კეინზიანური რევოლუციის" სახელწოდებით ცნობილ მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებაში. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში კეინზიანური თეორიის პოსტულატების გატარებით „ველური" კაპიტალიზმის ისტორიაში ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით დაიწყო ახალი ათვლის წერტილი, ჩამოყალიბდა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, რომლის 70–წლიანი ევოლუციური გზით განვითარების შემდეგ დღეს, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებში მიმდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გადაზრდა.

ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის პროგრამებს უჭირავს.

სოციალურად ორიენტირებულმა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებმა, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მაღალ დონეს, შეძლეს გამოეყოთ სოლიდური სახსრები დარიბების დასახმარებლად და ჯანდაცვის დაფინანსებისათვის.

ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ, კანადა და ა.შ. ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის" სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ლომის წილი მიუძღვის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესსა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც პროგრესის, სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.

სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის რეალურ შესაძლებლობას ეკონომიკის დარგის ექსპერტები და მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა სოციალური საბაზრო ეკონომიკის შექმნაში ხედავენ, ხოლო სოციალური საბაზრო ეკონომიკის გასაღებს – კონკურენციის დაცვასა და განვითარებაში.[3]

სიღარიბე, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, უდიდესი „თავსატეხია" არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ამიტომ სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ სფეროში აუცილებელია როგორც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობისათვის, ისე საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვისაც. ეს უკანასკნელი თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონეზე.

მეტწილ განვითარებულ ქვეყანაში სახელმ-

[3] http://economylit.online/obshie-rabotyi_719/nestabilnost-funktsio-nirovaniyaryinochnoy.html

წიფო ფინანსების საფუძველზე შემუშავებულია სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის პროგრამები. მათ ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა, ზოგიერთი პროგრამა შეიძლება დაფინანსდეს კერძო წყაროებიდანაც. პროგრამები ითვალისწინებს შემოსავლების გარკვეული ნაწილის გადასახადებით ამოღებას მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებიდან და დახმარების სახით მათ გადანაწილებას მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილ ფენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროგრამები არ არის მისაღები მოქალაქეთა იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც იხდიან გადასახადებს და არ იღებენ დახმარებას, მაინც ყველა განვითარებული და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა იყენებს სოციალური დახმარების ფართო ქსელს.

ამჟამად აშშ-ში სოციალური დაცვის სისტემა მრავალფეროვანია და შედგება ორი სხვადასხვა ჯგუფის პროგრამებისაგან: კერძოდ, სადაზღვევო ტიპისა და სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული პროგრამებისგან.

ამ პროგრამებს კეთილდღეობის მაკონტროლებელ პროგრამებს უწოდებენ.

სადაზღვევო ტიპის პროგრამები გათვალისწინებულია იმისათვის, რომ როგორც ოჯახებმა, ისე ცალკეულმა პირებმა განსაზღვრულ პირობებში შეინარჩუნონ გარკვეული ცხოვრების დონე.

გარდა ამისა, არსებობს საკმაოდ ფართო მასშტაბის კერძო პროგრამები – კერძო საპენსიო სისტემები, რომლებიც ფინანსდება დაქირავებულთა სახსრების ხარჯზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კერძო პროგრამები არაპირდაპირი გზით სუბსიდირდება, რაც იწვევს ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების შემცირებას. საქმე ისაა, რომ ცალკეულ მოქალაქეთა ან კომპანიის კერძო შეწირულობა არ შედის დასაბეგრ შემოსავლებში და ამდენად, ამცირებს საგადასახადო შენატანებს. ანალოგიურად, ის თანხა, რომელსაც სადაზღვევო დახმარების სახით გასცემს კომპანია თანამშრომლებზე, გამოირიცხება დახმარების მიმღებთა დასაბეგრი შემოსავლიდან.

ზოგიერთი პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ მარტოხელა დედებისადმი დახმარებას, ან იმ ოჯახების დახმარებას, რომელთა მთავარმა მარჩენალმა დაკარგა სამუშაო. არის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს დახმარებას 65 წელს ზევით ასაკის ინვალიდებისათვის ან პენსიების გაცემას ვეტერანებისათვის. არსებობს ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადზე საგადასახადო შეღავათების დაწესების პროგრამა.

სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს კვების ტალონების გამოყენებას. ეს არის უნივერსალური პროგრამა, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ყველა იმ პირთა კატეგორიას, რომელთა შემოსავალი დაბალია სიღარიბის ოფიციალურ მონაცემზე, სიღარიბის ზღვარზე.

აშშ-ში ცნობილია უფასო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო სოციალური პროგრამა – „მედიკერი" და მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების დაცვის სოციალური პროგრამა – „მედიკეიდი." ეს ფართომასშტაბური პროგრამები, აშშ-ში, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 60–იანი წლებიდან გამოიყენება.

სიღარიბესთან ბრძოლის ამერიკული მოდელი ითვალისწინებს აგრეთვე, საგადასახადო მექანიზმის გამოყენების საფუძველზე, მდიდრების შემოსავლების ნაწილის გადანაწილებას მოსახლეობის იმ სოციალურ ჯგუფებზე, რომელთა შემოსავლები საშუალოზე დაბალია. შემოსავლების გადანაწილების ეს ამერიკული მოდელი „რობინ გუდის ეფექტის" სახელწოდებითაა ცნობილი. მიუხედავად სახელმწიფო ფინანსების ფართოდ გამოყენებისა და მთავრობის აქტიური მონაწილეობისა ამერიკელთა სოციალური პრობლემების გადაჭრაში, საგადასახადო პოლიტიკა აშშ-ში მკაცრი კრიტიკის ქვეშაა და პერმანენტულ ცვლილებებს განიცდის.

აშშ-ში სოციალური დაცვის პროგრამები საკმაოდ მრავალმხრივია (ასევე, კანადაშიც), თუმცა მას არა აქვს სოციალურ ჯგუფებს შორის ინტერესების შეჯერების მძლავრი „ჩაშენებული" მექანიზმები. ცნობილია, რომ აშშ-ს, უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანას, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, რანჟირების მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ეს მაჩვენებელი XXI საუკუნის დასაწყისში 7434 მლრდ დოლარს შეადგენდა,[4] ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე 27590 დოლარს[5] მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2015 წელს კი, შესაბამისად, – დაახლოებით 18 ტრილიონსა და 55837 დოლარს. ამიტომაცაა, რომ მას შეუძლია გაიღოს მნიშვნელოვანი სოციალური ხარჯები ღარიბებისათვის. ამჟამად აშშ-ში სოციალურ პროგრამებზე

[4] მსოფლიო ციფრებში. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე", 2000, გვ. 18.
[5] იქვე, გვ. 20.

იხარჯება მშპ–ის 11%. ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა. მიუხედავად ამისა, სიღარიბე მწვავე პრობლემაა აშშ-სთვისაც, რასაც ადასტურებს შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი მაჩვენებლები.

ამასთან, შემოსავლების დიფერენციაციის მაჩვენებლები აშშ-ში უფრო მაღალია, ვიდრე ევროპაში, რასაც ეკონომისტები ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციის სხვადასხვა დონით ხსნიან: აშშ-ში ეკონომიკის ლიბერალიზაცია ტრადიციულია და უფრო მკვეთრად არის გამოხატული, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც ეკონომიკაში ლიბერალიზმი მნიშვნელოვან ადგილს სახელმწიფო სოციალური პატერნალიზმის ტრადიციებს უთმობს. თუ შემოსავლების დეცილური კოეფიციენტი აშშ-ში არის 13 : 1-თან,* კვინტილური კოეფიციენტი არის 6 : 1–თან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი იგი შეადგენს 4-5 : 1–თან, თუმცა, შვედეთში ეს მაჩვენებელი არის 3 : 1–თან.*

საყურადღებოა ავსტრიელი ეკონომისტისა და სოციოლოგის მაქს ვებერის (1864 – 1920) შეხედულება სოციალური უთანაბრობის, აქედან გამომდინარე, სიღარიბისა და სოციალური დიფერენციაციის შესახებ. მან შეიმუშავა სოციალური სტრატიფიკაციის თეორია, რომელიც საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პრობლემას იკვლევს. ეს თეორია სოციალურ უთანაბრობას განიხილავს როგორც საზოგადოებისათვის შინაგანად დამახასიათებელ თვისებას, ხოლო ვ. პარეტო (1848–1923), რომელმაც განავითარა ეს შეხედულება, სოციალური სტრატიფიკაციის გასაღებად ფსიქოლოგიურ საწყისს თვლიდა.

მართლაც, ამ მსჯელობებში არის რაციონალური მარცვალი. ამიტომაც არის, რომ სიღარიბის აბსოლუტური დაძლევა შეუძლებელია. იგი ყველგან არის, მაგრამ, მთავარია, სიღარიბე სოციალურად ასატანი იყოს. სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და დონე განსხვავებულია. ამის გამოა, რომ სოციალურ სტრატიფიკაციას პირამიდის ფორმა აქვს.

როგორც ცნობილია, საზოგადოება შედგება მრავალი ფენისგან (სტრატა), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ საკუთრების ფორმის მიხედვით, არამედ სოციალური სტატუსით, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებით და ა.შ. მოკლედ, საკითხი ეხება უთანაბრობისა და კეთილდღეობის დონეს, რომელიც, ბუნებრივია, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში.**

სოციალური სტრატიფიკაციის თეორიის მიხედვით, სოციალური უთანაბრობის კვლავწარმოებას ახდენს ყოველი ახალი თაობა, ამიტომ საზოგადოების დიფერენციაციას ბიოლოგიური საფუძველი აქვს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის პროგრამებს უჭირავთ.

სოციალური უსამართლობა და სოციალური კატასტროფები, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება საბაზრო კონკურენციის შეზღუდვით, ხელისუფლებასთან ბიზნესის შერწყმით. მთავარი ძალა, რომელიც წინ ეღობება საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, არის ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ძალაუფლება, რომელიც წარმოშობს უსამართლობას ეკონომიკაში და საერთოდ, საზოგადოებაში. ამიტომ ეკონომიკის დაცვა ხელისუფლების ინტერვენციისაგან ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგალითად, მთავრობა ცდილობს სოციალური პრობლემები გადაჭრას შემოსავლების გადანაწილებით (უმუშევართა დახმარება და სხვ.), მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ჯერ კარგად გაგვერკვია ამ საკითხის არსი: მწვავე სოციალურ პრობლემებს ხომ არ წარმოშობს ხელისუფლების გაბატონება ეკონომიკაში? თუ ეს ასეა, მაშინ გადანაწილების სისტემა მკაცრად უნდა გავაკრიტიკოთ,ვინაიდან იგი არაპირდაპირი გზით იცავს ხელისუფლების პოზიციას. ამიტომ სოციალური პოლიტიკა – ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა და გადანაწილების პოლიტიკა – სპეციალური განხილვის თემაა, რომელზედაც

* დეცილური კოეფიციენტი (ლათ. დეცი – მეათედი) გამოხატავს თანაფარდობას 10% ყველაზე შეძლებული შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებისა და 10% ყველაზე ღარიბი შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებს შორის.

* კვინტილური კოეფიციენტი (ლათ. ქუინტა – მეხუთედი) გამოხატავს თანაფარდობას 20% ყველაზე შეძლებული შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებისა და 20% ყველაზე ღარიბი შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებს შორის.

** სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში სიღარიბისადმი განსხვავებული მიდგომაა. მაგალითად, გერმანიაში ღარიბად თვლიან ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა ხელფასი საშუალო ხელფასის ნახევარზე ნაკლებია.

დღეს მწვავე კამათი მიმდინარეობს პოლიტიკურ წრეებში თუ მეცნიერ-ეკონომისტებში. ეს გასაკვირი არც არის. ჩვენ ხომ ეკონომიკური აზრის განვითარების სრულიად სხვა ეტაპზე ვიმყოფებით, ვიდრე ამ აზრის ფუძემდებლები იყვნენ!

განვითარებულ ქვეყნებში უკვე დადგა ისეთი პერიოდი, როდესაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ხელისუფლების ძალაუფლების დამღუპველ გავლენას ეკონომიკაზე. მეტიც, არ არის ერთიანი მიდგომა საბაზრო ეკონომიკის, როგორც კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის მაღალი ფორმის, შეფასებისადმი. საკმაოდ გავრცელდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც საბაზრო ეკონომიკა დეგრადაციას განიცდის და ამიტომ რეფორმირებას საჭიროებს.

დისკუსია განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს „სოციალურის", როგორც სოციალური პოლიტიკის ცნების, გარშემო. იგი, ბუნებრივია, გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში, რაც ეწინააღმდეგება საბაზრო კონკურენციის პრინციპებს. ამიტომ დღეს მწვავედ დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წინააღმდეგობის დაძლევა „სოციალურსა" და „საბაზროს" შორის. ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზას დასავლეთში მეცნიერ–ეკონომისტები ხედავენ სოციალური საბაზრო ეკონომიკის, როგორც საბაზრო სისტემის ახალი, უმაღლესი ფორმის შექმნაში.

ცნობილია ასეთი გამონათქვამი: კონკურენცია არის არა ველური, არამედ კულტურული მცენარე, რომელიც მოვლას მოითხოვს. სოციალური პრობლემები ხელისუფლების ინტერვენციული პოლიტიკის შესუსტებისაკენ მიმართული რადიკალური ღონისძიებების გატარებით უნდა გადაიჭრას. ამიტომაცაა, რომ დღეს საბაზრო ეკონომიკას სოციალური პოლიტიკით განასხვავებენ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. ეს მეტად საგულისხმო მოსაზრებაა. ნებისმიერმა ქვეყანამ, დიდი იქნება ის თუ პატარა, განვითარებული თუ განვითარებადი, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ შედარებით ახალ ეკონომიკურ აზრს (ჩვენთვის უახლესს), რომელსაც სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორია ეწოდება.

„წონასწორობა" მაშინ მყარდება ქვეყანაში, როდესაც ხელისუფლება კონკურენციულ პოლიტიკას ატარებს. ამიტომაცაა აღიარებული, რომ კონკურენციული პოლიტიკა საუკეთესო სოციალური პოლიტიკაა. ეს არის მთავარი, განმსაზღვრელი ეკონომიკურ პოლიტიკაში. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკას, იგი განსაკუთრებული სფეროებისთვისაა გათვალისწინებული და სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება სოციალურ პროგრამებსა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხზე, მის განვითარებაზე.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ყველაზე ცუდი ის არის, რომ მსხვილი ბიზნესმენები ადგილს იკავებენ ხელისუფლებაში და ამით კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ მონოპოლიურ პოზიციებს ბაზარზე.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიაში ხაზგასმითაა აღნიშნული ის, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის მჭიდრო თანამშრომლობა, ურთიერთშეთანხმება და ინტერესების შერწყმა ყველა სოციალური უბედურების მიზეზია. ამიტომ კანონმდებლობა წინ უნდა აღუდგეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მცდელობას. ეს მნიშვნელოვანწილად ხსნის „კონტროლიორების გაკონტროლების" პრობლემას.

სოციალური პოლიტიკის ჭეშმარიტი აზრი მდგომარეობს როგორც ქვეყნისათვის, ისე სამეურნეო სუბიექტებისათვის გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებაში. ამით ეკონომიკის სფეროში ყალიბდება თავისუფალი საბაზრო სივრცე. ამიტომაცაა, რომ დასავლეთ ევროპაში ამჟამად „ჩაკეტილი", ინტერვენციული სოციალური პოლიტიკის ადგილს იკავებს „ღია", სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა. ამ გზით მიმავალი ქვეყნები დღეს უპირატესობას ანიჭებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სისტემის ორგანიზაციას, თვითდასაქმების სისტემის განვითარებასა და არა სოციალური დახმარების ჩვეულებრივ, შეიძლება ითქვას, ვადაგასულ სისტემას.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვაოთ საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველი არის ლიბერალური საზოგადოებები, რომელთაც მიაღწიეს მატერიალური სიმდიდრის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო მაგალითია აშშ და კანადა. მაგრამ ამ ქვეყნებს არა აქვთ სოციალურ ჯგუფებს შორის ინტერესების შეჯერების მძლავრი „ჩაშენებული" მექანიზმები. ამის საწინააღმდეგოდ, პატარა დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგალითად ავსტრია, ბელგია, შვეიცარია და ა.შ., შეიძლება მი-

ვაკუთნოთ ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკას სწორედ იმის გამო, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემები მიმართულია სოციალური თანხმობისა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის მიღწევისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური მაჩვენებლებით ეს ქვეყნები ბევრად ჩამორჩებიან აშშ-სა და კანადას. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 2015 წლის მონაცემებით, ცხოვრების ხარისხისა და „კომფორტულობის" კრებსითი ინდექსის* მიხედვით, 188 ქვეყანას შორის მსოფლიოში პირველ ადგილზეა შვეიცარია (222,94), მეორე ადგილზე – გერმანია (195,94), ხოლო, 193,86 ინდექსით, მესამე ადგილზეა შვედეთი.**

ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელთა სისტემის უფრო დეტალური სტრუქტურის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა №1 ნახაზი.

№1 ნახხაზი

ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა




სოციალური დაცვის სისტემის განვითარებისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო ხარჯების პრობლემები სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემებია, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

ძირითადი ცნებები

„წესრიგის" ორდოლიბერალური კონცეფცია. „მესამე გზის" თეორია. სოციალური საბაზრო ეკონომიკა. „რობინ გუდის ეფექტი". კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები. დეცილური კოეფიციენტი. კვინტილური კოეფიციენტი. სადაზღვევო ტიპის პროგრამები. სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები. „ჩაკეტილი" ინტერვენციული სოციალური პოლიტიკა. „ღია" სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა. სოციალური სტრატიფიკაციის თეორია. სოციალური დიფერენციაციის მოდელები. კონკურენციული პოლიტიკა.

* ცხოვრების ხარისხის მიხედვით 64,96 ინდექსით საქართველო 57-ე ადგილზეა.

** ცხოვრების ხარისხის ინდექსი (Quality-of-Life index) გამოითვლება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, უმუშევრობის დონე, შრომისუნარიანი მოსახლეობის და საქმების საშუალო წლიური ზრდა, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა, ბავშვთა სიკვდილიანობის დონე, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, სასჯელმისჯილთა რაოდენობა და ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, გარემოს დაცვის დონე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თეორია. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2016;
2. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. მეორე გამოცემა. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2015;
3. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2014;
4. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, გენეზისი. „ეკონომისტი“, 2016, №3;
5. ასათიანი რ. კონკურენციის თეორიები და ახალი ინოვაციური სისტემა. „ახალი ეკონომისტი“. 2016, №2;
6. ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015;
7. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;
8. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი, თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;
9. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწავლების აუცილებლობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. „სოციალური ეკონომიკა“, 2014, №1;
10. ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი პრინციპების რეალიზაციის არსებული მდგომარეობა საქართვე ლოში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2013, №12;
11. ასათიანი რ. სახელმწიფო როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თანხმობის გარანტი. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 28-29 ივნისი, 2012;
12. ასათიანი რ. ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;
13. ასათიანი რ. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. 2011, №2;
14. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2009;
15. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და სოციალური რეფორმები. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2008;
16. ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005;
17. ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4;
18. ასათიანი რ. „ახალი სოციალური საკითხი“ და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. „შრომები“. II ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2001;
19. ასათიანი რ. საქართველოს სოციალური სტრატიფიკაცია ეკონომიკური რეფორმების ფონზე. „ეკონომიკა“. 2000, №9-12;
20. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993;
21. ლეიაშვილი პ. ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2017;
22. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, „ინტელექტი“, 2015;
23. პაპავა ვ. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. „ეკონომიკა“, 1995, №7-9;
24. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, „ივერიონი“, 2012;

25. satiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publishers Inc, 2011;

26. Asatiani R. Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol3(2-3), Volume 3, Issue 4, “Ca&CC Press”, Sweden, 2009;

27. Asatiani R. The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol 1(3), Sweden, “Ca&CC Press”, 2007;

28. Asatiani R. Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Vol. 169, number 2, March-April, 2004;

29. Atkinson A. B., Stiglitz J. E. Lectures on public economics. 1980;

30. Business Forecast. by; http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitive-nessReport_2010-11.pdf

31. Coase R. The Problem of Social Cost. “Journal of Law and Economics”. Vol. 3, 1996;

# ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ემპირიულად და ანალიტიკურად ახსნადი და შეფასებას დაქვემდებარებული ცვლილებების გათვალისწინებით



რევაზ გველესიანი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ–გერმანული ინსტიტუ-ტის დირექტორი.
ელ.ფოსტა: rewas_von_gwelessiani@yahoo.com

*რეალური ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემები გადაწყვეტილების მიღების თეორიის თვალსაზრისით არ არის ადვილად გადასაჭრელი. ამიტომაც მიზანშეწონილია, რომ გადაწყვეტილების მიღების პრობლემების გამომხატველი კატეგორიები ჩამოვაყალიბოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ხერხდება მათი ახსნა ემპირიული და ანალიტიკური ასპექტით და რამდენად ფართოა ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ცვლილებების დიაპაზონი.*

*აქედან ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა ისეთი სპექტრი იქმნება, რომელიც რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში სისტემურ ცვლილებებს იწვევს. სწორედ ამ სპექტრის საფუძველზე აიხსნება ის, რომ შესაძლებელია ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა დასაბუთებული მომზადება და მიღება.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებების მომზადება და მიღება, ინტერესთა ჯგუფები, თანმიმდევრული რეფორმები, სოციალური ტექნიკა, გლობალური და შეზღუდული ცვლილებები, ცვლილებების შეფასება.*

აქედან ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა ისეთი სპექტრი იქმნება, რომელიც რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში სისტემურ ცვლილებებს იწვევს. სწორედ ამ სპექტრის საფუძველზე აიხსნება ის, რომ შესაძლებელია ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა დასაბუთებული მომზადება და მიღება. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების შესაძლებლობების შეფასება

დასაბუთებული ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადება და მიღება დამოკიდებულია იმაზე თუ ერთი მხრივ, რამდენად კარგად არის ემპირიულად უზრუნველყოფილი მოქმედების შესაძლებლობები და მათიშედეგები, ე.ი. რამდენად რაციონალურია მართვის შესახებ არსებული და მისაღები ცოდნა, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად ექვემდებარება ანალიტიკურ ახსნას გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების პრობლემა (გადაწყვეტილების ლოგიკიდან გამომდინარე) მას შემდეგ, რაც იგი პრობლემის შესაბამისი მეთოდების საფუძველზე ჩამოყალიბდა [1, გვ.400-401].

მართვის პრაქტიკული ცოდნა, როგორც წესი, მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო ნაკლებად ითვალისწინებს რეკომენდირებული მოქმედებები წარსულში მოღვაწეობას ან მისგან თავის შეკავებას (ე.ი. რაც უფრო დაშორებულია ისინი თეორიულ-ეკონომიკურ გამოცდილებას). გადაწყვეტილების მომზადების და მიღების პრობლემის ანალიტიკური წვდომა გაძნელებულია კარგად გააზრებული მოქმედებების კომპლექსურობით. გადაწყვეტილების პრობლემის ეკონომიკურ-პოლიტიკური სტატუსისა და დიაპაზონის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გაცნობიერებული ნავარაუდევი მოქმედებები, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიზნად დასახული ცვლილებები და განვითარება.

ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების და მიღების პრაქტიკის გამოცდილებათა გათვალისწინებით შესაძლებელია ეკონომიკურ-პოლიტიკურ პრობლემათა კლასიფიცირება კარგად გააზრებული ცვლილების ემპირიული და ანალიტიკური ახსნის შესაძლებლობითა და ეკონომიკურ-პოლიტიკური გა-დაწყვეტილებით ნავარაუდევი ცვლილების დიაპაზონისმიხედვით [2, გვ. 62]; [3, გვ.63].

ვინაიდან ცვლილებათა დიაპაზონის განსაზღვრა შეფასების პრობლემაა, ამიტომ თავიდანვე გამორიცხულია შესაძლო ცვლილებათა რანგის თაობაზე სრული თანხმობის მიღწევა. ეს სიძნელე შესამჩნევი ხდება, როგორც კი კონკრეტული საკითხი დაისმება.

ფართომასშტაბიანი თუ შეზღუდული ცვლილებების ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმზე თანხმობა შეიძლება მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში გვქონდეს. ამავე დროს კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ვითარება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით მოსულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ვოლუნტარისტულად მიიღოს. კარგად გააზრებული ცვლილებების ემპირიული და ანალიტიკური ახსნის მახასიათებელს კონტინუუმის წესი წარმოადგენს. ხშირად შესაძლებლობათა სფეროს ერთ მხარეს მოთავსებულია ცვლილებები, რომელთა შესახებ არც შეფასებები გაგვაჩნია და მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირზე არც თეორიული ცოდნა გვაქვს. ამასთან, ემპირიულ ინფორმაციასაც მოკლებული ვართ.

შესაძლებლობათა სფეროს მეორე მხარეს კი აუცილებლად გვაქვს არგუმენტირებადი და შეფასებას დაქვემდებარებული ცვლილებები, რომლებიც გადაწყვეტილების მომზადების და მიღების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ცოდნასთან დაკავშირებით აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების თეორიის საზღვრებშია და რომლებიც მის თვალთახედვის არეში არ შედის. პრობლემების პირველი კატეგორია დომინირებს რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური პოლიტიკის ყოველდღიურ „რუტინაში“. ამასთან, მართვის ცოდნის დონე ერთგვაროვანი არ არის. ისიც შესაძლებელია, რომ გაცნობიერებული ცვლილებები შეფასებებში დაშვებული ცდომილებების შედეგებად მივიღოთ. რაც შეეხება გლობალურ ცვლილებებს, ისინი შედარებით იშვიათია. ამგვარი ცვლილებების მაგალითად საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შეცვლა შეიძლება დავასახელოთ. ზოგადად, განსხვავებულად ფასდება, როგორც ასეთი ცვლილებები, ისე ის როლი, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკა რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში თამაშობს. იგულისხმება, რომ ეკონომიკა, როგორც საზოგადოებრივი ქვესისტემა სხვა არაფერია, თუ არა შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების განვითარების მიზნებზეა ორიენტირებული. საზოგადოებრივი წესრიგის შეცვლის შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ:

- ევოლუციურ სისტემათა ფორმირების მიზანზე ორიენტირებულ შესაძლებლობათა სკეპტიკური შეფასება. იგი გულისხმობს, რომ ამგვარი სისტემები წარმოადენს საზოგადოებებს (კრიტიკული რაციონალიზმის ინდივიდუალური ასპექტით) და
- შესაძლებლობათა ფორმირების ოპტიმისტური შეფასება კონსტრუქციული რაციონალიზმის პოზიციიდან, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში, როცა იგი საზოგადოების შესახებ კოლექტიურ შეხედულებას უკავშირდება [1,გვ.402].

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობათა არარაციონალურ შეფასებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა უგულვებელყოფილია გადაწყვეტილების მიღების საზღვრები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრობლემის გადაწყვეტისას არსებული ცოდნა უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ასეთი ცოდნის საზღვრების ცოდნასაც გულისხმობს [4, გვ.64] და შემდეგი მოთხოვნის წინაშე გვაყენებს: საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, ნებისმიერი შეზღუდული ცვლილება მაქსიმალურად სისტემურად უნდა გავიაზროთ და მეორე მხრივ, როგორც გადაწყვეტილების მომზადების პროცესის ორგანიზება, ისე მასზე ორიენტირებული მთელი ძალისხმევა ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზსა და მის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებს უნდა დაემყაროს.

ამ პოსტულატის პირველ ნაწილში ნაგულისხმევი პროცედურა ყველაზე დამაჯერებლად თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკის ფორმულირებით პოპერს ეკუთვნის [5]. მეორე ნაწილი კი ზემოთაღნიშნული სოციალური ტექნიკის პრაქტიკულ გამოყენებას ეხება. იგივე მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ლინდბლომ მის [6, გვ.298-312]; [2]. მიერ შემოთავაზებული მეთოდი, რომელიც ერთმანეთისაგან იზო-ლირებულ, თანდათანობით ცვლილებებს გულისხმობს.

თანმიმდევრული რეფორმების გატარების სოციალური ტექნიკა არსებულ შესაძლებლობებს ემყარება. „უგეგმოდ მოქმედების" პოლიტიკა ვერ იყენებს ყველა შანსს, რომელსაც მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, რაციონალური პროცედურა გვაძლევს. ადამიანური ცოდნის შეზღუდულობის გაცნობიერება ღრმა ეჭვს ბადებს იმასთან დამოკიდებულებაში, რასაც პოპერი უტოპიურ სოციალურ ტექნიკას უწოდებს [5, გვ.157]. საქმე ეხება იმ კონსტრუქტივისტულ პოზიციას, რომლის

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მიხედვითაც საზოგადოებრივი იდეალის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გლობალური გეგმის საშუალებით. პოპერის თვალსაზრისით: იდეალის შესახებ წარმოდგენები, გაბატონებულ ნაკლოვანებებთან შედარებით, ძნელად გასაგები და შესაფასებელია. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია არსებობს თუ არა ისეთი საზოგადოება, რომელსაც იდეალურად მიიჩნევს არამარტო ახლანდელი, არამედ მომავალი თაობებიც. ამასთან, საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების ველი იმდენად კომპლექსურია, რომ შეუძლებელი ხდება იმის შეფასება, თუ რამდენად რეალიზებადია მისი გლობალური და მრავალმხრივი ცვლილების გეგმა; რამდენად არის შესაძლებელი სიტუაციის გაუმჯობესება, რას უნდა მოველოდეთ ამ გეგმის განხორციელებიდან და რა ხარჯებთანაა იგი დაკავშირებული [5, გვ.158].

თანმიმდევრული რეფორმების პოლიტიკის გატარებით გამოწვეული ცვლილებები და მოსალოდნელი შედეგები თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკა რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოდელია, რომლის მიხედვითაც გაცილებით ადვილია: საზოგადოებრივი ნაკლოვანებების დადგენა, ვიდრე მისი იდეალური მდგომარეობის განსაზღვრა; კონკრეტული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ორგანიზება, ვიდრე იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის საზოგადოება და მისი რეალიზების მიზნით გაერთიანება; ასევე შეზღუდული ცვლილებების შემთხვევაში გვერდითი შედეგების გაცნობიერება და სათანადო ტექნოლოგიის შესახებ ცოდნის შეძენა; მათი განწყობის შეფასება, ვისზეც კონკრეტულმა შეზღუდულმა ცვლილებებმა პოზიტიური ან ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა.

პოლიტიკური იდეების ფორმირების დეცენტრალიზებული და დემოკრატიული პროცესი უფრო მეტ შანსს გვაძლევს იმისათვის, რომ უამრავ შეფასებათა შორის კომპრომისს მივაღწიოთ. აგრეთვე აუცილებელია პროგრესირებადი ცვლილებების მნიშვნელობის თანმიმდევრული აღიარება. თუ აღმოვაჩენთ, რომ შეზღუდული ცვლილებების შედეგები მცდარად არის შეფასებული, მათზე დანაკარგებიც შემცირდება. ამასთან, გაცილებით ადვილია შეზღუდული ცვლილების შესაძლო წარუმატებლობის მიზეზების დადგენა და მისი აღმოფხვრისათვის სათანადო დამხმარე საშუალებების მობილიზება, ვიდრე ეს მოქმედების გლობალური პროგრამის ჩავარდნის შემთხვევაშია შესაძლებელი. ასე, რომ შეზღუდული ცვლილებების განხორციელება ბევრად უფრო ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული. თანაც, მიღებული გადაწყვეტი ლებები უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არც დემოკრატიული მეთოდები ირღვევა.

ეკონომიკურ პოლიტიკასთან დამოკიდებულებაში ასეთი სოციალური ტექნიკა მიზნად ისახავს საწყისი მდგომარეობის ნაწილობრივ, მაგრამ საგრძნობ გაუმჯობესებას. ნიშანდობლივია ისეთი სამიზნეების არსებობა, როგორიცაა მაგალითად, ინფლაციის დონის შეზღუდვა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სასუქების შეტანის შემცირება, დამოკიდებული დასაქმებიდან თვითდასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობა, ვაჭრობის არასატარიფო შეზღუდვების გაუქმება, ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება და ა.შ. პრაქტიკულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სამიზნეები არ გამორიცხავს პროგრამულად განსაზღვრულ გრძელ ვადიან მიზნებს, როგორიცაა მაგ., ფასების სტაბილურობა, გარემოს გაუმჯობესება, ან სოციალური უსაფრთხოების ხარჯების შემცირება. პრაქტიკული პროცედურის შემთხვევაში საქმე ეხება ისეთი ცვლილებების დაგეგმვას, რომლებიც არადამაკმაყოფილებელი სიტუაციიდან გამოყვანას და არა „საბოლოო მიზნებამდე" მიყვანას გვპირდება.

მთავარი სიძნელე იმაშია, რომ ხსენებული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობის საფუძველზე უნდა იქნას განხილული. გადაწყვეტილების მიღების გლობალური წესის ძიება ამ შემთხვევაში ამაო იქნებოდა. პირიქით, ყველა ცდილობს თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტულ ცვლილებასთან დაკავშირებით უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვოს. უმრავლესობის ორგანიზება კი პოლიტიკის შემოქმედთა ამოცანაა. საყოველთაოდ ცნობილია ასეთი პროცესის ნაკლოვანებები: ამბიციური რეფორმისტული იდეის მოკლევადიანი მანევრით რეალიზების მცდელობა და იმ პირებს, რომლებსაც შეეხოთ ცვლილებები, ან არ აქცევენ ყურადღებას მათ ან სათანადოდ არ ითვალისწინებენ ამ ცვლილებებს. მაგრამ დემოკრატიის, როგორც ასეთის, სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დღეს არ არსებობს უკეთესი მეთოდი, რომელიც რეფორ მების აბსოლუტურად უკონფლიქტოდ (თუ საჭიროა იმ პირის შეცვლის გზით, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს) გატარებისა და მისი ცვლილებების საშუალებას მოგვცემდა.

განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში (როგორიცაა, აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვა) ჩნდება მასშტაბურ რეფორმებზე

მოთხოვნილება, როგორც შედეგი იმისა, რასაც „ინსტიტუციურ სკლეროზს” უწოდებენ. ინტერესთა ჯგუფების რენტის მაძიებელი ფუნქციონერები და პოლიტიკური აქტიორები, რომლებსაც ხელახალი ვადით არჩევა სურთ, ეკონომიკური მოვლენების პარალიზებას იწვევენ. ამ ასპექტით რეფორმები გამიზნულია ტრადიციულ რენტასა თუ პრივილეგიებზე და ამდენად იგი რენტის ძიებისა და შექმნის პროცესად წარმოგვიდგება. ეს კი იწვევს მათ მიმართ ინტერესთა ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების მხრიდან წინააღმდეგობის პროვოცირებას. როცა პოლიტიკური აქტიორები, როგორც პიროვნულად, ისე ფინანსურად არიან გადაჯაჭვული ინტერესთა ჯგუფებ თან, მაშინ რეფორმებისადმი სწრაფვა არსებით შეფერხებას განიცდის და მისი ბლოკირება პოლიტიკური აქტიორების მხრიდან ხდება [7, გვ.179].

დემოკრატიული მეთოდებისა და ეტაპობრივი რეფორმების საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა. ამის წანამძღვრად უნდა ავიღოთ ინტერესთა ისეთი ჰარმონია, რომლის დროსაც გამორიცხულია შეხედულებებსა და ინტერესებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობა [3, გვ.63]. ამიტომ ასეთი სოციალური ტექნიკა ყველაზე უკეთ იმ საზოგადოებებს მიესადაგება, რომლებშიც კონსენსუსი სუფევს, როგორც ძირითადი ღირებულებების არსებითი შინაარსის, ისე მიზნად დასახული სოციალური ცვლილებების ზოგადი მიმართულების მიმართ [6, გვ.30]. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს კონცეფცია, რომელსაც შეუძლია უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ სოციალური ტექნიკა არ არის დეზორიენტირებული. ასეთი კონცეფცია არც მყარ საზოგადოებრივ იდეალზეა ორიენტირებული, რომელიც ნაცვლად უზარმაზარი ნახტომისა, პატარპატარა ნაბიჯებით მიიღწევა. აღნიშნული კონცეფცია ცვლილებას განიცდის, თუმცა ამ შემთხვევაში ნავარაუდევი წესრიგის პოლიტიკა მუდმივ ამოცანად რჩება [8, გვ.244].

რამდენადაც ეტაპობრივი რეფორმების შანსი პოლიტიკური პრაქტიკის საფუძველზე მცირდება, ამდენად მათი კორექტურა ყოველთვის სოციალური ტექნიკის ამოცანას წარმოადგენს. პრობლემათა გადაწყვეტა დამოკიდებულია დემოკრატიულ პროცედურათა წესების მუდმივ გაუმჯობესებაზე და არა ახალი და უკეთესი კადრების ძიებაზე. ისიც ცნობილია, რომ პრობლემის გადაწყვეტის ადამიანური შესაძლებლობები ერთობ შეზღუდულია. საქმე ეხება ისეთი ინსტიტუციური დონისძიებების გატარებას, რომლის დროსაც ში-ალედური დონის გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ უმნიშვნელო და ადვილად გამოსწორებად შეცდომას უშვებს. ამავე დროს არ არსებობს აბსოლუტურად სანდო ინსტიტუტები. მათი ფუნქციონირების უნარი დამოკიდებულია იმ ადამიანების პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებზე, რომლებიც ამ ინსტიტუტებს აყალიბებენ [4, გვ.66].

თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალურ ტექნიკას ხშირად აკრიტიკებენ არა მარტო უტოპიური სოციალური ტექნიკის მომხრეები, არამედ საზოგადოების სხვა რადიკალური რეფორმატორებიც. საქმე ეხება მის კრიტიკას იმ ასპექტით, რაც გულისხმობს საზოგადოების გარდაქმნას დემოკრატიული მე-თოდებ-ითა და სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ინსტიტუტების საშუალებით. ამასთან იმასაც „ამტკიცებენ“, რომ ასეთი სოციალური ტექნიკა თითქოსდა: „შინაგანად იცავს სისტემას,” აფერხებს პროგრესს, ამართლებს ეკონომიკური პოლიტიკის სიხისტეს და მხარს უჭერს „კონცეფციის არქონის კონცეფციას“ [1, გვ.407].

ცვლილებები ყოველთვის არ არის საზოგადოებრივი პროგრესის ტოლფასი. თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა სისტემური ტექნოლოგიის ცოდნის შეძენის საშუალებას გვაძლევს. ეს კი დახმარებას გვიწევს იმ დებულებების ჩამოყალიბების პროცესში, რომლებიც კარგად გააზრებული ცვლილებების სარგებელსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულებას გამოხატავს. ცვლილებათა მიმზიდველობის წარმოსაჩენად გაწეული ხარჯები ეკონომიკური პოლიტიკის სიხისტის გამოხატულება როდია, უფრო მეტად იგი აქტიურობისაგან განსხვავებული რაციონალურობაა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რეფორმებზე უარის თქმაც აუცილებლად რეაქციონერული ქცევა კი არა, ზოგჯერ ეს სავსებით რეფორმისტული მოვლენაა [8, გვ.245].

თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა სწორედ იმის საწინდარია, რომ ეკონომიკური პოლიტიკა დილეტანტებმა ბოროტად არ გამოიყენონ. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში დილეტანტების აქტივობა საზოგადოებრივი პროგრესის ბლოკირებას იწვევს და კონცეფციის გარეშე მოქმედების გამართლებას უწყობს ხელს.

ცოდნის შეზღუდულობის აუცილებელი შედეგი ის არის, რომ რეფორმებმა შესაძლებელია კრახი განიცადოს. ამიტომ რაციონალური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ცდომილების შესაძლებლობა თავიდანვე იყოს გათვალისწინებული.

ეს იმ მოთხოვნის მართებულობასაც მოწმობს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ შეზღუდული, თანმიმდევრული ცვლილებებია გამართლებული. იგი საშუალებას გვაძლევს, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში მისი მიზეზების შესახებ სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. ამგვარი ცოდნა აუცილებელია წარმატებული კორექტირების განსახორციელებლად. მისი შეძენა შესაძლებელია შედეგების მუდმივი და დეტალური კონტროლის საფუძველზე. ეს კი გულისხმობს მზადყოფნას იმისათვის, რომ შეცდომები ვეძებოთ და შეცდომებზე ვისწავლოთ. აქედან გამომდინარე, თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკა ცდისა და შეცდომის გამოსწორების მეთოდთან მსგავსებას ადასტურებს [4, გვ.87].

ზოგადად რეფორმები არ არის ორიენტირებული საზოგადოების იმ წევრებზე, რომლებიც მათზე მექანიკურად რეაგირებენ. პირიქით, ეს სუბიექტები ცდილობენ წინასწარ გამოიცნონ რეფორმათა პოლიტიკური შედეგები და თუ მიზანშეწონილად მიიჩნევენ თავიანთ გეგმებში გაითვალისწინონ. პოლიტიკასა და სუბიექტებს შორის ურთიერთობა, რომელიც ძალზე წააგავს თამაშს, ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში ტენდენციური რაციონალური მოლოდინის დასაბუთებას წარმოადგენს. იგი ამავე დროს მართვასთან დაკავშირებული თავისებური პრობლემების მიზეზიცაა. შეუძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არაგონივრულმა მოქმედებამ იმ ადამიანებში ეჭვის ზრდა არ გამოიწვიოს, ვისაც ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები ეხება. ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით ასეთი ეჭვი არასასურველ რეაქციებს იწვევს, რაც აძნელებს ეკონომიკურ პოლიტიკური გამოცდილების შეცნობას. გამოცდილების დაგროვების მცდელობას ისიც აძნელებს, რომ რეალობაში ერთმანეთისაგან არასაკმარისად დამოუკიდებელ სხვადასხვა პოლიტიკურ ველზე ერთდროულად უამრავი ცვლილება ხორციელდება, რაც განყენებული მიზეზების ძიების პროცესს ზღუდავს.

იმისათვის, რომ რეფორმები გამოცდილების შესაბამისად განხორციელდეს, აუცილებელია საკმარისად გრძელვადიანი პოლიტიკური მხარდაჭერა. რეალობაში ასეთი მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამომრჩეველთა მოუთმენლობა, შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ოპორტუნისტულად განწყობილი საპარლამენტო ოპოზიცია (ან ხელისუფლება) – სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც რეფორმების დროზე ადრე შეწყვეტას ან მოდიფიცირებას განაპირობებს.

თანმიმდევრული რეფორმები არ ჰგავს საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ექსპერიმენტებს. ის მიზეზები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს, საზოგადოების მართვის საზღვრებსაც ცხადყოფს, რომლებშიც იერარქიულად ყველაზე მაღალ საფეხურზე პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებები და უფლებები დგას. ამიტომ შედეგი რაციონალურობის პოსტულატის ამოცანაა რ არის. პირიქით, საქმე ეხება თანმიმდევრული რეფორმების პოლიტიკის კონტროლისა და დაცვის დამატებითი დემოკრატიული მეთოდებით უზრუნველყოფას. ეს ხორციელდება იმისათვის, რომ არ დაირღვეს მართვის შესაძლებლობათა საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეფემერული კანონმდებლობის შედეგად განხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციათა სერია და დაიკარგებოდა თავისუფლება. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების თვალსაზრისითაც ფაქტობრივი პროგრესის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

დაგროვილი უამრავი გადაუჭრელი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა მძიმე ტვირთად აწვებოდა გადაწყვეტილების მიმღებთ და მათ ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალური ცვლილებებისკენ უბიძგებდა. წესრიგის თეორიის ასპექტით ეჭვს არ იწვევს ის, რომ პრობლემები სისტემის მემკვიდრეობას წარმოადგენს. რეალიზებული და ფუნქციონირებადი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვაძლევს იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა ევლოთ განვითარებად ქვეყნებს და გათვლა რა კონკრეტულ შედეგებზე უნდა გაეკეთებინათ. როგორც თანამედროვე, ისე წარსულში არსებული მდგომარეობა გადაწყვეტილების მიმღების პოზიციიდან მხოლოდ ერთჯერადი მოქმედებების შემთხვევებია და მათ ისტორიული ღირებულება აქვთ. გადაწყვეტილება კი უფრო ინტუიციასა და გამბედაობას ემყარება, ვიდრე სარგებელისა და ხარჯების ანალიზსა და ცივი გონებით გაანგარიშებას [9, გვ.155].

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალურ გარდაქმნას სხვადასხვა საფუძველი აქვს. ეს იმაზეც არის დამოკიდებული თუ როგორ გავიაზრებთ გარდამავალი პერიოდის პრობლემებს. ერთი პოზიციიდან, როცა გლობალური გარდაქმნა გარდაუვალი და სასურველია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას სიტუაციაზე მორგების ხარჯებსაც ითვალისწინებენ. გერმანელი რეფორმატორი ლუდვიგ ერჰარდი, როცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სავალუტო რე-

ფორმისათვის იბრძოდა, ერთობლივ ეკონომიკურ რეკომენდაციებზე დაყრდნობით წერდა: „ეს საფინანსო-ეკონომიკური რეფორმა შედარებით ადვილი ამოცანა იქნებოდა, მაგრამ ზუსტი გაანგარიშების შემთხვევაშიც კი გაუთვალისწინებელი რჩება უამრავი სოციალური მოთხოვნილება და ეკონომიკური შესაძლებლობა... ამდენად მე, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სავალუტო რეფორმაში აშკარად ნაგულისხმევი მსხვერპლი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა რეფორმებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ტვირთი პატიოსნად არის გადანაწილებული” [10, გვ.45].

არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ისტორიული იძულების რწმენას, არამედ კონსტრუქციულ მიდგომასა და ნდობას იმის მიმართ, რომ შესაძლებელია იდეალის მიხედვით საზოგადოების მოდელირება. არ არსებობს ეჭვი ისეთი საზოგადოებრივი წყობის არსებობის შესახებ, რომელიც მომავალი თაობებისთვისაც დამაჯერებელი იქნება. ამ პოზიციაზე მყოფთ არც იმაში ეპარებათ ეჭვი, რომ შესაძლებელია იდეალის ისეთი სიზუსტით აღწერა, რომ შესაბამისი მიზნები იქნას დასახული და წარმატებით განხორციელდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart. S.400-401; 402; 407.
2. BRAYBROOKE, D. und CH.E. LINDBLOM (1963), A Strategy of Decision - Policy Evaluation as a Social Process, London. S.62.
3. JOCHIMSEN, R. (1967), Strategie der wirtschaftspolitischen Entscheidung. Weltwirtschaftliches Archiv 99 (1967/II), S.63.
4. POPPER, K.R (1957a), The Poverty of Historicism, 6. Aufl., Neudruck, London 1999. Ubersetzt in: KIESEWETTER, H. (Hrsg.), Gesammelte Werke 4, Das Elend des Historizismus, 7. durchges. u. erg. Aufl., Tuebingen 2003. S.64; 66.
5. POPPER, K.R. (1945), The Open Society and its Enemies, Vol. 1 - The Spell of Plato, Golden Jubilee Edition, London 1995. S.157; 158.
6. LINDBLOM, CH. E. (1958), Policy Analysis. American Economic Review 48, S.298-312; 30.
7. STREIT, M. E. (2004), Die Misere des deutschen Verbaendestaates, in: ZfW, 54 Jg. Wiederabdruck in: ders. (Hrsg.), Contributiones Jenenses Bd. 9, Baden-Baden 2004. S.179.
8. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., (2012), ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი, გვ.244; 245 (ქართულ ენაზე).
9. DROR, Y. (1964), Muddling Through - „Science” or Inertia? Public Administration Review 24, S.153-157; 155.
10. ERHARD, L. (1962), Deutsche Wirtschaftspolitik - Der Weg der Sozialen Marktwirtschaft, Duesseldorf u.a. S.45.

# „მარშალის ჯვარი“ და საყოველთაო კეთილდღეობის „ხუთჯვრიანი მოდელი“



თამაზ აქუბარდია
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი
e-mail: akubardia_tamaz@yahoo.com

„ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ვისაც სურს კარგად მოაწყოს სახელმწიფო, მან უნდა გაანთავისუფლოს მოქალაქენი ყოველდღიურად საარსებო საშუალებებზე ზრუნვისგან.“

არისტოტელე

*ნაშრომში განხილულია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ,,ხუთჯვრიანი მოდელი". რამდენადაც რესურსების ეფექტიანი განაწილება საბაზრო წონასწორობის შემთხვევაში, წონასწორობის წერტილის მდებარეობით კი არ არის განსაზღვრული, არამედ იმით, თუ რამდენად განსხვავდება ფასი წონასწორული მდგომარეობიდან, ამდენად დგება საკითხი, თუ რამდენად ეფექტიანია საზოგადოებისათვის წონასწორობის წერტილის ის სიდიდე, რომელსაც ბაზარი აწესებს. საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციისათვის, საზოგადოებამ უნდა მოახერხოს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობითა და იმ ფასებში წარმოება, რომ წონასწორობის წერტილის შედეგად მიღებული მთლიანი დანაზოგი საზოგადოებრივი აზრითაც იყოს მაქსიმალური. ამისათვის, საზოგადოების მიერ წარმოებული ერთობლივი პროდუქტი დაყოფილ იქნა ოთხ დიდ ჯგუფად, სადაც განმასხვავებელ ნიშნად აღებულ იქნა ფასები და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. ,,მარშალის ჯვარის" ოთხი შესაძლო კომპონენტის ჯამური სიდიდე შეესაბამება მოდელის გრაფიკზე მის ცენტრში გამოსახული ,,მარშალის ჯვარის" მდებარეობას. მისი კონკრეტული მდებარეობა განისაზღვრება თითოეული ,,მარშალის ჯვრის" ხვედრითი წილით მთლიანად წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში და იმის მიხედვით, თუ როგორ პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო, შეიძლება მისი მდებარეობის ისეთი გადაადგილება, რომ მთლიანი დანაზოგი საზოგადოებრივი აზრით იყოს მაქსიმალური.*

ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ საბაზრო წონასწორობისას, როგორც მყიდველები, ასევე გამყიდველები მაქსიმალურ სარგებელს იღებენ, რადგან ამ დროს მთლიანი დანაზოგის სიდიდე მაქსიმალურია და, ამდენად, შეუძლებელია ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც მოხმარების მყიდველთა შორის განაწილების, ასევე წარმოების გამყიდველთა შორის განაწილების შეცვლის გზით.

აქედან გამომდინარე, კითხვაზე, - შესაძლებელია თუ არა მთლიანი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საქონლის რაოდენობის გაზრდის, ან შემცირების გზით? - ეკონომიკური თეორია უარყოფითად პასუხობს, რაც იმ არგუმენტაციას ემყარება, რომ თავისუფალ ბაზარზე იწარმოება საქონლის ის რაოდენობა, რომელიც ახდენს მომხმარებელთა და მწარმოებელთა ერთობლივი დანაზოგის მაქსიმიზაციას.

მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ მოთხოვნის მრუდი ასახავს მყიდველთა შეფასებას, ხოლო მიწოდების მრუდი - გამყიდველთა დანახარჯებს, მაშინ, იმ შემთხვევაში, როდესაც რაოდენობა წონასწორულ დონეზე ნაკლებია, მყიდველების შეფასება გამყიდველების დანახარჯებზე მეტია და,

შედეგად, რაოდენობის გაზრდა იწვევს მთლიანი დანაზოგის გაზრდას და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ რაოდენობა წონასწორულ დონეს არ მიაღწევს.

ზუსტად ასევე, წონასწორულ დონეზე მეტი რაოდენობის შემთხვევაში, მყიდველების შეფასება გამყიდველების დანახარჯებზე ნაკლებია, ამიტომ წონასწორულ რაოდენობაზე მეტის წარმოებისას მთლიანი დანაზოგი მცირდება.

ამგვარად, ეკონომიკური თეორიის თანახმად, მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობა ახდენს სამომხმარებლო და მწარმოებლის დანაზოგების ჯამის მაქსიმიზაციას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წონასწორობისას ხდება რესურსების ეფექტიანი განაწილება.

თუ კარგად დავუკვირდებით, რესურსების ეფექტიანი განაწილება წონასწორობის შემთხვევაში, წონასწორობის წერტილის მდებარეობით კი არ არის განსაზღვრული, არამედ იმით, თუ რამდენად განსხვავდება ფასი წონასწორული მდგომარეობიდან. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, მართებულია, მაგრამ თავისთავად ისმის საკითხი, თუ რამდენად ეფექტიანია საზოგადოებისათვის წონასწორობის წერტილის ის სიდიდე, რომელსაც ბაზარი აწესებს?

თავისთავად ბაზარი სრულიად ნეიტრალურია, უფრო მეტიც, ერთგვარად ინდიფერენტულია იმის მიმართ, თუ სად კვეთენ ერთმანეთს მოთხოვნა-მიწოდების მრუდები.

რამდენადაც თავად ამ მრუდების გადაკვეთის წერტილი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, ამდენად, ეს გადაკვეთა შესაძლოა ნებისმიერ წერტილში მოხდეს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნა-მიწოდების მრუდების მდებარეობაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ამ მრუდების ურთიერთმდებარეობას, ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც ზემოქმედებენ, როგორც მოთხოვნის მრუდის, ასევე მიწოდების მრუდის გადაადგილებაზე, როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივ.

ამგვარად, ის, თუ კონკრეტულად სად მოხდება მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაკვეთა, ბაზარს არც ,,აინტერესებს'' და, რაც ნიშანდობლივია, ვერც ,,დააინტერესებს,'' რადგანაც ბაზარი მხოლოდ ის მექანიზმია, სადაც მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო ძალები საკუთარ რეალიზებას ახდენენ, რომლის შედეგადაც ყალიბდება საბაზრო წონასწორობა.

მაგრამ, ის, რაც ბაზრისათვის სრულიადაც არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობის მქონე ფაქტორს, საზოგადოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. კერძოდ, საზოგადოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც იმას, თუ სად გადაკვეთენ ერთმანეთს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები, ასევე იმას, თუ რამდენად შესაძლებელია წონასწორობის წერტილის იმდაგვარი გადაადგილება, რომ იგი საზოგადოებისათვის მაქსიმალურად მისაღები გახდეს.

ამ უკანასკნელის ქვეშ კი იგულისხმება მოთხოვნა-მიწოდების მრუდების ისეთი მდებარეობა, როდესაც მათი გადაკვეთის წერტილის შესაბამისი საქონლისა და მომსახურების ფასი და რაოდენობა საზოგადოებისათვის მაქსიმალურად მისაღები იქნება.

როგორც ეკონომიკური თეორიიდან ასევე არის ცნობილი, არსებობს უამრავი რაოდენობა ფაქტორებისა, რომლებიც ინდივიდუალური მოთხოვნისა და მიწოდების მრუდებს გადააადგილებს ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით. მაგალითისათვის, შეიძლება გავიხსენოთ მოთხოვნის მრუდზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა - შემოსავალი, მოლოდინი, გემოვნება და ა. შ., ხოლო მიწოდების მრუდზე მოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია, - ფაქტორთა ფასები, ტექნოლოგია, გამყიდველთა რაოდენობადაა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ამიტომ, შესაძლებელია იმის დაბეჯითებით თქმა, რომ ყოველთვის არსებობს მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებზე ისეთი მიზანმიმართული ზემოქმედების შესაძლებლობა, რომ მიღებულ იქნას წონასწორობის წერტილის საზოგადოებრივად სასურველი სიდიდე.

ამგვარად, საზოგადოებას შეუძლია ,,თამაშის წესების'' მისთვის საჭირო ტრანსფორმაცია იმ ფორმით, რომ მიიღოს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაკვეთის მისთვის სასურველი წერტილი.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საბაზრო ძალების ფუნქციონირების შედეგები, სწორედ იმის გამო, რომ ისინი შედეგებისადმი სრულიად ინდიფერენტულები არიან, რიგ შემთხვევებში საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელია, რაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ე.წ. ,,საბაზრო ჩავარდნის'' სახელითაა ცნობილი.

დღეისათვის, ეკონომიკურ ლიტერატურაში ,,საბაზრო ჩავარდნის'' ორ უმთავრეს სახეზეა ძირითადი აქცენტი გადატანილი; ესენია, - ,,საბაზრო ძალაუფლება'', ანუ, როდესაც ბაზარზე არსებობენ ისეთი ეკონომიკური სუბიექტები, რომელთაც

შეუძლიათ ფასებზე ზეგავლენის მოხდენა, და, მეორე, - ე. წ. ,,გარეგანი ეფექტები'', ანუ შემთხვევა, როდესაც ორი ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობა, რომელსაც ისინი ერთმანეთს შორის ამყარებენ, ზემოქმედებს მესამე სუბიექტზე, რომელსაც არავითარი ეკონომიკური ურთიერთობა მათთან არ გააჩნია. აქვე შევნიშნავთ, რომ ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ჩვენ შემოვიტანეთ საბაზრო ჩავარდნის მესამე სახე, რომელსაც ,,ბაზრის ირაციონალობა'' ვუწოდეთ და, რომელიც გულისხმობს ბაზრის სუბიექტების, - როგორც ინდივიდების, ასევე ფირმების, მხრიდან ირაციონალურ (უფრო მეტი, ვიდრე ტერმინი ,,არარაციონალური'') ქმედებებს.

დღეს, როდესაც მრავალი ტრანსნაციონალური კომპანია ფუნქციონირებს მსოფლიოში, საბაზრო ძალაუფლების გამოვლინებას პრაქტიკულად ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით, ისევე, როგორც გარეგანი ეფექტების გამოვლინებას. სწორედ ამიტომ, ასეთი შემთხვევების, თავიდან აცილების თუ არა (რაც ზოგჯერ გამართლებულიც კი არ არის), მათი მავნე ზემოქმედების კომპენსირებისათვის, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ძალზე ენერგიული ჩარევა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება ყველა ზემოთ აღწერილი ზემოქმედების ასახვა მოთხოვნა-მიწოდების მრუდების, ანუ, როგორც ამ მრუდებს სხვანაირად ეძახიან, - ე.წ. ,,მარშალის ჯვარის''დახმარებით ( შევნიშნავთ, რომ პირველად მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები გრაფიკული სახით წარმოადგინა ცნობილმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა, რის გამოც ამ მრუდებით მიღებულ გრაფიკებს ,,მარშალის ჯვარსაც'' უწოდებენ).

წარმოვიდგინოთ,რომ გრაფიკულად ,,მარშალის ჯვარი,'' გამოსახული ნახაზის ცენტრში, წარმოადგენს იმ ძალების ტოლქმედს, რომელიც მიიღება ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის გადაკვეთის, ოთხი შესაძლო შემთხვევის ურთიერთქმედების შედეგად. ნახაზის ცენტრში გამოსახული ,,მარშალის ჯვარი'' ავღნიშნოთ ლათინური ,,C'' ასოთი (იხ. ნახაზი 1.).

მიზნებიდან გამომდინარე, ზოგადობის შეუზღუდავად, შეგვიძლია ჩავთვალოთ,რომ ერთობლივი მიწოდების მრუდს, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში, აღმავალი სახე აქვს. რაც შეეხება მოთხოვნის მრუდს,მის შესახებ ასეთი პირობის წაყენება საჭირო არ არის, რადგანაც, როგორც ვიცით, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიანი ერთობლივი მოთხოვნის მრუდს, დაღმავალი სახე აქვს.

ამის შემდეგ, საქონლისა და მომსახურების მთელი ერთობლიობა დავყოთ ოთხ დიდ ჯგუფად, სადაც განმასხვავებელ ნიშნად ავიღებთ ფასებსა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობას.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობის ის ნაწილი, რომელიც იწარმოება საზოგადოებისათვის საჭირო რაოდენობით და საზოგადოებისათვის შედარებით მაღალ ფასებად, მათი შესაბამისი მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილით, ჩვენს ნახაზზე მოთავსდება ზედა მარჯვენა კუთხეში. ამ შემთხვევის შესაბამისი ,,მარშალის ჯვარი'' აღვნიშნოთ ,,UR'' სიმბოლოთი.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობის ის ნაწილი, რომელიც იწარმოება საზოგადოებისათვის საჭირო რაოდენობითა და საზოგადოებისათვის მისაღებ დაბალ ფასებად, მათი შესაბამისი მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილით, ჩვენს ნახაზზე მოთავსდება ქვედა მარჯვენა კუთხეში. ამ შემთხვევის შესაბამისი ,,მარშალის ჯვარი'' აღვნიშნოთ ,,DR'' სიმბოლოთი.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობის ის ნაწილი, რომელიც იწარმოება საზოგადოებისათვის საჭიროზე ნაკლები რაოდენობით და საზოგადოებისათვის მისაღებ დაბალ ფასებად, მათი შესაბამისი მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილით, ჩვენს ნახაზზე მოთავსდება ქვედა მარცხენა კუთხეში. ამ შემთხვევის შესაბამისი ,,მარშალის ჯვარი'' აღვნიშნოთ ,,DL'' სიმბოლოთი.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობის ის ნაწილი, რომელიც იწარმოება საზოგადოებისათვის საჭიროზე ნაკლები რაოდენობით და საზოგადოებისათვის შედარებით მაღალ ფასებად, მათი შესაბამისი მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილით, ჩვენს ნახაზზე მოთავსდება ზედა მარცხენა კუთხეში. ამ შემთხვევის შესაბამისი ,,მარშალის ჯვარი'' აღვნიშნოთ ,,UL'' სიმბოლოთი.

ამგვარად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციისათვის, საზოგადოებამ უნდა მოახერხოს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობითა და იმ ფასებში წარმოება, რომ წონასწორობის წერტილის შედეგად მიღებული მთლიანი დანაზოგი საზოგადოებრივი აზრითაც იყოს მაქსიმალური (იხ. ნახ. 1).




ნახაზი1

როგორცქვემოთდავინახავთ,ამისგაკეთებაჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელის შემთხვევაში რეალურად არის შესაძლებელი. იმისათვის, რომ ,,მარშალის ხუთჯვრიანი მოდელის'' თითოეული სიმბოლოს შესაბამისი ჯვრის მოთხოვნა-მიწოდების მრუდის მაქსიმიზაცია მოვახდინოთ, სახელმწიფომ შესაბამისი პოლიტიკა უნდა გაატაროს.

მართლაც, იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი იწარმოება საზოგადოებისათვის არასაკმარისი რაოდენობით და საზოგადოებისათვის მიუღებელ მაღალ ფასად, რომელიც შეესაბამება ,,UL'' სიმბოლოთი აღნიშნულ ,,მარშალის ჯვარს'', სახელმწიფომ უნდა გაატაროს მწარმოებელთა სუბსიდირების პოლიტიკა, რათა მომხმარებელისათვის ეს საქონელი ხელმისაწვდომი გახდეს (მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ე.წ. ,,დადებითი გარეგანი ეფექტის შემთხვევა,'' ვთქვათ განათლება, ან ,,საზოგადოებრივი საქონელი,'' - ვთქვათ, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი იწარმოება საზოგადოებისათვის საკმარისი რაოდენობით და საზოგადოებისათვის მიუღებელ მაღალფასად, რომელიც შეესაბამება ,,UR'' სიმბოლოთი აღნიშნულ ,,მარშალის ჯვარს'', მაშინ სახელმწიფო უკვე მომხმარებლების სუბსიდირების პოლიტიკას ატარებს (ვთქვათ, ბინათმშენებლობა და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი იწარმოება საზოგადოებისათვის არასაკმარისი რაოდენობით და ძალზე დაბალ ფასად, რომელიც შეესაბამება ,,DL'' სიმბოლოთი აღნიშნულ ,,მარშალის ჯვარს,'' სახელმწიფომ უნდა გაატაროს მეწარმეთა სუბსიდირების პოლიტიკა, რამდენადაც ეს საქონელი, თუ მომსახურება საზოგადოებრივად საჭირო საქონელია, მაგრამ მეწარმეს არა აქვს ეკონომიკური სტიმული, რათა ამ სახის საქონელი, თუ მომსახურება აწარმოოს ( მაგალითისათვის, პირველადი მოთხოვნის საგნები, რომელთა წარმოების ხარჯები აღემატება შემოსავლებს).

დაბოლოს, მეოთხე შემთხვევა, როდესაც საქონელი, თუ მომსახურება იწარმოება საზოგადოებისათვის საკმარისი რაოდენობით და ძალზე დაბალ ფასად, რომელიც შეესაბამება ,,DR'' სიმბოლოთი გამოსახულ ,,მარშალის ჯვარს,'' ეს უკვე ხალხის კეთილდღეობის უტყუარი მაჩვენებელია და გამართული სახელმწიფო პოლიტიკის ნიშანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ,,მარშალის ჯვარის'' ოთხი შესაძლო კრებსითი მაჩვენებლის ტოლქმედი შეესაბამება ლათინური,,C'' სიმბოლოთი გამოსახული,,მარშალისჯვარის''მდებარეობას.მისი კონკრეტული მდებარეობა ნახაზზე განისაზღვრება თითოეული ,,მარშალის ჯვრის'' ხვედრითი წილით მთლიანად წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში და იმისდა მიხედვით, თუ როგორ პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო, შეიძლება მისი მდებარეობის შესაბამისი გადაადგილება.

ამგვარად, აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ხელთ არსებული ინსტრუმენტებით და ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, შესაძლებელია ისეთი ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების შერჩევა, რომ მთლიანი დანაზოგი საზოგადოებრივი აზრით იყოს მაქსიმალური, რაც უფრო მეტია, ვიდრე საბაზრო ძალების მიერ მიღებული საბაზრო წონასწორობის შედეგად მიღებული მთლიანი დანაზოგის სიდიდე!

გამოყენებული ლიტერატურა

1. Маршалл Альфред. Принципи экономической науки, М. 1993.
2. მენქიუ, გრეგორი. ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2001.
3. აქუბარდია თამაზ. ეკონომიკური პოლიტიკა:თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. თბ. 2008.

## "Marshall's Cross" And the "Five Cross" Model of Common Welfare

Tamaz Akubardia
Doctor of economics
Professor of GTU

In This article, "Five Cross" Model of Common Welfare is discussed. As in cases of market equilibrium, the effective allocation of resources depend on a difference of the actual price from the equilibrium price, rather than on an equilibrium point, therefore the question arises: how effective is the equilibrium point, set by the market, for the society? For maximization of a common welfare, society must produce goods and services in such a quantity and price, where the total surplus, resulted from the equilibrium point, would be seen as maximal from the society's point of view as well. In order to get that, combined production of goods by the society was divided in for big groups, where, as the hallmark, prices and the quantity of the manufactured product was taken. The resultant of these four components is depicted in a center of the four component "Marshall's cross". The specific location of the "Marshall's cross" depends on specific share of the "Marshall's cross" in terms of the total quantity of the manufactured goods, as well as on the state policy, thus it can be moved to the point where a total surplus would be seen as maximal from the society's point of view.

# მოსაზრებები ლარის სტაბილიზებაზე დოლარსა და ევროსთან მიმართებაში



ნიკა შენგელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს წევრი
ტელ: 579 481001
E_mail: nikasg@mail.ru

*სტატიაში "მოსაზრებები ლარის სტაბილიზებაზე დოლარსა და ევროსთან მიმართებაში" განხილულია, როგორც დოლარისას და ევროს, ისე ლარის აწმყო და მოკლევადიანი მომავალი. წარმოდგენილია დოლარისა და ევროს კურსის სამომავლო მოლოდინი ერთის მხრივ, აშშ პრეზიდენტის დანაპირების შესრულებასთან, და მეორეს მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკასთან მიმართებით.*

*სტატიაში ჩამოთვლილია 2017 წლის 22 თებერვლიდან ლარის კურსის გამყარების შიდა და გარე ფაქტორები. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ ლარის სერიოზული გამყარების იმედი ამ წელს არ უნდა გვქონდეს.*

*სტატიის ავტორი იძლევა რამდენიმე რეკომენდაციას საქართველოსთვის მისაღებ დონეზე ლარის კურსის „დაჭერის" მიმართულებით.*

*საკვანძო სიტყვები: ვალუტა, ვალუტის კურსი, ტრენდი, პარიტეტი,ვალუტის დევალვაცია, ვალუტის გამყარება, სტაბილიზაცია.*

ორ წელზე მეტია, რაც ლარის კურსი მუდმივი რყევის რეჟიმში იმყოფება, უკანასკნელ პერიოდში კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ლარი ქვეყნის "თავის ტკივილად"იქცა.

ქართველი ექსპერტები განსხვავებულ აზრებს გამოთქვამენ ლარის კურსის მომავალზე. ყველანი ერთხმად აღიარებენ ,რომ ლარის კურსის სტაბილიზებისთვის „საჭიროა სხვა უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკის გატარება", მაგრამ კერძოდ როგორი, ამას ვერ ასახელებენ.

### ლარის, დოლარისა და ევროს კურსების მიმდინარე "თამაში"-ს მიზეზები.

გასულმა წელმა ბევრი სიურპრიზის მომსწრენი გავხადა, კერძოდ; ამერიკულ აქციებზე მრავალჯერ განახლდა მაქსიმუმები, აშშ-ს საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, "შავი გედები" ბრექსიტისა და აშშ არჩევნების სახით, ჩინური იუანის დევალვაცია-აი რამოდენიმე უმთავრესი მოვლენა, რომლებმაც ძირითადი გავლენა იქონია მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე.

2017 წელს ბევრი გლობალური რისკი იქნება შენარჩუნებული,რომლებიც თავიანთ ასახვას პოვებენ საფინანსო ბაზრების მერყეობებში. ბაზარი იქნება რამდენიმე ტრენდის ზეგავლენის ქვეშ.

პირველი - ესაა აშშ-ის საპროცენტო განაკვეთის ზრდა.ეკონომიკური კურსის ცვლილების მოლოდინი ,უკვე თავიდანვე საფუძველს უყრის მომეტებულ ინფლაციურ მოლოდინს,რაც უკვე დადასტურდა ფსს ბოლო გადაწყვეტილებაში. ამ კუთხით დოლარზე მოთხოვნა გაიზრდება და გაძვირებულმა დოლარმა შეიძლება საქონლის ფასებზე გავლენა იქონიოს.

მეორე ტრენდი - ეს არის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოთხოვნის შემცირება,უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით სრულიად მოსალოდნელია დეფლაციური სცენარის განვითარება.ფულადი მასის სტიმულირება ინფლაციაზე საკმარის გავლენას ვერ მოახდენს. დამატებითი იმპულსი შეიძლება მისცეს ინვესტიციების გადადინებამ "დოლარში"

ნომინირებულ ინსტრუმენტებში, რამაც შეიძლება განაკვეთები გადაიყვანოს უარყოფით ზონაში. დეფლაციის ფონზე შეიძლება მოხდეს მოთხოვნის შემცირება საქონელზე და მომსახურებაზე.

მესამე ტრენდი - ეს არის ფასები ენერგორესურსებზე. ძლიერი დოლარით, მოთხოვნის შემცირებიდან გამომდინარე წარმოების კლებამ,შეიძლება რამოდენიმე შემთხვევაში ენერგომატარებლებზე მოთხოვნაც შეამციროს. მიმდინარე პერიოდში ნავთობპროდუქტების მოპოვების შემცირებამ და აშშ ში ნავთობის მოპოვების შესაძლო განახლებამ, შეიძლება გამოიწვიოს ნავთობის მიწოდების გაზრდა და მოთხოვნის შემცირება,აღნიშნული კი გამოიწვევს ნავთობის ფასების დაწევას.

დიდი მნიშვნელობა აქვს რა პოზიციას დაიკავებს თეთრი სახლი. თუ საუბარი წავა ჩინეთთან სავაჭრო ომზე, მაშინ ინვესტორები რისკის თავიდან აცილების მიზნით გადავლენ მყარი აქტივების შეძენაზე.

სხვა სიტყვებით ,რომ ვთქვათ 2017 წელი დოლარისათვის ძალიან კარგი წელი იქნება თუ აშშ ახალი პრეზიდენტი დანაპირებს შეასრულებს და ფსს-ც სამჯერ მოახდენს საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ( და არ შემოიფარლება ორჯერ გაზრდით).

ამ ფონზე დოლართან მიმართებაში ევროს კურსის პარიტეტამდე დაწევა შეიძლება ავხსნათ ევროკავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით.

2017 წელს საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში დაგეგმილია სახელისუფლებო არჩევნები,რომელიც ევროპის ვალუტას ზეწოლის ქვეშ აყენებს.

გარდა პოლიტიკური ფაქტორისა რომელებიც ზემოთ ვახსენეთ,ევროს კურსი რომ დაბლა დაეშვება ამას ტექნიკური ანალიზიც გვიჩვენებს. ერთ თვიანსა და ერთკვირიანი დროითი ინტერვალით დაჯგუფებისას ჩვენ გვაქვს გრაფიკული მოდელი "დროშა", რომელიც როგორც მოგეხსენებათ წარმოადგენს ტრენდის ტენდენციის გაგრძელების მოდელს.



ნახ 1. მოდელი "დროშა" დროის ერთვიან ინტერვალში.

თუ გავითვალისწინებთ მოდელი "დროშას" პირველი ნახევრის ფორმირების პერიოდს, ვარაუდობთ, რომ მისი კურსი 0.98 -1.02 ნიშნულებიან არეში შეიძლება 2017 წლის აგვისტომდე ვიხილოთ. აქ ასევე გასათვალისწინებელია, აშშ პროტექციონისტული ღონისძიებების გავლენაც, უკვე გამოიკვეთა აშშ სა და ევროპას შორის დაწყებული სავალუტო ომის ნიშნები. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ინფლაცია დაფიქსირდა, რისი მიზეზადაც ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა დასახელდა, ლ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი არ აწია. მიუხედავად ამისა ევროპის ვალუტამ 2017 წლის 27 მარტის მდგომარეობით წარმატებით დატესტა 1.09 იანი ნიშნული, რომ არა 23 აპრილისა და 7 მაისის საფრანგეთის არჩევნები შეგვეძლო უფრო საფუძვლიანად გვევარაუდა ევროს მიერ 1.1350 იანი ნიშნულის გადალახვის შემთხვევაში საერთოდ ტრენდის შემობრუნების შესახებ, მაგრამ ამაზე უფრო მაისის პირველი ნახევრის შემდეგ თუ ვისაუბრებთ.

მარტის ბოლოს ლარის ასეთი მოძრაობა განაპირობა ევროკავშირიდან დადებითი მაკროეკონომიკური მომაცემების გამოსვლამ და საფრანგეთში, საპრეზიდენტო მარათონის ფარგლეში გამართულ დებატებში ემანუელ მაკრონის კარგმა შედეგებმა ევროს საკმარისი და დამაჯერებელი იმპულსი მისცა თავი 1.08 ნიშნულის მაღლა შეენარჩუნებინა.

2016 წლის ნოემბრიდან, არა მხოლოდ

საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია აშშ დოლარის გამყარებამ სხვა ვალუტების დევალვაციის პარალელურად. ქართული ვალუტის ლარის მერყეობის საზღვარი 2,28 ნიშნულიდან 2,80 ნიშნულამდე გაიზარდა, მაშინ როდესაც სულ რაღაც 2 წლის წინ ის 1,65 ნიშნულზე მყარად იდგა. 2016 წლის ნოემბრის თვიდან,დოლარის გამყარების ორ მიზეზს ვხედავთ და ორივეს მივყავართ იქამდე ,რომ აშშ ეკონომიკა აჩვენებს კარგ შედეგებს და პროგნოზი იმისა რომ მომავალშიც ეს ტემპი შენარჩუნდება დადებითია. აშშ ეკონომიკის მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია ვიდრე სხვა ქვეყნები. ამას დაემატა ფსს ხელმძღვანელის განცხადება რომ 2016 წლის დეკემბერში ყველა მონაცემია იმისათვის ,რომ საპროცენტო განაკვეთი აწიოს. ძირითადად ამ ფაქტორებმა ინვესტორები დაარწმუნა დროებით აქტივების აშშ დოლარში დაგატანაში,რამაც გამოიწვია დოლარის ინდექსის ზრდა. აშშ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, ახალი პრეზიდენტის განცხადებამ, რომ დაწევდა გადასახადებს,შეამცირებდა საბიუჯეტო ხარჯებს ამან უკვე მეორეჯერ მიცა ბიძგი დოლარის გაძლიერებას და მისმა ინდექმა 103 ნიშნულიც გადაკვეთა. ფსს ის 2016 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე ,ასევე მიღებული იყო გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეტის აწევის შესახებ და იგი 0.25 საბაზისო პუნქტით აიწია. აღნიშნულმა ფაქტორებმა დოლარის ინდექსის მარალი ნიშნული შეინარჩუნა და დღემდე 100 ნიშნულის ზემოთაა.

საქართველოში, ჯერ კიდევ 2016 წლის აგვისტო-ოქტომბრის თვეში,ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხების მოცულობა გაზარდა 400 მილიონი ლარიდან 1,400 00 000 ნამდე,გაიზარდა ლარის მასა, ცებ მა ასევე მიაწოდა დოლარის მოცულობებიც, დეკემბრის თვეში, ზემოთაღნიშნულ პროცესებს დაემთხვა უცხოეთში ტრანზაქციების მოცულობების ზრდა, უარყოფითი სავაჭრო სალდო, მეზობელი რეგიონის ქვეყნების ეროვნული ვალუტების დევალვაცია, ასევე როლი ითამაშა რამოდენიმე ბანკის მხრიდან, ბლუმბერგის სავაჭრო ტერმინალში კურსის დადგენისას სპეკულაციურმა მომენტებმა, ყველაფერმა ამან გამოიწვია დოლართთან მიმართებაში ლარის ნიშნულის 2,80 იან დონემდე მიღწევა. (იხილეთ ნახ.2)

2017 წლის 22 თებარვლიდან ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში იწყებს მკვეთრ გამყარებას, თუმცა ტექნიკური ანალიზის თვალსარისით იგი მოძრაობს (ნახ.2 ) გამოსახული გრაფიკზე გავლებული ტრენდის საზღვრებში.

ნახ 2. USD/GEL მოძრაობის გრაფიკი დროის ერთ დღიანი ინტერვალებით.



იანვრის ბოლოდან მსოფლიო სავალუტო ბაზარზე შეინიშნება დოლარის პოზიციების შესუსტება.ამას ხელი შეუწყო აშშ პრეზიდენტის პროტექციონისტური ღონისძიებების გატარების პოლიტიკამ, ფსს (ფედარალური სარეზერვო სისტემა) ის წინაშე რთული ამოცანა დასახა, კერძოდ: გაძლიერდეს აშშ ეკონომიკა, გაიზარდოს საექსპორტო პოტენციალი, მინიმუმამდე შემცირდეს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (პერსპექტივაში გახდეს დადებითიც) და ყველაფერი ეს მოხდეს ძლიერი დოლარის ფონზე.

2017 წლის მარტის ბოლოსთვის დოლარის პოზიციების შესუსტება შეინიშნება ყველა წამყვანი ქვეყნის ვალუტის მიმართ.ამის მიზეზად 20 მარტიდან უმნიშვნელო ეკონომიკური მოვლენების გამო ,აშშ-ში ძირითადად ყურადღები ს ცენტრში იყო კონგრესიმ მხრიდან ჯანმრთელობის პროგრამის კენჭისყრის საკითხი ეგრეთ წოდებული "obamacare".

წარმომადგენლობითმა პალატამ გაიწვია აღნიშნული კანონპროექტი და სავარაუდოდ ახლო მომავალში განსახილველად აღარ იქნება წარმოდგენილი სენატში.

ინვესტორებს სხვა არაფერი დარჩენიათ. ისინი ელოდებიან ტრამპის მხრიდან სხვა გეგმას, ანუ ყურადღების ცენტრში რჩება ფისკალური პოლიტიკა , რომელიც იქნება დოლარის მოძრაობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აშშ ში ინფლაცია შორსაა სამიზნე მაჩვენებლისაგან და შრომის ბაზარი ძლიერდება,ანუ გამოუყენებელი პოტენციალი ჯერ კიდევ არის, უნდა ვივარაუდოთ , რომ დოლარის მორიგი ინექცია დამოკიდებული იქნება ფსს ის მონდომებაზე თუ როგრ დაარწმუნებს ჯანეტ იელენი ინვესტორებს.

ამიტომ, გადაწყვეტილების მისაღებად ინვესტორებს ამ ეტაპზე სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღების წინ ყურადღებით დააკვირდნენ ეკონომიკურ კალენდარს.

შიდა ფაქტორებიდან, რასაც ლარის კურსის ბოლოდროინდელ სტაბილიზაციას ხელი შეუწყო, ავღნიშნავდი რამდენიმე ფაქტორს. ესენია: საგადასახადო შემოსავლების მობილიზირება 2017 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში; ბოლო ორ თვის განმავლობაში ბიუჯეტის თანხების დეფიციტურ ხარჯვას ადგილი არ ქონია; ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი აწია და სესხების მოცულობა 1475 000 000 ლარიდან 1.100 000 000 ლარამდე შეამცირა; იანვარ-თებერვალში გაიზარდა საქართველოში შემოსული ტურისტული ნაკადის მოცულობა, რომელმაც ვალუტა შემოიტანა ქვეყანაში, ამას ემატება ემიგრანტების მხრიდან წინა თვეებთან შედარებით გაზრდილი სავალუტო ჩამორიცხვები; იანვრიდან-თებერვლში ასევე შედარებით იკლო უცხოეთში საქონლის იმპორტისათვის განკუთვნილმა ტრანზაქციების მოცულობამ.

აღსანიშნავია ის ღონისძიებაც, რასაც სესხების ლარებში გაცემა ქვია. ყველაფერმა ამან ერთობლიობაში გამოიწვია ლარის კურსის ზემოთაღნიშნული გამყარება და ვიხილეთ ეროვნულმა ვალუტამ ლარმა, დოლართან მიმართებაში 2017 წლის 3 მარტს, 2016 წლის 10 ნოემბერს დაფიქსირებული 2,40 ნიშნულის "მხარდაჭერის" დონე დატესტა, თუმცა ამ დონეზე ვერ დააფიქსდა და ვაჭრობა 2,50 იან ნიშნულზე დაიხურა. აღნიშნული კურსი, როგორც მოგეხსენაბათ ის საშუალო კურსია, რაზეც გათვლილია 2017 წლის საქართველოს ბიუჯეტი.

გრძელვადიან პერიოდში, ლარის სტაბილიაზციისათვის ასევე დადებით ფაქტორს წარმოადგენს ისეთი დიდი პროექტების ამოქმედება რასაც ხუდონჰესისა და ანაკლიის პორტის მშენებლობა ქვია, ასევე ორთაჭალაში მთავრობის ქალაქის მშენებლობა, ამ თემას ასევე წაადგება თუ ევროპიდან ან ამერიკიდან პოლიტიური მხარდაჭერის კუთხით განხორციელდება ინვესტიციები სხვადასხვა სექტორებში.

დასკვნა

დასკვნის სახით ავრნიშნავთ, რომ ლარის სერიოზული გამყარების იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რადგან ამ წელიწადში გადასახდელია 3,5 მილიარდამდე საგარეო ვალი, ამასთან მარტო პირველ და მეორე კვარტალში 900-900 მილიონი და შემდეგ დარჩენილი ნაწილიც. ეროვნული ვალუტისა და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე ასევე დადებითად იმოქმედებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ,ეროვნული ბანკის რეზერვების მხარდაჭერისა და განმტკიცებისათვის 285 $ მილიონიანი 3 წლიანი პროგრამა.

რეკომენდაციები:

1) მონეტაული პოლიტიკის განვითარებისა და სხვა ეტაპზე გადაყვანის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კაპიტალის ბაზრის განვითარების საკითხი. აქ ვგულისხმობთ, სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა გაატაროს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც შეზღუდავს კომერციული

ბანკების მონოპოლიურ როლს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეს არა აქვს შესაძლებლობა პირდაპირ, უშუალოდ ქონდეს შეხება სახელმწიფოსთან, შეიძინოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი პირდაპირ და არა კომერციული ბანკის შუამდგომლობით, ასევე სახელმწოფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება უნდა იწყებოდეს 100 ლარიდან და არ უნდა ღირდეს იგი მინიმუმ 50 000 ლარი. ეს ყველაფერი საქართველოს მოქალაქეს მიცემს შესაძლებლობას გახდეს ინვესტორი თავიანთ ქვეყანაში, ანუ კაპიტალის პირველადი ბაზარი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვისაც ,ხოლო რაც შეეხება კაპიტალის მეორად ბაზარს რომელიც დღეს ფაქტიურად არის მკვდარი ორგანიზმი - უნდა რეალურად ამუშავდეს. ყველაფერი ეს კი გაზრდის მონეტარული პოლიტიკის საჯაროობას.

2) მიგვაჩნია, რომ ლარის კურსის სტაბილიზებისათვის საქართველოს ის რამდენიმე ბანკი, რომელებიც ვაჭრობენ ბლუმბერგის "დახურულ" ტერმინალში და ლარის კურსის შესამჩნევი რყევების ლომის წილი მათ ნება სურვილზეა დამოკიდებული, მთავრობის მხრიდან რადიკალური ღონისძიებების გატარებით ეს უნდა დასრულდეს. ამის შესასრულებლად სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ქართული სავაჭრო ტერმინალი, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა ბანკი, მიკროსაფინანსო კომპანიები და სურვილისამებრ სხვა საბროკერო თუ საინვესტიციო კომპანიებიც. აღნიშნული ქმედება სპეკულაციის საშუალებას არ მიცემს ბანკებს.

3) დროებითი ღონისძიების ფარგლებში, ბანკებმა უნდა მოითხოვონ და მოახდინონ თავისი კლიენტებიდან, საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვების (ან მომსახურების) კონტრაქტების რეგისტრაცია, რომელშიც ნათლად იქნება ასახული კონტრაგენტებისთვის გადასახდელი ან/და მისაღები უცხოური ვალუტის მოცულობები და ვადები.

აღნიშნული ღონისძიება:

ა) მოგვცემს საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ სავალუტო მოცულობები იმ ტრანზაქციებისა, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ბანკების ბენეფიციარების მხრიდან;

ბ) აღნიშნული ასევე დაგვეხმარება მოვახდინოთ ლარის კურსის პროგნოზი მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკებს უნდა შეეზღუდოს იმაზე მეტი უცხოური ვალუტის მოცულობის შეძენა, ვიდრე ეს წინასწარ გაცხადებული და რეგისტრირებული იყო თავიანთი ბენეფიციარების მხრიდან, ანუ იმ მოცულობაზე მეტი, რაც აუცილებელია კონტრაგენტებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

4) უნდა დადგინდეს საზღვრები და მკაცრად გაკონტროლდეს კომერციული ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის, იმ მოცულობით შესყიდვისა, რომელიც აუცილებელად ჭირდებათ რეზერვისათვის.

5) ლარის კურსის სტაბილიზაციაზე ,ასევე დადებით გავლენას იქონიებს სამთავრობო დადგენილება, რომელიც გულისხმობს 100 000 დოლარამდე სესხების გაცემა ბანკებმა მოახდინოს მხოლოდ ლარებში.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2017 წლის 18 მარტს დასრულდა სესხების გალარების სოციალური პროგრამა. უნდა ითქვას, რომ ამ პროგრამამ არაეფექტურად იმუშავა, ამ პროგრამის მხარდასაჭერად გამოყოფილი იყო 400 მილიონი რეფინანსირების სესხი და სულ გალარდა 75 მილიონი ლარი.

ასევე მინდა შევეხო ესტონურ მოდელს,რომელიც ითვალისწინებს მოგების გადასახადის ჩატოვებას მეწარმე სუბიექტებისათვის. იმისათვის, რომ ამ კანონმა იმუშავოს ანუ ეფექტი მივიღოთ, აუცილებელია მასში სასწრაფოდ იქნას ცვლილებები შეტანილი. კერძოდ, ისეთი კომპანიებზე, რომლებიც ეწევიან მომსახურეობას და არ იხდიან დღგ-ს ან არიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვგულისხმობ იმას, რომ ბაზარზე არა ჰყავს კონკურენტი, არ უნდა ვრცელდებოდეს აღნიშნული კანონის მოქმედება. აქ საუბარია საფინანსო ორგანიზაციებზე, როგორებიცაა: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საბროკერო კომპანიები ასევე სადაზღვევო ბიზნესი, თელასი, წყლის გამანაწილებელი კომპანია და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკა შენგელია, მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ქვეყნის ცენტრალური ბანკების გამოწვევები: პრობლემები და მისი განვითარების გზები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "საქართველო და თანამედროვე სამყარო - გამოწვევები, მიღწევები, პროგრესი" მასალები. წმ.გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტი, შრომების კრებული ტომი 4, 25-26 ნოემბერი, 2016 წელი.

2. ნიკა შენგელია, სავალუტო კურსების ექსპრეს- დიაგნოსტიკა და ქართული ლარის პროგნოზი მოკლევადიან პერიოდში. ჟურ. „გადასახადები". დეკემბერი 12, 2016 წელი;

3. ნიკა შენგელია, დოლარის, ევროსა და ლარის ტრიადა-მოლოდინები და რეალობები. ჟურ. „ახალი ეკონომისტი" N 4, 2016 წელი;

4. www.bloomberg.com

5. www.finance.ru

6. www.fxstreet.ru

Considerations of GEL stabiliation to US dolar and Euro

Nika Shengelia
Doctor of economics
Professor

In the article, "Considerations of Gel stabiliation to US dolar and Euro " is reviewed the present and short period future. Is presented EURO and U.S Dollar future expectations due to promise of U.S president in one hand and the policy of EU on the other hand.

In the article are listed the internal and external factors of strengthening the Gel exchange rate after 22 February 2017.

In the end of article is summarized that Gel will not be strengthened seriously.

The author is giving several recommendations to keep the exchange rate of Gel in acceptable level.

Key words: Currency, exchange rate, trend, parity, devaluation, stabilization.

# ტურიზმის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში



მირანდა გავაშელი
საქართველოს საპარტიარქოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის
დოქტორანტი
ტელ: (+995) 577953395
ელ.ფოსტა: mikogavasheli@yahoo.com

*სტატია ეხება მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ აღიარებულ სექტორს - ტურიზმს. აქ განხილულია თუ როგორი განსაკურთებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ამ დარგის ფუნქციონირების ეკონომიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზს, განვითარების თავისებურებასა და ტენდენციების შეფასებას.*

*შესაბამისად მიმოხილულია საქართველოში როგორი ყურადღება ექცევა ეკონომიკის ამ პრიორიტეტულ სფეროს და როგორ შეიცვალა მისი განვითარების დინამიკა უკანასკნელ წლებში.როგორ გავლენას ახდენს ტურიზმი საზოგადოების განვითარებაზე და რა პირობები უნდა არსებობდეს ქვეყანაში რომ უკეთესად განვითარდეს ეს დარგი. განხილულია რას უწყობს ხელს ტურისტული ბიზნესი და როგორ უნდა გავხადოთ საქართველო უფრო მიმზიდველი რეგიონი ტურისტებისათვის.*

*ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი რესურსული პოტენციალია.საჭიროა ამ დარგის სიღრმისეულად შესწავლა და ყველაფრის გათვალისწინებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება,ვინაიდან ტურიზმის განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს კიდევ უფრო აძლიერებს, აღნიშნულია დასკვნაში.*

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ აღიარებულ სექტორს წარმოადგენს. ამ დარგის ფუნქციონირების ეკონომიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზს, განვითარების თავისებურებისა და ტენდენციების შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს და მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უკანასკნელ წლებში მისი განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა. ტურიზმის სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ტურიზმის სექტორის ზრდის მიხედვით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელმა მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელსაც კი გაუსწრო. [მანანა ალფაიძე, ტურისტული ბიზნესის „ეპოქა" საქართველოში, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2016 წელი]

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია- United Nations Organization) ტურიზმს განსაზღვრავს როგორც მიგრაციას, რომელიც არაა დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, ანუ ესაა მოგზაურობები, რომლებიც მოგზაურობის საწყის ადგილზე დაბრუნებით მთავრდება.

ტურიზმი ძალიან დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სტაბილურ განვითარებაზე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მისი განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი პირობები. კერძოდ, შემდეგი კომპონენტების არსებობა:

1) თავისუფალი დროის გატარების ფორმები და ღირშესანიშნაობები.

2) ტურისტული ნაკადების მიღების და მომსახურების ინფრასტრუქტურა.

3) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

4) ადგილობრივი საინჟინრო -ტექნიკური ინფრასტრუქტურა;

5) მოგზაურობების ორგანიზება.

6) ტურისტული საინფორმაციო მომსახურებისთვის საჭირო სამსახურების არსებობა და ტურისტული პროდუქტის ბაზარზე გატანა.

ტურისტული ბიზნესი ხელს უწყობს სუსტად განვითარებული, შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. ამ რეგიონების მოსახლეობისათვის ტურიზმის განვითარება დამატებითი შემოსავ¬ლის წყაროა. ბოლო წლებში ცნობილია როგორ გაიზარდა და ტურისტულად მომხიბვლელი გახდა პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოები, რადგან იქ ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მიმზიდველი ტურისტული სერვისია.

ტურიზმის დარგის მდგომარეობის ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, ტურების სახეობები, მათზე მოთხოვნა და სხვ.

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. ამ სფეროში ინვესტიციების დაბანდების მრავალი შესაძლებლობა არსებობს. 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა რა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში, მას შემდეგ მისი აღმავლობაც დაიწყო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირშესანიშნაობებით. საქართველოში 30 საკურორტო ზონა და რაიონია, აღრიცხულია სულ 103 კურორტი. საქართველოში 12 ათასზე მეტი ისტორიული და არქიტექტორული ძეგლი და 150- მდე მუზეუმია. უამრავი ბრინჯაოს ხანის ძეგლია, ასევე უძველესი მონასტრები, ხიდები, სასახლეები და სხვა ნაგებობები. ზემო სვანეთის ნაკრძალი სოფელი უშგული იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს განეკუთვნება.

ცხრილი #1. ტურიზმის განვითარების დინამიკა 2007-2016 წლებში

| წლები | საერთაშორისო ტურიზმის | | ტურიზმი საქართველოში | |
|---|---|---|---|---|
| | შემოსავლები მილიარდი აშშ დოლარი | ზრდის ტემპი % | შემოსავლები ათასი აშშ დოლარი | ზრდის ტემპი % |
| 2007 | 858 | | 383746 | |
| 2008 | 941 | 5% | 446646 | 16% |
| 2009 | 852 | 5%(კლება) | 475889 | 7% |
| 2010 | 919 | 4,7% | 475889 | 39% |
| 2011 | 1030 | 3,9% | 954909 | 45% |
| 2012 | 1075 | 4% | 1410902 | 48% |
| 2013 | 1159 | 5% | 1719700 | 22% |
| 2014 | 1245 | 3,7% | 1787140 | 4% |
| 2015 | 1260 | 4,4% | 1935915 | 8% |
| 2016 | | | 867859(I-II კ) | |

წყარო: www.economy.ge; www.e-untwo.org

ტურიზმის სექტორის ზრდის ტემპი ბოლო წლებში უსწრებს მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელს. მთლიან საერთაშორისო მოგზაურთა შორის საქართველოში ვიზიტორთა წილი 2007 წლიდან 2012 წლამდე 0,12 %-დან 0,29%-მდე გაიზარდა. ბოლო სამი წლის სტატისტიკის მიხედვით საეთაშორისო მოგზაურთა ნაწილი ივლისსა და აგვისტოში სტუმრობს საქართველოს. საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ნაკადების ზრდის ტემპის თვალსაზრისით. მეტი ტურისტი გულისხმობს მეტ დასაქმებას, მეტ შემოსავალს ქვეყნის ეკონომიკაში.

საქართველოში 2015 წელს ტურისტების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა. მათი რაოდენობა იყო 5 მილიონ 900 ათასი. ეს არის 7% იანი ზრდა. დაახლოებით 382 ათასი ტურისტით მეტი შემოვიდა საქართველოში. ამ წელს (2015წ) საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალმა მესამე

კვარტალში 742 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა,მაშინ როცა 2014 წლის მესამე კვარტალში 650 მლნ. აშშ დოლარი იყო. ზრდა წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით 14,2%-ს შეადგენს. სამი კვარტლის ჯამში შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 1,5 მილიარდ აშშ.დოლარს შეადგენს.2014 წელს იგივე მაჩვენებელი 1,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა.ზრდა წინა წელთან შედარებით 8,1 % -ით მეტია. ტურიზმის წილმა სერვისის ექსპორტში 62,2% შეადგინა.

ცხრილი #2. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში საქართველოში

| წელი | ტურიზმის წილი მშპ-ში |
|---|---|
| 2007 | 6,85% |
| 2008 | 6,24% |
| 2009 | 5,83% |
| 2010 | 6,08% |
| 2011 | 6,02% |
| 2012 | 6,08% |
| 2013 | 5,89% |
| 2014 | 6,32% |
| 2015 | 6,73% |
| 2016(I-IIკვ) | 7.06% |

წყარო:www.economy.ge

საქართველო ტურისტებისათვის ჯერ კიდევ ახალი და მიმზიდველი რეგიონია. ამ დარგის განვითარების წარმატება და მისი მეშვეობით ეკონომიკის ზრდა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ტურისტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ტურიზმის დარგის ანალიზის და განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია გარკვევა იმის, თუ რა ფორმით შეიძლება საქართველომ მონაწილეობა მიიღოს ტურისტული ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებაში, ამისთვის რა წინაპირობები არსებობს?

ამჟამად ტურიზმი საქართველოში განვითარების ახალ, საწყის ეტაპზე იმყოფება. ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს ამ დარგს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ვერ იქცა ეკონომიკის ისეთ დარგად, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის და სავალუტო რესურსების წყარო იქნებოდა. საქართველო საჭიროებს ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობის და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გამიზნულ სტრატეგიას, რომლის რეალიზაცია ტურისტული რესურსის რაციონალურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები ტურიზმის განვითარების მიზნით. იმ ქვეყნებში სადაც ტურიზმი პრიორიტეტული სფერო და მიმართულებაა, დარგის წინ წაწევისათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. დარგის განვითარება უზრუნველყოფილია სპეციალური ლიბერალური ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკით. სახელმწიფოები ცდილობენ სარეკლამო კამპანიის წარმოებას ტურისტული პროდუქტებისა და მისი შემადგენელი ნაწილების-განთავსების, მომსახურების, ღირშესანიშნავი ობიექტების, გადაზიდვების, ტუროპერატორი კომპანიებისა და ტურისტული სააგენტოების უკეთ მუშაობის მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს:

- მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, დასვენებისა და მოგზაურობის სხვადასხვა მომართულებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- ტურისტთა შემეცნებითი, საგანმანათლებლო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და გართობის პირობების შექმნა;
- ტურიზმის ეკონომიკის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. აღნიშნულ სფეროში

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სახელმწიფო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ტურიზმის ქსელში აქტიური ჩართვა;

- ტურისტული ღირსშესანიშნაობების ობიექტების შენარჩუნება, ქვეყნის ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-შემეცნებითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და დაცვა;

დარგის რეგულირების პრიორიტეტულ მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მხრიდან შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე პრობლემების გადაწყვეტას. კერძოდ:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კომუნიკაციების განვითარებას;
- ტურისტული ფორმალობების მოწესრიგებას და მოგზაურობის უსაფრთხოების მოწესრიგებას;
- ტურისტულ ობიექტებზე ეკოლოგიური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას;
- ტურისტთა უფლებების დაცვას;
- ტურიზმში მიღებული საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების დასაცავად ობიექტურ სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებას და კონტროლს;
- ტურისტული ფირმებისათვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შექმნას;
- საგადასახადო შეღავათების, სუბსიდიების, დოტაციების შემოღებას;
- ნაციონალური საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ, როგორც ტურიზმის განვითარებას, ასევე ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა უფლებების დაცვას;
- ფასდაკლებების და შეღავათების სტიმულირებას სეზონთაშორის და არასეზონურ პერიოდებში;
- სახელწიფოს მხრიდან გარემოს, კულტურული და ისტორიული ძეგლების დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებას;

საქართველოს ტურიზმის განვითარების პროცესი დაჩქარდა მას სემდეგ, რაც აღიარებულ იქნა „ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი". ტურიზმის საქმიანობის სწორად წარმართვისათვის საჭირო გახდა ტურიზმის სფეროსათვის მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების შემუშავება-მიღება.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი რესურსული პოტენციალია. საჭიროა ამ დარგის სიღრმისეულად შესწავლა და ყველაფრის გათვალისწინებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ვინაიდან ტურიზმის განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს კიდევ უფრო აძლიერებს.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ლარისა ყორღანაშვილი, ტურიზმის ეკონომიკა, თბილისი 2012, გვ-7
2. ნინო ხაზარაძე, ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და შესაძლებლობები საქართველოში,სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი:საქართველოს ეკონომიკა,თბ. 2008.გვ-92-95
3. მადონა გელაშვილი, ირმა დიხამინჯია, ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) შრომათა კრებული „ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები", 7 – 8 მაისი, თბილისი, 2016.
4. მანანა ალფაიძე, „ტურისტული ბიზნესის ,,ეპოქა" საქართველოში", საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2016
5. ლარისა ყორღანაშვილი,საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი გლობალურ ეკონომიკაში, თბილისი 2012, გვ-44
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემთა ბაზა (http://www.geostat.ge/)
7. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge
8. საქართველოს კანონი „ტურიზმის და კურორტების" შესახებ, 6 მარტი, 1997
9. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ", 20 მარტი, 1998
10. საქართველოს „კანონი საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ", 24 დეკემბერი, 1998
11. დებულება „საქართველოში ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ნებაყოფლობითი ლიცენზიერების დებულება", 28 იანვარი, 1999

ინტერნეტ-მასალები:
1. UNTWO-Tourism Highlights 2015 Edition
2. www.unwto.org - მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია
3. www.gnta.ge - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

The role of tourism in the national economy

Miranda Gavasheli
Doctoral student at St.Andrew the First-Called
Georgian University of the Partiarchate of Georgia

The article refers to one of the recognized sectors in the world –tourism. It considers the field of operation of economic, analysis of legal and psychological factors, the development of features and trends in evaluating the special importance for the development of national economics.

It is reviewed that tourism is essential and prioritized field for Georgian economy and how it has changed the dynamics of the tourism development in the recent years. How tourism effects the development of society and what kind of conditions must exist in the country for the further development of this sector. It also discusses what helps the tourism business to become more attractive for tourists.

As it is noted in the report, in order to increase the development of our country 's economic potential, it is necessary to study this field thoroughly and create special public policy, because in our country for the tourism development there are diverse resources potential.

# სავალუტო ბაზრის რისკები და მათი გათვალისწინება ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში



გიორგი დანელია
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ტელ: (+995) 577 212022
ელ. ფოსტა: giorgi.danelia@hotmail.com

*სტატია ეხება ეკონომიკური აგენტების მხრიდან რისკის შეფასებისა და აღქმის საკითხებს. თუმცა რისკის და რისკისადმი დამოკიდებულება განხილულია სავალუტო ბაზრისა და მისი მონაწილეების ჭრილში. მონაწილეებთან ერთად, ასევე სავალუტო ბაზრის და რისკების ანალიზი მოიცავს მთავრობასაც, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელს, და ცენტრალურ ბანკსაც, როგორც ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის გამტარს.*

*სავალუტო ბაზრის და მისი სტრუქტურის ანალიზის სიმარტივისთვის, შეგვიძლია მთავრობა და ცენტრალური ბანკი განვიხილოთ როგორც ბაზრის ერთი მხარე, ხოლო ბაზრის დანარჩენი მონაწილეები (კერძო ეკონომიკური აგენტები, რომელთა მიზანიც არის მოგების მაქსიმიზაცია რისკის შემცირების პარალელურად) - ბაზრის მეორე მხარე. ასევე განხილულია რისკის მართვის გზები და შესაბამისად მათი გავლენა ეკონომიკური აგენტების პოტენციურ ქცევაზე.*

*შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური აგენტების მხრიდან რისკის აღქმა და მისდამი დამოკიდებულება არის მათი ქცევის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი და შესაბამისად კარგი საშუალება მათი ქცევის მეტნაკლები სიზუსტით წინასწარმეტყველებისა.*

სტატია ეხება ეკონომიკური აგენტების მხრიდან რისკის შეფასებისა და აღქმის საკითხებს. თუმცა რისკის და რისკისადმი დამოკიდებულება განხილულია სავალუტო ბაზრისა და მისი მონაწილეების ჭრილში. მონაწილეებთან ერთად, ასევე სავალუტო ბაზრის და რისკების ანალიზი მოიცავს მთავრობასაც, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელს, და ცენტრალურ ბანკსაც, როგორც ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის გამტარს.

სავალუტო ბაზრის და მისი სტრუქტურის ანალიზის სიმარტივისთვის, შეგვიძლია მთავრობა და ცენტრალური ბანკი განვიხილოთ როგორც ბაზრის ერთი მხარე, ხოლო ბაზრის დანარჩენი მონაწილეები (კერძო ეკონომიკური აგენტები, რომელთა მიზანიც არის მოგების მაქსიმიზაცია რისკის შემცირების პარალელურად) - ბაზრის მეორე მხარე. ასევე განხილულია რისკის მართვის გზები და შესაბამისად მათი გავლენა ეკონომიკური აგენტების პოტენციურ ქცევაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური აგენტების მხრიდან რისკის აღქმა და მისდამი დამოკიდებულება არის მათი ქცევის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი და შესაბამისად კარგი საშუალება მათი ქცევის მეტნაკლები სიზუსტით წინასწარმეტყველებისა.

ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების მიღება უკვაშირდება მათი სამომავლო პოტენციური მოგების შესახებ დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღება სტანდარტული რისკისა და სარგებლის პროფილის შეფასებასთან. ინვესტიციების ხარისხის შეფასების დროს ინვესტორები განუწყვეტლივ აწყდებიან საკმაოდ რთულ გამოწვევას - მათ უწევთ პასუხი გასცენ ისეთ კომპლექსურ კითხვებს, როგორცაა მაგალითად, რამდენად მიზანშეწონილი ფასიანი ქაღალდების ყიდვა, კონკრეტულად რომელ ფასიან ქაღალდებში აჯობებს ინვესტირება, ეკონომიკუს რომელი დარგი უფრო დიდ მარჟებთან არის დაკავშირებული, რა შესაძლო უკუგების მიღებაა მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, რა დამოკიდებულებაა ინვესტიციით მიღებულ სარგებელსა და შესაძლო რისკებს შორის და ა.შ.

სარგებლის მიღების პოტენციური გზების გარდა, მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის რისკისადმი დამოკიდებულება. ცხადია, რომ ეკონომიკური აგენტისთვის შესაძლო მოგება განსაზღვრავს და ცენტრალური როლს ასრულებს საინვესტიციო ალტერნატივების შეფასების დროს. აქედან

გამომდინარე ნათელია, რომ შესაძლო უკუგება აუცილებლად უნდა იყოს შეფასებული შესაძლო რისკებთან მიმართებით. თუმცა, ყველა ეკონომიკურ აგენტს აქვს განსხვავებული რისკის მისაღები დონე, და აქედან გამომდინარე რისკის კონცეფციის გაგება და რისკის ეფექტური მართვა, როგორც საკუთარი, ასევე ბაზარზე არსებული სხვა მონაწილეების რისკისადმი დამოკიდებულება, წარმოადგენს ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების გაგების ერთ-ერთი მთავარ გასაღებს. უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება არა უშუალოდ რისკის, როგორც სტატისტიკურ-ფინანსური ცვლადის გამოთვლას და შეფასებას, არამედ მის მიმართ ეკონომიკური აგენტების დამოკიდებულებას.

განსაკუთრებით ეს საკითხი აქტუალური გახდა მსოფლიოში უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული ეკონომიკური და ფინანსური კატაკლიზმების ფონზე, რომელთა შედეგადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა წამოიწია წინა პლანზე: უპირველეს ყოვლისა ის, რომ რისკის მართვის სისტემები და რისკის შეფასების მოდელები ერთი მხრივ ზუსტად ითვლიან რისკის ოდენობას (რომელიც მათემატიკურ და სტატისტიკურ ცვლადებში იზომება), თუმცა მეორე მხრივ მათი დახმარებით ვერ ხერხდება რისკის არსებობის წინასწარ განჭვრეტა და პროგნოზირებას. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა კრიტიკული მოტივატორი იყოს ეკონომიკური აგენტების კონკრეტული საქციელის. აქედან გამომდინარე, ყველა თანხმდება იმაზე, რომ მაღალია საჭიროება ახალი, უფრო მეტად კომპლექსური და ინტეგრირებული რისკის ანალიზისა და მისი მართვის მეთოდის ჩამოყალიბებისა.

უკანასკნელმა ეკონომიკურმა კრიზისებმა სხვადასხვა ქვეყანაში ცხადჰყო, რომ ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფინანსურის და არაფინანსური რისკების შეფასებამ, მათ საბოლოო ჯამში არასწორი სტრატეგიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. სავალუტო ბაზრის მონაწილეების მხრიდან სავალუტო რისკების გააზრება ბევრად უფრო კომპლექსური საკითხია, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ქმედებები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკებთან, საერთაშორისო ბაზრებთან, და სხვადასხვა ვალუტებთან. ამ შემთხვევაში, გარდა არსებული მათემარიკული მოდელებისა, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება უშუალოდ ეკონომიკური აგენტების და ბაზრის ნებისმიერ მონაწილის ქცევაზე მოქმედი სხვადასხვა ფსიქოლოგიური და ბიჰევიორისტული მოტივატორების ანალიზი. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო რთული სტრუქტურის მქონე მოდელია, ვიდრე ნებისმიერი მათემატიკური და რიცხვებზე დაფუძნებული ანალიზი.

სავალუტო ბაზრებთან და მის მონაწილეებთან დაკავშირებული რისკი შეიძლება რამდენიმე ფაქტორად დაიყოს, თუმცა მათ შორის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ვოლატიურობა და საერთაშორისო სავალუტო ბაზრებთან დაკავშირებული გაურკვევლობა. "გაუკვერვობლის" ფენომენის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ბაზრის მონაწილეებს შორის არსებული "უთანხმოება" ბაზრის სამომავლო მდგომარეობასთან დაკავშირებით. პირველი თაობის მოდელების მსგავსად, ახალ მოდელებშიც, სადაც აგენტების რაციონალური მოლოდინები წარმოადგენენ ამოსავალ წერტილს, არის ინტეგრირებული აგენტების ე.წ. ჰეტეროგენული ხასიათი. აგენტების, როგორც მთლიანი ჯგუფის რეპრეზენტატიულობისთვის, ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული მოდელის ანალიზისთვის გამოვიყენოთ ერთი აგენტი, და პარალელურად გავკეთოთ დაშვება, რომ მისი და დანარჩენი მონაწილეების მოლოდინები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ამ შემთხვევაში, ფამა-ფრენჩის (2007) თეორიის მიხედვით, აღნიშნულ ფაქტორს მნიშვნელობა ექნება, თუ აგენტები არ არიან რისკის მოყვარულებ (Risk Averse): თუ ბაზრის ინფორმირებული მონაწილე არის რისკის მიმართ ნეიტრალურები, მაშინ მათი მოლოდინები დააბალანსებენ არაინფორმირებული ინვესტორების მოლოდინებს და სავალუტო გაცვლითი კურსი (ჩვენი მსჯელობისთვის ვალუტა წარმოადგენს აქტივს, რომლის ფასიც იგივეა რაც სავალუტო გაცვლითი კურსი) შენარჩუნდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ გლობალურ პრობლემებსაც, რომელიც სავალუტო ბაზარს უკავშირდებ. ბუნებრივია, სავალუტო ბაზრის დინამიკა და გაცვლითი კურსის სტაბილურობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის სავალუტო სტაბილურობა, რომელშიც თვითონ სავალუტო კურსის სტაბილურობა და მისი მოძრაობის ტენდეციაა გამოხატული. კერძოდ, როდესაც ქვეყნის ვალუტას დაცემის განუწყვეტელი ტენდენცია ახასიათებს, ინვესტორები თავს იკავებენ ამგვარ ქვეყნებში კაპიტალდაბანდებებისაგან. საინვესტციო კლიმატზე ნეგატიურად მოქმედ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვან და ხაზგასასმელ ადგილს იკავებს ვალუტის კურსის ხელოვნური შენარჩუნების მცდელობა, ეს კი განსაკუთრებულად ხშირად შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში. ცხადია, თუკი ინვესტორს მცირედი ეჭვიც

კი გაუჩნდება, რომ ქვეყანას არ შესწევს ძალა შეინარჩუნოს სტაბილური კურსი ან/და დაინახავს, რომ შეინიშნება ვალუტის კურსის კატასტროფული ვარდნა დროთა განმავლობაში, ის გაანალიზებს შესაძლო საშიშროებებსა და რისკებს და საბოლოოდ უარს განაცხადებს კაპიტალის ამ ქვეყანაში დაბანდებაზე.

### სავალუტო რისკის მართვა

იმისთვის, რომ მოხდეს ნებისმიერი სახის ეკონომიკური ტუ ფინანსური რისკი მართვა ეფექტურად, აუცილებელია ზუსტად იყოს განსაზღვრული თუ რას წარმოადგენს ეკონომიკურ განაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკი. მიუხედავად იმისა, რომ რთულია რისკის სწორი და ყველა ეკონომიკური სიტუაციისთვის მართებული განმარტება ჩამოვაყალიბოთ, მაინც შეგვიძლია მის რამდენიმე მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორზე გავამახვილოთ ყურადღება:

- კონტექსტი [1, გვ. 25-39] - “რისკის შეცნობა დამოკიდებულია კონტექსტზე”. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე რისკის პერსეპცია შესაძლებელია განსხვავდებოდეს სიტუაციების მიხედვით.
- კონცეფცია - მიუხედავად იმისა, რომ რისკის ოდენობის გამოთვლა შესაძლებელია და ის კონკრეტულ რიცხვებში შეიძლება გამოისახოს, მისი შინაარსი მაინც აბსტრაქტულია, სუბიექტური. ამიტომაც უპრიანი მისი განმარტებითვის გამოვიყენოთ სიტყვა “კონცეფცია” .

თანამედროვე ფინანსური თეორია ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს:

1. პირველი არის ის, რომ ინვესტორები ზოგადად ითხოვენ უფრო მაღალ უკუგებას ინვესტიციაზე, როდესაც რისკი მაღალია (ანუ რისკის თითოეულ ერთ დამატებით ერთეულზე ისინი მოგების უფრო მეტ ერთეულს ითხოვენ),
2. მეორე - ინვესტორები მიიღწვიან კარგად დივერსიფიცირებული პორტფელისკენ. ანუ გამოდის, რომ ერთის მხრივ მათ უნდათ მაღალი უკუგება, რაც რისკებთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრივ მათივე მიზანი არის რისკების შემცირება დივერსიფიკაციის გზით. სავალუტო ბაზრის მონაწილეებისთვის დივერსიფიკაციაში შეიძლებავიგულისხმოთ ტრანზაქციები, რომლებიც სხვადასხვა ვალუტის შეძენა ან გაყიდვა. ამასთანავე, რაციონალური ინვესტორები ინვესტირების დროს აუცილებლად ასევე ითხოვენ ე.წ. რისკის პრემიას, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ მოგება/უკუგება უნდა ნახონ იმ რისკის სანაცვლოდაც, რომლის აღმოფხვრაც დივერსიფიკაციის დროსაც შეუძლებელია (სისტემური რისკი).

ძალიან ხშირად, რისკს განსაზღვრავენ, როგორც გაურკვევლობას და შემთხვევას, როდესაც გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, რაც კონცეპტუალურად არასწორია: ყველა ის ცვლადი, რომლებიც შესაძლებელია მათემატიკურად გამოითვალოს და გამოისახოს ალბათობებში - არის რისკი, ხოლო ე.წ. “გაურკვევლობა” არის ის ფაქტორი, რომლის რიცხვებში ტრანსფორმაციაც შეუძლებელია. შესაბამისად, რისკი გაზომვადია და მართვადი, “გაურკვევლობა” კი ამოუცნობი და უმართავი. უფრო მეტიც, ფილიპ ჯორიონი (2001) რისკს განსაზღვრავს როგორც მოულოდნელი შედეგების რყევას [2].

რისკის კონცეფციის სწორი ინტერპრეტირება განასკუთრებით კრიტიკული არის იმდენად, რამდენადაც ეკონომიკურ ბაზარს (ჩვენ შემთხვევაში სავალუტო ბაზარს) ახასიათებს ინფორმაციული ასიმეტრიულობა, რაც იწვევს იმას, რომ ბაზარზე არსებულ ყველა რისკს ბაზრის ყველა მონაწილე სხვადასხვაგვარად აღიქვამს, შესაბამისად სხვადასხვაგვარად რეაგირებს მათზე, რასაც განსხვავებულ ეკონომოკურ შედეგებამდე მივყავართ თითოეული მათგანისთვის და მთლიანად ეკონომიკისთვის. რისკის ეფექტურად მართვის შედეგად, ეკონომიკურ აგენტებს პირველ რიგში შეუძლიათ შეამცირონ მათ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ხარჯები ან მათი აქტივის ღირებულების შემცირების უარყოფითი ეფექტები.

### რისკი და ეკონომიკური გადაწყვეტილებები

გამომდინარე იქიდან, რომ რისკის მართვის ამოცანა არის ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების შედეგად პოტენციურად წარმოქმნილი დანაკარგების შემცირება, რისკების ანალიზისთვის დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსური გადაწყვეტილებების თავისებურებებს და ამ გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტს. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კუთხით, რომ ჩვენს მოდელში გარდა მოგებაზე ორიენტირებული ეკონომიკური აგენტებისა, მონაწილეობს მთავრობაც, რომლის გადაწყვეტილებასაც აქვს ბევრად უფრო მასობრივი და გრძელვადიანი ეფექტი. შესაბამისად, მთავრობის მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესი, კონტექტის და ამ გადაწყვეტილების მოტივატორი არის პოტენციურად ეკონომიკაში გაჩენილი რისკის ერთ-ერთი მთავარი წყარო. მთავრობის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება

აისახება ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც ავტომატურად განაპირობებს ბაზრის დანარცენი მონაწილეების კონკრეტულ საპასუხო ქმედებას. შესაბამისად, მთელი რიგი ეკონომიკური რისკებისა პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

ფინანსურ თეორიაში, რისკის მართვის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის ე.წ. "რისკის ტრანსფერი"-ს გზა [3, 18-24], რაც გულისხმობს იმას, რომ თუ კომპანიის მხრიდან დიდი პოტენციური დანაკარგების წყაროები ზუსტად და დროულად არის იდენტიფიცირებული, მაშინ შეიძლება მოხდეს მათთან დაკავშირებული რისკების ტრანსფერი კომპანიის სხვა ტრანზაქციებზეც, რაც საბოლოო მათემატიკურ გამოსახულებაში კომპანიის წინაშე არსებულ რისკს ამცირებს. თუ ამ პროცესს განვაზოგადებთ უფრო ფართო ეკონომიკურ რეალობაზე, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ შემდეგი სურათი: მთავრობას, როგორც ეკონომიკურ ბაზრის მთავარ მონაწილეს, შეუძლია საკუთარ გადაწყვეტილებებთან დაკვშირებული რისკი გადაანაწილოს ბაზრის სხვა მონაწილეებთან და შესაბამისად მათთვის გაზარდოს პოტენციური დანაკარგები. მთავრობის მხრიდან ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები განსხვავებულ შედეგებს იძლევა მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში: პირველ შემთხვევაში უმეტესწილად მთავრობის მოტივაცია არის მისი სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მიღწევა, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგებთან [3].

ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღებაც, როგორც ჩვენს მიერ აღწერილი სხვა შემთხვევები დამოკიდებულია გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლისა და ხარჯების ოდენობებთან. უფრო კონკრეტულად კი, როდესაც რისკის ტრანსფერიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები რაციონალურად დაბალია, მაშინ მთავრობას/ცენტრალურ ბანკს აქვს მოტივაცია რისკის შესამცირებლად (მაგალითად, სხვადასხვა პოზიციების დაკავება სავალუტო დერივატივებში, სადაზღვევო ან ფორვარდული კონტრაქტები, და ა.შ). მიკროეკონომიკურ ჭრილში, თუ ამას შეხვედავთ კომპანიების დონეზე, მაშინ მათთვის ეს პრობლემა კონკრეტული კაპიტალის სტრუქტურაზე დადის. თუმცა მაკროეკონომიკურ დონეზე, ეს პრობლემა ბევრად უფრო კომპლექსურია: ნებისმიერი კონკრეტული მოგებაზე ორიენტირებული ეკონომიკური აგენტის მსგავსად, მთავრობისთვისაც კრიტიკურად მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსის ფასი, ანუ უფრო ფართო ჭრილში სავალუტო გაცვლის კურსი. იმისთვის რომ, კურსი იყოს მთავრობის ხედვისთვის მიხედვით მისთვის ოპტიმალური, სხვა თანაბარ პირობებში, საჭიროა უცხოური და ადგილობრივი ვალუტების სამიზნე დონის შემუშავება და შენარჩუნება. შესაბამისად, მთავრობის მიერ მიღებული მაკროეკონომიკური გადაწყვეტილებები გრძელვადიან პერიდში გავლენას ახდენენ ზუსტად ვალუტის ბალანსზე, რაც თავის მხრივ სავალუტო გაცვლით კურსზე აისახება.

იმ შემთხვევაში თუ რისკის ტრანსფერთან ასოცირებული ხარჯები მაღალია, მაშინ მთავრობის და ცენტრალური ბანკის ამოცანა შესაძელებელია მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებული ფისკალურ/მონეტარული პოლიტიკის შემუშავებაა. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს დაშვებას, რომ გრძელვადიანი პერიოდში გარე ფაქტორები და ექსტერნალური ფუნდამენტური ეკონომიკური ცვლადები ისე შეიცვლება, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახოს და მოკლევადიანი სტრატეგიებთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები და რისკები დააბალანსოს.

თუ რისკს, როგორც მაკროეკონომიკურ ცვლადს, ისე შევხედავთ, მაშინ მნიშვნელოვანი გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი არის რისკის წარმოშობის წყაროს ზუსტი იდენტიფიცირება, ხოლო მეორე - იდენტიფიცირებული რისკის პოტენციურად ნეგატიური ზეგავლენის შემცირება. თუ რისკს შევხედავთ, როგორც მიკროეკონომიკურ პარამეტრს, მაშინ მისი წარმოშობის ყველაზე ადკევატური წყაროები შეიძლება იყოს ბაზარზე გრძელვადიან პერსპექტივებთან დაკავშირებული არსებული გაურკვევლობა, ასევე ფინანსური ნაკადების ცვლილება, გამოწვეული საპროცენტო განაკვეთების, გაცვლითი კურსების, ფასების დონის, და ა.შ. ცვლილებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს რისკს მაკროეკონომიკურ დონეზეც: იმის გარდა, რომ ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში არსებული არასტაბილურობა საბოლოო ჯამში მთელს ეკონომიკიაზე იქონიებს კუმულატიურ ეფექტს, ასევე ეკონომიკის დარგების პოტენციური კლება, იწვევს მთავრობისთვის გადასახდელ ნაკლებ გადასახდელს, რაც იგივეა რაც კომპანიისთვის ფულადი ნაკადები. ამ უკანასკნელის შემცირებას კი თავის მხრის რევერსული ეფექტი აქვს ისევ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც უკვე ითვალისწინებს გარკვეულ ანტიკრიზისულ ნაბიჯებს. ამ შემთხვევაში თუ გავითვალისწინებთ თვითგანხორციელებადი სავალუტო მოდელის მთავარ მახასიათებელს,

მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ მთავრობის მხრიდან ასე პოლიტიკის შემუშავება ბაზრის დანარჩენ მონაწილეებს აწვდის ახალ ნეგატიურ სიგნალებს ეკონომიკის სამომავლო კონდიციასთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის გრძელვადიან ამოცანად რჩება მაქსიმალური ღირებულების შექმნა, რისი მიღწევაც მხოლოდ რისკების ეფექტური მართვის შემთხვევაში არის შესაძლებელი [5, გვ 61-69].

ერთი შეხედვით, მაკროეკონომიკურ დონეზე ღირებულების შექმნა შეიძლება ჩაითვალოს აბსტრაქტულ ტერმინად, თუმცა ამ შემთხვევაში ღირებულების შექმნა პირველ რიგში გამოისახებ ეკონომიკის გრძელვადიან და სტაბილურ ზრდაში. თუმცა ამ შემთხვევაში ფინანსური მიდგომა ნაკლებად გამოგვადგება, რადგანაც კლასიკური ფინანსური თეორიის მიხედვით კომპანიის ღირებულება იზომება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით და სწორედ დისკონტის განაკვეთში არის ინტეგრირებული რისკის ოდენობაც. მიუხედავად იმისა, რომ მაკროეკონომიკურ დონეზე რთულია რაიმე კონკრეტული ფულადი ნაკადების განსაზღვრა და შესაბამისად მათი დისკონტირება, მაკროეკონომიკურ პოლიტიკას მაინც ირიბი გავლენა აქვს ბიზნეს გადაწყვეტილებების დროს გამოყენებულ დისკონტის განაკვეთზე: მაგალითად, იმ ქვეყანაში, რომელთანაც მაღალი რისკები ასოცირდება, შესაბამისად შედარებით მაღალი დისკონტირების განაკვეთი იქნება. ეს უკანასკნელი საბოლოო ჯამში იწვევს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველობა მცირდება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შედარებით კლებულობს და შესაბამისად იცვლება ქვეყნის შიდა და უცხოური ვალუტების პროპორციული თანაფარდობა, ანუ სავალუტო კურსი [4].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Brehmer, B. (1987), The Psychology of Risk. In Singleton, W. T. & Howden (eds.). Risk and decisions (pp. 25-39), New York, Wiley.
2. Jorion Philippe, 2001, Value At Risk, The New Benchmark for Managing Financial Risk, Second Edition, McGraw Hill.
3. Stulz RM, 1996, Rethinking Risk Management, Journal of Applied Corporate Finance, No.9, pp. 8-24.
4. Laux C., 2005, Integrating Corporate Risk Management, in: Risk Management, Challenge and Opportunity, 2nd Edition, Springer, Berlin-Heidelberg. Editors: Frenkel M., Hommel U., Rudolf M.
5. Yates A., Firer C., 1997, The Determinants of the Risk Perceptions of Investors, Investment Analysts Journal, No. 44, გვ.61-69.


## Currency Market Risks and their role in economic decision making process


Giorgi Danelia
Ph.D Student at Iv. Javakhishvili Tbilisi State University.
Mob: +995 577 212022
Email: giorgi.danelia@hotmail.com



The article refers to the behavior of economic agents, engaged in the risk assessment and perception processes. However, the risk and tendency of the attitude towards risk is mainly discussed within with the framework of the foreign exchange markets and its participants. In addition to the market participants, the foreign exchange market and risk analysis is related to the Government as well, as to the policy maker, and also the Central Bank as the country's monetary authority.

For the proper analysis of foreign exchange market and its structure we can consider the government and the central bank as one side of the market, while the rest of the market participants (private economic agents, whose goal is to maximize profits and at the same time reduce the risk) – is the other side of the market. In this regard, article also discusses the risk management methods and their potential impact on economic agents' behavior.

We can say that the risk perception and attitude towards it by the economic agents is the one of the main motivators for their behavior and helps massively to explain their decisions. Therefore, we can say that understanding the risk perception can be a good guide for predicting accurately future behavior of market participants.

# კონტროლინგის სისტემის ფორმირების აქტუალური საკითხები



ალექსანდრე ნაჭყებია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
e-mail: san_nachkebia@yahoo.com
ტელ: 593-30-60-97

*თანამედროვე პერიოდში როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე კონკურენციის გამწვავება და სხვადასხვა ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეები აიძულებენ კომპანიებს ეძებონ მართვის ახალი, უფრო ეფექტიანი და თანამედროვე გამოწვევების ადექვატური სისტემა. ასეთ სისტემად წარმოგვიდგება კონტროლინგი, რომელიც საწარმოებს საშუალებას აძლევს განახორციელოს ორგანიზაციული და საინფორმაციო სტრუქტურის მოდერნიზაცია.*

*კონტროლინგი კომპანიის მართვის განუყოფელ ნაწილად შეიძლება ჩავთვალოთ. იგი ბიზნესის მართვის ერთ–ერთი თანამედროვე და ეფექტიანი ინსტრუმენტია. კონტროლინგის სისტემის გამოყენების საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ეძლევათ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე სამმართველო გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენონ ყველაზე ოპტიმალური და ეფექტიანი ინსტრუმენტები.*

*კონტროლინგის სამსახურმა უნდა გადაწყვიტოს უპირველეს ყოვლისა სტრატეგიული ამოცანები. სწორედ ამაშია მისი განსხვავება ორგანიზაციის სხვა საფინანსო–ეკონომიკური სამსახურებისაგან. კონტროლინგის სამსახური მოწოდებულია მართოს მიმდინარე ანალიზის პროცედურები და საგეგმო და ფაქტიური მონაცემების კოორდინირება მოახდინოს ისეთნაირად, რომ მაქსიმალურად თავიდან იქნას აცილებული შეცდომები, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში.*

თანამედროვე პერიოდში ჩვენს ქვეყნაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებს ცვალებად და არამყარ გარემო პირობებში უწევთ ფუნქციონირება, რაც როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორების გავლენით არის გამოწვეული. კერძოდ, იმპორტის დიდი მასშტაბები, ნედლეულსა და მასალებზე ფასების ზრდა, ლარის კურსის დაქვეითება, მართვის დაბალი ეფექტიანობა და ა.შ. ასევე, მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილური განვითარება ეროვნული კომპანიების ფუნქციონირების პირობებს მეტად ართულებს. ყოველივე ეს კი ცხადია გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენენ ცალკეული ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობაზე.

თანამედროვე პერიოდში როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე კონკურენციის გამწვავება და სხვადასხვა ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეები აიძულებენ კომპანიებს ეძებონ მართვის ახალი, უფრო ეფექტიანი და თანამედროვე გამოწვევების ადექვატური სისტემა. ასეთ სისტემად წარმოგვიდგება კონტროლინგი, რომელიც საწარმოებს საშუალებას აძლევს განახორციელოს ორგანიზაციული და საინფორმაციო სტრუქტურის მოდერნიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად აქტუალური ხდება ცალკეული სამეურნეო ობიექტების მენეჯმენტის სრულყოფა კონტროლინგის სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. მან უნდა უზრუნველყოს ცვალებადი გარემოსადმი საწარმოების სწრაფი ადაპტირების უნარი, საწარმოოს მართვის სტრუქტურების გამართული მუშაობა და სწორი, ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ თანამედროვე პირობებში ორგანიზაციების მართვის აღიარებულ ინსტრუმენტს კონტროლინგი წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს აღრიცხვის, საინფორმაციო უზრუნველყოფის, კონტროლისა და კოორდინაციის ფუნქციას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში კონტროლინგის ორი – ამერიკული და გერმანული მოდელი

განიხილება. ამერიკული მოდელის თანახმად ძირითადი ყურადღების გამახვილება ხდება კონტროლინგის ინსტრუმენტზე და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ხოლო გერმანულ მოდელში – კონტროლინგის პრინციპებისა და მეთოდების დასაბუთებაზე.

კონტროლინგისადმი მზარდი ინტერესი განპირობებული იქნა განვითარებულ ქვეყებში (განსაკუთრებით აშშ–სა და დიდი შვიდეულის ქვეყნებში) ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, საწარმოების გამსხვილებით, წარმოებისა და დაგეგმვის პროცესების გართულებით.

კონტროლინგი, როგორც საწარმოს მართვის სისტემა ხელს უწყობს დანახარჯების შემცირებას ამა თუ იმ რესურსზე გაუმართლებელი დანახარჯების გამოვლენით, ამცირებს ორგანიზაციის შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებულ რისკებს, ხელს უწყობს პერსონალის სტაბილურ საქმიანობას მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგის მისაღწევად.

გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად კონტროლინგმა უნდა შეძლოს ისეთი საინფორმაციო სისტემის ფორმირება, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელებს შესაძლებლობას მისცემს დროულად დააფიქსირონ გარე გარემოში წარმოქმნილი საფრთხეები თუ შესაძლებლობები და ოპერატიულად მიიღონ ადექვატური სამმართველო გადაწყვეტოლებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გარე და შიდა გარემოს მაღალი დინამიურობის პირობებში მენეჯმენტისა და კონტროლიგის სისტემებისადმი წაყენებულ უმთავრეს მოთხოვნებს წარმოადგენს:

1. ბაზარზე მიმდინარე მოკლევადიან ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების უნარი;

2. ბაზრზე მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებისადმი სწარაფი ადაპტირების უნარი;

3. ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად გამოყენების უნარი.

მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებში კონტროლინგის სისტემის გამოყენების გამოცდილებიდან გამომდინარე[5], შეიძლება დავასკვნათ, რომ:

– კონტროლინგი ხელს უწყობს სამმართველო გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ამაღლებას;

– კონტროლინგის გამოყენება დადებითად აისახება მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებისა და მართვის ხარისხის რეალიზაციაზე;

– კონტროლინგის გამოყენება ზრდის სამმართველო პერსონალის შრომის მწარმოებლურობასა და საწარმოო პროცესის ეფექტიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლიგი კომპანიის მართვის განუყოფელ ნაწილად შეიძლება ჩავთვალოთ. იგი ბიზნესის მართვის ერთ–ერთი თანამედროვე და ეფექტიანი ინსტრუმენტია. კონტროლინგის სისტემის გამოყენების საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ეძლევათ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე სამმართველო გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენონ ყველაზე ოპტიმალური და ეფექტიანი ინსტრუმენტები, რადგანაც კონტროლინგი ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, განზოგადებისა და სამმართველო გადაწყვეტილების მიღების ერთიან თვითმართვად სისტემაში აერთიანებს დაგეგმვის, აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის ტრადიციულ მეთოდებს.

კონტროლინგის, როგორც სისტემის გახილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იგი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: მიზნების დასახვა, მონიტორინგი, დაგეგმვა, კონტროლი, აღრიცხვა, ანალიზი, საინფორმაციო ნაკადების მართვა და შესაბამისი სამმართველო გადაწყვეტილებების მისაღებად რეკომენდაციების შემუშავება. სწორედ ამიტომ, კონტროლინგი უზრუნველყოფს კომპლექსურ მიდგომას ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაში.

ამგვარად, კონტროლინგის სისტემის სტრუქტურა უნდა პასუხობდეს კონკრეტული კომპანიის ყველა მოთხოვნებს, მის მიზნებსა და ამოცანებს. უნდა გააჩნდეს ადაპტირების უნარი შიდა და გარე გარემოს ცვლილებებისადმი. ამავდროულად ის უნდა იყოს ერთიანი და მოქნილი.

ყოველი კონკრეტული ორგანიზაციისათვის, გამომდინარე მისთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან და სპეციფიკურობიდან, კონტროლინგის სისტემა ინდივიდუალურია. ამიტომ, კონტროლინის უკვე არსებული, მზა მოდელის მორგება ამა თუ იმ ორგანიზაციისადმი უშედეგო და არაფრის მომცემია. ბაზარზე მდგომარეობისა და სიტუაციის დინამიურობიდან გამომდინარე ნებისმიერი ცვლილება კომპანიის სტრატეგიაში, განაპირობებს ორგანიზაციის შიდა ბიზნეს პროცესებისა და სტრუქტურის რეორგანიზაციის აუცილებლობას. ყოველივე ამას კი მივყევართ კონკრეტული სიტუაციის ადექვატური კონტროლინგის სისტემის დანერგვამდე.

ორგანიზაციაში კონტროლინგის სისტემის ჩამოყალიბების ორგანიზაციულ–

მეთოდოლოგიური ასპექტები დაკავშირებულია ისთ საკითხებთან, როგორიცაა: კონტროლინგის სამსახურის ფორმირება, მისი ადგილის განსაზღვრა კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, საინფორმაციო ნაკადების ანალიზი და კონტროლინგის სისტემის დანერგვის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტების შეფასება.

კონტროლინგის ეფექტიანი სისტემის დანერგვა უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპზე, მაგრამ ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მაკონტროლებელი სამსახურების თანამშრომლების პროფესიონალიზმი და პიროვნული მახასიათებლები.

კონტროლინგის სამსახურის ფუნქციების დასაზუსტებლად მიზანშეწონილია იმ სფეროების გამოყოფა, რომლებთანაც მას კავშირი გააჩნია. ესენია: ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება; მმართველობითი აღრიცხვა და ბიუჯეტირება; შიდა აუდიტი; სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა; მარკეტინგი; კადრები.

ამგვარად ორგანიზაციის კონტროლინგის სამსახური მოწოდებულია შეასრულოს მართვის პროცესების რაციონალიზაციისა და ოპტიმიზაციის ფუნქცია სამმართველო გადაწყვეტილებების ხარსხობრივი მაჩვენებლების ამაღლების მიზნით.

ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, ორგანიზაციაში კონტროლინგის დანერგვის პროცესს თან სდევს გარკვეული წინააღმდეგობები, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ–ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან და უშუალოდ კონტროლინგის მოდელთან, რომელსაც ორგანიზაცია ირჩევს. კერძოდ, ანალიზის არსებული მეთოდების არასრულყოფილება; საშიშროება, რომელიც შეიძლება დაემუქროს ზოგიერთი სტრუქტურის (მაგალითად, ბუღალტერია, საგეგმო განყოფილება) ან ამ ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სტატუსს; ორგანიზაციულ კულტურასთან შეუსაბამობა და ა.შ.

კონტროლინგის სისტემის დანერგვისას ძირითად ადგილი აქვს კონტროლიორების ქცევის ისეთ ნაკლოვანებებს, როგორიცაა: 1. მაკონტროლებელი საკუთარი ფუნქციად უშუალოდ კონტროლის განხორციელებას მიიჩნევს და საკუთარ თავს არგანიხილავს ხელმძღვანელობის პარტნიორად და მრჩევლად; 2. მაკონტროლებელი საქმიანობისას ხშირად ეყრდნობა საფინანსო მონაცემებს და ამავდროულად იგნორირებს ბრენდის ცნობადობის ინდექსს, კლიენტების დაკმაყოფილების ინდექსს, ოპერაციების შესრულების სისწრაფეს, პერსონალის კმაყოფილების ინდექსს; 3. მაკონტროლებელი კონტროლინგის ამოცანებს განიხილავს, როგორც ოპერატიულ–მოკლევადიან და არა სტრატეგიული ხასიათის ამოცანებად; 4. მაკონტროლებელი თუ ვერ ფლობს არგუმენტირებულ მსჯელობისა და დასაბუთების უნარს, მას უჭირს კომუნიკაციის პროცესი და ინფორმაციის გაცვლა.

ცხადია, რომ კონტროლინგის სამსახურის თანამშრომლებს საკუთარი თანამდებობრივი ვალდებულებები გააჩნიათ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია მათ მუშაობაში გუნდური პრინციპების დაცვა, განსაკუთრებით დიდი მოცულობის ანალიტიკური ხასიათის სამუშაოს შესრულებისას, რომელიც ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. რომ კონტროლიორი – ესაა ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტს სწავლობს, გააჩნია ცოდნის დიდი მარაგი, აზროვნებს სისტემურად და მოქმედებს ჰარმონიულად გარემოსთან, ორიენტირებულია დასახული მიზნების მიღწევაზე, რათა წარმატებით განხორციელდეს ორგანიზაციის მართვის პროცესი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კონტროლიორი უნდა იყოს მრავალმხრივად განვითარებული პროფესიონალი მენეჯმენტის სფეროში. შესაბამისად, მისადმი წაყენებული მოთხოვნებიც მაღალია.

კონტროლინგის სამსახურმა უნდა გადაწყვიტოს უპირველეს ყოვლისა სტრატეგიული ამოცანები. სწორედ ამაშია მისი განსხვავება ორგანიზაციის სხვა საფინანსო–ეკონომიკური სამსახურებისაგან. კონტროლინგის სამსახური მოწოდებულია მართოს მიმდინარე ანალიზის პროცედურები და საგეგმო და ფაქტიური მონაცემების კოორდინირება მოახდინოს ისეთნაირად, რომ მაქსიმალურად თავიდან იქნას აცილებული შეცდომები, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Анискин Ю. П. Планирование и контролинг: учебник, 2-е изд. М.: Омега-Л 2005 – 280 с.
2. Вебер Ю., Шефер У., Введение в контролинг: пер. с нем./под. ред. С. Г. Фалько. –М. Изд-во НП «Обьеденение контроллеров». 2014 – 416 с.
3. Большаков, А.С. Современный менеджмент: теория и практика / В.И. Михайлов. – СПб.: Питер, 2000. –

416 с.
4. Фейгенбаум, А. Контроль качества продукции: Сокр. пер. с англ. – М.: Экономика, 1990. - 471 с.
5. Tim Koller. What is value Based management? // THE McKINSEY QUARTERLY. 1994 - № 3 – p. 97-109

## Actual issues of controlling system formation

Alexandre Nachkebia
PhD student of Sokhumi State University

Current increase of competitive challenges at local and foreign markets as well as economic hardships caused by different factors force companies to search for new, more effective and adequate management system of modern challenges. We may suggest that such system is controlling, that enables enterprises to implement modernization of organizational and informational structures.

Controlling may be considered as an integral part of company management. It is one of contemporary and effective instrument of business management. On the basis of application of controlling system the company's management is able to apply optimal and most effective instruments in managerial decision-making in relation to any particular situation.

Controlling Department should make decisions about strategic tasks. This is Department's difference from company's other financial-economic departments. Controlling Department is managing current analysis procedures and coordinates planning of actual data in a way, maximally preventing any mistakes in long-term and short-term period perspective.

# ЭФФЕКТИВНАЯ ТЕХНОЛОГИЯ ОРГАНИЗАЦИИ ВРЕМЕНИ ДЛЯ СОВРЕМЕННОГО МЕНЕДЖЕРА

**Карбетова Ш.Р.**
профессор Каспийского общественного университета, к.э.н., г. Астана, Республика Казахстан
8701 884 43 35
karbetova_2013@mail.ru

**Курманкулова Н.Ж.**
профессор Казахского университета технологии и бизнеса, к.э.н, г. Астана, Республика Казахстан
8701 800 44 60
kzr_2011@mail.ru

**Карбетова З.Р.**
профессор Казахского университета технологии и бизнеса, к.т.н, г. Астана, Республика Казахстан
8 775 363 39 78
kzr_2011@mail.ru

*В статье уделено внимание тайм - менеджменту как технологии организации времени и повышения эффективности его использования. Исследованы вопросы управления временем сотрудников и обоснована необходимость и значимость внедрения технологий тайм – менеджмента в практику современной организации. Изложены методики международных бизнес-тренеров. Выявлено, что эмоциональное напряжение блокирует производительность труда сотрудников. Проведена группировка целей и задач тайм-менеджмента. Выявлены приоритеты управления рабочим временем. Представлены приёмы грамотного сочетания различных методов тайм-менеджмента.*

*Ключевые слова: методы тайм-менеджмента, методики международных бизнес-тренеров, производительность труда сотрудников, планирование, расстановка приоритетов, закон принудительной эффективности, позитивные и негативные факторы эффективного управления.*

Целью данного исследования является рассмотрение основных вопросов управления временем сотрудников предприятия, и обосновать значимость внедрения технологий тайм-менеджмента в практику современной организации.

Система управления временем составляет сочетание процессов, инструментов, техник и методов. Обычно управление временем является необходимостью в развитии любого проекта, поскольку определяет время завершения проекта и его масштабы. Поэтому в последние годы все большее количество организаций осознают потребность в централизованном корпоративном внедрении технологии организации времени и повышения эффективности его использования, которая обусловила необходимость определить место технологий тайм-менеджмента в системе управления организацией. Особенно остро задача эффективного тайм-менеджмента стоит перед руководителями – они управляют не только своим собственным временем, но и рабочим временем своих подчиненных. Многие из них сталкиваются с дефицитом рабочего времени, который незаметно перерастает в отсутствие у них свободного времени [1].

Управление временем — это действие или процесс тренировки сознательного контроля над количеством времени, потраченного на конкретные виды деятельности, при котором специально увеличиваются эффективность и продуктивность. Следовательно, тайм-менеджмент помогает более эффективно использовать не только рабочее время, но и время отдыха. В частности, рекомендуется не брать работу домой, организовать быт так, чтобы он занимал минимум времени, заранее тщательно планировать свободное время и следовать этим

планам, в частности регулярно практиковать эмоциональное (театры, концерты, выставки и т. п.) и физическое (спорт, фитнес) переключения. В американских компаниях, если рядовой сотрудник остаётся на работе дольше, чем это установлено у него в трудовом договоре, данный факт может послужить причиной увольнения, так как это свидетельствует о том, что сотрудник не успевает сделать свои задачи в свое рабочее время. Использовать для активного отдыха не только выходные, но и как минимум один вечер рабочего дня в неделю, а также использовать в качестве мини-отпуска длинные выходные и праздничные дни. В деловых поездках планировать свободное время (от нескольких часов до двух дней) для осмотра местных достопримечательностей. На время отпуска установить правила использования телефона, электронной почты, интернета и пр. и придерживаться их [2].

Темп современной жизни не позволяет менеджеру расслабиться, требуя от него с каждым днем всё больше. Обращаясь к тайм - менеджменту и начиная внедрять его приемы на практике, руководители ожидают быстрых и волшебных результатов. Если таковые не появляются, обвиняют систему в несостоятельности. Современных систем управления временем достаточно много. Стивен Кови, международный бизнес-тренер и автор нескольких трудов по тайм - менеджменту, разделил все свои методики на 4 поколения:

1. Первое сконцентрировано на составлении перечней и памяток;
2. Второе — на составлении планов и подготовке к их реализации;
3. Третье — на составлении планов, расстановке акцентов и контроле их выполнения.
4. Четвертое — основано на жизненных принципах и новом взгляде на жизнь в целом.

По мнению Стивена Кови, первые три методики давно не актуальны, хотя, как показывает практика, их все еще активно используют. Практически все системы тайм-менеджмента имеют ряд «подводных камней». Вот некоторые из таких «камней».

Ритм, в котором живет большинство из нас, вряд ли можно назвать спокойным и размеренным. Нехватка времени, аврал и жесткий цейтнот являются испытаниями, справиться с которыми под силу далеко не каждому. Постоянное пребывание в состоянии «не знаю, за что хвататься» вряд ли можно назвать подходящим, когда речь идет о личной эффективности. Эмоциональное напряжение блокирует производительность, приводит к быстрой утомляемости и апатии. Поэтому, чтобы не стать жертвой стресса или, еще хуже, синдрома хронической усталости, уделим внимание управлению.

Все успешные люди очень продуктивны. Они много работают и много успевают, а это не одно и то же. Под продуктивностью, в первую очередь, подразумевается результат, а не процесс. Если Вы намерены повысить свою производительность, твердо решите сделать это. Люди тратят время впустую, потому что они так и не решили повысить свою производительность.

Если Вы решились, то не отступайте и повторяйте то, что делают все успешные люди, пока это не станет Вашей второй натурой. Основной секрет личной эффективности заключается в правильном распределении времени. Тайм-менеджмент помогает избежать незавидной участи заложника собственного бизнеса или карьеры.

Те, кто добился успеха в своей жизни, много времени посвящают планированию. Ежедневное планирование просто необходимо для повышения производительности и эффективного управления временем. Работа со списком запланированных дел в первый же день увеличивает производительность на 25%. С вечера необходимо приготовить список задач, которые нужно сделать завтра. Придя на работу, Вы всегда будете знать, с чего начать свой день, так как план работы направляет Вашу деятельность по эффективному руслу. Продолжайте работать с составленным списком в течение дня: при появлении нового дела вносите его в список с учетом приоритетности по отношению к ранее запланированным задачам. Выполнив очередную задачу из списка, обязательно вычеркивайте ее. Это даст Вам ощущение удовлетворенности своей работой, прибавит энтузиазма и зарядит энергией.

Планируйте от большего к меньшему, от долгосрочного к краткосрочному, от целей жизни до плана на день. Каждой задаче ставьте фиксированные сроки. Сложную задачу всегда делите на мелкие подзадачи. Здесь хорошо помогает дерево решений, где ключевая задача — дерево, а подзадачи для ее выполнения — ветви. Продолжайте «разветвление» до тех пор, пока процесс выполнения всей задачи не станет простым и прозрачным. Перед тем, как начать что-либо делать, вспомните о правиле 10/90: 10% времени, затраченного на планирование до начала выполнения задачи, сэкономит 90% времени при ее решении.

Задача тайм-менеджмента заключается в том, чтобы вовремя определить главное дело. Расстановка

приоритетов позволяет эффективно управлять списком намеченных дел, присваивая каждой задаче свой уровень важности. После определения важного дела оцените последствия в случае его выполнения или невыполнения. Важная задача имеет серьезные последствия, если не будет выполнена в срок. Для расстановки приоритетов хорошо подходит метод АБВГД. Это очень простой способ планирования, и заключается он в том, чтобы каждой задаче в списке дел присвоить приоритет ее выполнения.

Для расстановки приоритетов в каждой группе задач, используйте цифры, которые будут указывать на последовательность выполнения дел. Таким образом, самое важное дело в Вашем списке должно быть обозначено как А1. Основной секрет управления временем заключается в сосредоточенности и целенаправленности. Начните с решения первоочередных задач и делайте все последовательно, то есть что-то одно в определенный период времени. Бросая дело и возвращаясь к нему снова и снова, Вы снижаете свою эффективность в 5 раз. Используйте закон принудительной эффективности, который говорит о том, что на все времени никогда не хватает, но его всегда достаточно для самого важного. Поэтому важно собраться и заставить себя сделать в первую очередь то, что принесет наибольшую выгоду и результат.

Наибольшее распространение при постановке управления рабочим временем получили следующие приёмы:

1. Матрица Эйзенхауэра или Принцип Эйзенхауэра - техника расстановки приоритетов, использование которой позволяет выделить важные и существенные дела и решить, что делать с остальными. Эйзенхауэр выделил следующие 4 категории дел по критериям - важности и срочности:

A) Важные и срочные (планирование новых проектов, оценка полученных результатов, превентивные мероприятия, налаживание отношений, определение новых перспектив, альтернативных проектов). Нужно сделать немедленно, если такие дела у вас есть.

B) Важные и несрочные (разрешение кризисов, неотложные задачи, проекты, у которых подходят сроки сдачи). Самые «обиженные», наиболее ущемляемые дела, связанные с собственным развитием, обучением сотрудников и т. п. Часто дела типа А появляются из-за пренебрежения делами типа В.

C) Неважные и срочные (рутинная работа, некоторые письма, некоторые телефонные звонки, «Пожиратели времени», развлечения) Эти дела очень любят маскироваться под дела А. Человеку свойственно путать срочность и важность: всякое срочное он автоматически считает важным. В основном именно дела С создают в фирмах атмосферу непрерывного кризис-менеджмента, аврала, суматохи.

D)Неважные и несрочные (прерывания, перерывы, некоторые телефонные звонки, некоторые совещания, общественная деятельность). Эти дела нужно «финансировать по остаточному принципу». Но они часто приятны и интересны, поэтому с них начинают трудовой день, убивая ими лучшие рабочие часы.

2. Принцип Парето или Закон Парето, или принцип 20/80, введённый социологом Вильфредо Парето, в наиболее общем виде формулируется как «20% усилий дают 80% результата, а остальные 80% усилий — лишь 20% результата». В связи с этим следует вначале выделить те 20% дел, которые дают максимальный результат, и начинать с них.

Исходя из этой закономерности, можно сделать вывод применительно к рабочей ситуации руководителя: в процессе работы за первые 20 % расходуемого времени достигается 80% результатов. Это означает, что не следует сразу браться за самые легкие, интересные или требующие минимальных затрат времени дела. Необходимо приступать к вопросам, сообразуясь с их значением и важностью.

3. Диаграмма Ганта — это один из наиболее удобных и популярных способов графического представления времени выполнения задач. Диаграмма Ганта дает возможность:

- увидеть и визуально оценить последовательность задач и их относительную длительность;

- сравнить планируемый и реальный ход выполнения задач;

- детально проанализировать реальный ход выполнения задач. На графике отображаются интервалы времени, в течение которых задача: выполнялась, была приостановлена, возвращалась на доработку и т.д.

Опыт показывает, что лучше всего составлять план лишь на определенную часть рабочего времени (на 60%).События, которые трудно предусмотреть, отвлекающие моменты («поглотители времени») не могут быть запланированы целиком без остатка в связи со спецификой работы менеджера, которая заключается в том, что примерно половину рабочего дня руководитель проводит не на рабочем месте, т.к. работа требует взаимодействия с людьми, обмена

информацией.

Как и любое планирование, планирование времени ориентируется на соответствующие долгосрочные цели, которые, в свою очередь, разбиваются на оперативные частичные цели. Планирование предполагает постепенное продвижение вперед, разложение общей задачи на частные, с тем, чтобы различные действия можно было распределить во времени.

Первое, что нужно сделать, — распределить все свои цели и задачи на три группы:

- долгосрочные (стратегические), для их достижения нужно выполнить несколько промежуточных задач;
- среднесрочные (тактические), с задачами этой группы необходимо справиться в ближайшее время, но они пока «терпят»;
- текущие краткосрочные (оперативные), о сути этих целей говорит само их название.

Грамотное составление распорядка дня позволяет продвинуться к выполнению не только среднесрочных, но и долгосрочных задач. К тому же оно благотворно действует на психику человека. Имея перед глазами четкий план, он чувствует себя более уверенным и спокойным.

Направления улучшения использования рабочего времени:

- обеспечение оптимальной и равномерной загрузки исполнителя;
- оснащение рабочего места всем необходимым и его рациональное размещение;
- обеспечение всем необходимым для беспрерывного трудового процесса;
- совершенствование приемов и методов труда;
- комплексное обоснование необходимых затрат труда;
- создание благоприятных условий труда и сохранения здоровья работающего;
- использование рабочих в соответствии с их способностями и квалификацией;
- соответствие количества и качества труда его оплате.

Основная задача в тайм-менеджменте – не упорядочивание всей информации и не перечисление всех возможных дел, а поиск наиболее рационального способа реализации своих дел с учетом их приоритетов. Методы тайм-менеджмента применяются не только для управления личным временем. Современные компании озабочены проблемой экономии времени не меньше. Руководители предприятий пытаются найти идеальный способ повышения продуктивности труда и порою в поисках «идеала» перегибают палку, постоянно контролируя сотрудников посредством камер видеонаблюдения или заставляя подтверждать свое присутствие на рабочем месте каждые полчаса. Правильный тайм-менеджмент основан на правильном перераспределении времени, а не на тотальном контроле.

Таким образом, идеальных методов тайм-менеджмента, которые подходили бы всем и каждому, не существует. Поэтому залог успешного управления временем — грамотное сочетание различных методов тайм-менеджмента. При этом тайм-менеджмент — это технология, позволяющая использовать невосполнимое время вашей жизни в соответствии с вашими целями и ценностями, где следует понимать, что само время является ключевым, то есть стратегическим, ресурсом организации или человека, необходимым для достижения успеха в чем-то конкретно или для устойчивого процветания в целом [4].

На эффективность использования рабочего времени может повлиять множество факторов - как позитивных, так и негативных. Среди основных отрицательных моментов можно выделить проблемы управленческого характера: нечетко поставленные цели и приоритеты, а также организационного - систематическое откладывание выполнения работ на более поздний срок или отсутствие коммуникаций между членами команды. Из результатов видно, что продуктивность использования рабочего времени объективно связана с организацией хранения и доступа к информации - хорошая организация файлов, документов и электронной почты, а также наличие развитых средств доступа к данным являются значимыми факторами эффективного использования рабочего времени.

Вывод: Внедрение инструментов современного тайм-менеджмента для эффективной организации производственных функций сотрудников предприятия, позволит получить следующие виды преимуществ:

1. Организационные - заключаются в наличии ясного и четкого плана и строгого графика работы, в уменьшении различных помех, «разрывов» в работе, в большей динамичности и последовательности, снижении затрат времени на менее важные дела. Кроме того, управление временем позволяет быстрее и эффективнее адаптироваться в окружающей обстановке, повысить эффективность взаимоотношений с другими людьми, использовать

ограничения, накладываемые общением, для повышения результативности своей деятельности.

2. Психологические преимущества – это когда человек, знающий цену своему времени, приобретает уверенность в себе и своих действиях, избавляется от необходимости постоянного выбора и метаний от одного занятия к другому. Он лучше сосредоточивается на действительно важных проблемах, более стоек и готов к преодолению различного рода неожиданностей.

3. Преимущества в деловой сфере – выраженные в повышении результативности принимаемых решений, в эффективности координации с внешними и внутренними контрагентами, в улучшении взаимосвязи между проблемами и методами их разрешения и появлении возможности взглянуть на ситуацию с более высокой точки.

Список литературы

1. Потапов С. В. Как управлять временем (Тайм-менеджмент): учебное пособие / С. В. Потапов. – Ростов н/Д.: Феникс, 2009.

2. Клеменс Д. К. Власть над временем: учебное пособие / Д. К. Клеменс, С.Далримпл. – Ростов н/Д.: Добрая книга, 2007.

3. Глухов Б. Н. Практическое руководство по планированию работ: учебное пособие / Б. Н. Глухов. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2009.

4. Организация времени: от личной эффективности к развитию фирмы/

Г. Архангельский. - 2-е изд. - Москва [и др.]: Питер, 2008.

## EFFECTIVE TECHNOLOGY OF TIME - MANAGEMENT FOR MODERN MANAGER

**Karbetova Sh.R.**

professor of Caspian University, candidate of Economics,

Astana, Republic of Kazakhstan

**Kurmankulova N.Zh.**

professor of Kazakh University of Technology and Business,

candidate of Economics, Astana, Republic of Kazakhstan

**Karbetova Z.R.**

professor of of Kazakh University of Technology and Business,

candidate of Technical Sciences, Astana, Republic of Kazakhstan.

The article focuses on time - management as a technology of time organizing and increase the efficiency of its use. Authors explored the issues of the time-management of employees and justified the necessity and importance of implantation of time-management in the practice of a modern organization. The technique of international business coaches was explored. It was revealed that the emotional stress blocks the productivity of employees. Authors grouped time management goals and objectives. Time management priorities were identified. Methods of the time-management combination were presented.

**Keywords:** methods of time-management, methods of foreign business-coaches, stuff productivity, planning, prioritization, the law of forced efficiency, positive and negative factors of good governance.

# საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკა საბაჟო სტატისტიკაში



მერი დაუშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
E-mail: mdaushvili@geostat.ge

*ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბაჟო სტატისტიკის სწორ წარმოებას, რომელიც ტრასფორმირებას განიცდის და სრულყოფილი ხდება საბაჟო პროცესების ცვლილებების ფონზე. რადგან საბაჟო მოვლენები და პროცესები განიცდის ცვლილებას დროსა და სივრცეში, ამიტომ აუცილებელი ხდება ამ ცვლილებების შეფასება, რისთვისაც უნდა აიგოს და გაანალიზდეს საბაჟო ინდექსები.*

საბაჟო სტატისტიკა სტატისტიკის შედარებით ახალი დარგია, რომლის განვითარება საქართველოში საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებასა და საბაჟო საქმის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს. ამიტომ, საბაჟო ცვლილებების ფონზე ტრასფორმირებას განიცდის და სრულყოფილი ხდება საბაჟო სტატისტიკა.

ისევე როგორც სხვა სფეროში მიმდინარე მოვლენები, საბაჟო მოვლენები და პროცესებიც განიცდის ცვლილებას დროსა და სივრცეში, რის გამოც აუცილებელი ხდება ამ ცვლილების შეფასება.

თანამედროვე სტატისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში მოვლენების ცვლილების მასშტაბის, ზომის, დიაპაზონის, მოცულობის განსაზღვრისას, ვარიაციაზე მოქმედი ფაქტორების დადგენისა და ფაქტორების კავშირის სიმჭიდროვის განსაზღვრისათვის, აგრეთვე საბაჟო მოვლენების რაოდენობრივი მახასიათებლების დინამიკის შესწავლისა და საბაჟო სფეროში მიმდინარე მრავალი, ურთიერთდაკავშირებული პროცესების ცვლილების შესაფასებლად საბაჟო სტატისტიკა აპრობირებულ სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების აპარატს იყენებს. მათ შორის, საბაჟოზე მიმდინარე არაერთგვაროვანი მოვლენების დინამიკის შესაფასებლად სტატისტიკა იყენებს საინდექსო მეთოდს.

საბაჟო სტატისტიკა ინდექსებს აგებს საბაჟო შემოსავლებისა (იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა გადასახდები) და ექსპორტ-იმპორტის ცვლილების შესასწავლად. ცხადია, იმის შესაბამისად ერთი მოვლენის ცვლილება იზომება თუ რამოდენიმესი, საბაჟო სტატისტიკა აგებს ინდივიდუალურ და აგრეგატულ ინდექსებს.

საბაჟო შემოსავლების ცვალებადობის გასაზომად აიგება ინდივიდუალური ინდექსები:

$$i = \frac{q_1}{q_0}$$

სადაც, $q_1$ - საანგარიშო პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) საბაჟო შემოსავალია, ხოლო $q_0$ - საბაჟო შემოსავალია საბაზისო პერიოდისათვის. რადგან საბაჟო შემოსავლებს ძირითადად წარმოქმნის ორი მაჩვენებელი: საბაჟო საგადასახადო ბაზა და საგადასახადო განაკვეთი, ამიტომ ამ ორი კომპონენტის საფუძველზე აიგება საბაჟო შემოსავლების აგრეგატული ინდექსი. დროთა განმავლობაში საბაჟო შემოსავლები განიცდის ცვლილებას, საბაჟო სტატისტიკისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ შეიცვალა საბაჟო შემოსავლები თითოეული ფაქტორის, საგადასახადო ბაზისა და საგადასახადო განაკვეთის ცვლილების ხარჯზე. სწორედ აქ ვლინდება სტატისტიკის როლი გამოავლინოს ინდექსების ფენომენალური თვისება და მოახდინოს აგრეგატული ინდექსის ფაქტორული დაშლა.

საბაჟო შემოსავლების აგრეგატული ინდექსი აიგება შემდეგნაირად[11] :

$$I_{q\lambda} = \frac{\Sigma q_1\lambda_1}{\Sigma q_0\lambda_0}$$

სადაც $I_{q\lambda}$ - საგადასახადო შემოსავლებ-ის საერთო ანუ აგრეგატული ინდექსია, $q_1$ და $q_0$ - საგადასახადო ბაზა (ექსპორტ-იმპორტის მოცულობა) შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში $\lambda_1$ და $\lambda_0$ - საბაჟო საგადასახადო განაკვეთებია საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს საგადასახადო (საბაჟო) შემოსავლებზე არის საგადასახადო ბაზა. მისი საგადასახადო (საბაჟო) შემოსავლებზე გავლენის გასაზომად უნდა აიგოს საგადასახადო ბაზის აგრეგატული ინდექსი:

$$I_q = \frac{\Sigma q_1 \lambda_0}{\Sigma q_0 \lambda_0}$$

სადაც $I_q$ საინდექსო სიდიდეა, $q_1$ - საგადამხდელო ბაზა საანგარიშო პერიოდში, ხოლო $q_0$ - საბაზისო პერიოდებში.

საგადასახადო ბაზა ყოველთვიურად იცვლება და მისი საინდექსო მეთოდით გაზომვა ყოველთვის შესაძლებელია.

საგადასახადო შემოსავლების ფაქტორული დაშლა გულისხმობს საგადასახადო განაკვეთის (λ), აგრეგატული იდექსის აგებას. სადაც საინდექსო სიდიდე საანგარიშო და საბაზისო პერიოდების საგადასახადო განაკვეთის სიდიდეა (λ), ხოლო თანაზომადობის მაჩვენებელს წარმოადგენს საგადასახადო ბაზა მიმდინარე პერიოდის დონეზე. აქედან გამომდინარე საგადასახადო განაკვეთების ინდექსი აიგება შემდეგნაირად:

$$I_q = \frac{\Sigma q_1 \lambda_0}{\Sigma q_0 \lambda_0}$$

სადაც $I_q$ საინდექსო სიდიდეა, $q_1$ - საგადამხდელო ბაზა საანგარიშო პერიოდში, ხოლო $q_0$ - საბაზისო პერიოდებში.

საგადასახადო ბაზა ყოველთვიურად იცვლება და მისი საინდექსო მეთოდით გაზომვა ყოველთვის შესაძლებელია.

საგადასახადო შემოსავლების ფაქტორული დაშლა გულისხმობს საგადასახადო განაკვეთის (λ), აგრეგატული იდექსის აგებას. სადაც საინდექსო სიდიდე საანგარიშო და საბაზისო პერიოდების საგადასახადო განაკვეთის სიდიდეა (λ), ხოლო თანაზომადობის მაჩვენებელს წარმოადგენს საგადასახადო ბაზა მიმდინარე პერიოდის დონეზე. აქედან გამომდინარე საგადასახადო განაკვეთების ინდექსი აიგება შემდეგნაირად:

$$I_\lambda = \frac{\Sigma q_1 \lambda_1}{\Sigma q_1 \lambda_0}$$

ინდექსი გვიჩვენებს საბაჟო გადასახადების განაკვეთების სიდიდის გავლენას საგადასახადო (საბაჟო) შემოსავლებზე.

ამ ინდექსებს შორის მეთოდოლოგიური კავშირი ფორმალიზებულად შემდეგნაირად გამოისახება:

$$\frac{\Sigma q_1 \lambda_1}{\Sigma q_0 \lambda_0} = \frac{\Sigma q_1 \lambda_0}{\Sigma q_0 \lambda_0} \times \frac{\Sigma q_1 \lambda_1}{\Sigma q_1 \lambda_0}$$

ეს კავშირი კარგად შეიძლება გამოვიყენოთ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების ფაქტორულ ანალიზში, რომლის შედეგების ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის შემუშავების წინაპირობა გახდება.

2015 წლის საბაჟო შემოსავლების მონაცემების მიხედვით 2014 წელთან შედარებით ავაგოთ და გავიანგარიშოთ, როგორც ინდივიდუალური ისე აგრეგატული ინდექსები. შედეგად გვექნება:

იმპორტის გადასახადის მიმართ:

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{69294}{94883} = 0{,}73 \quad \text{ანუ} \quad 73\ \%$$

აქციზის გადასახადის მიმართ:

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{651137}{598436} = 0.09 \quad \text{ანუ} \quad 109\ \%$$

ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ:

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{1637524}{1172369} = 1.40 \quad \text{ანუ} \quad 140\ \%$$

მთლიანი საბაჟო შემოსალების ინდექსმა შეად-გინა:

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{2366087}{1871692} = 1.26 \quad \text{ანუ} \quad 126\ \%$$

რაზე მეტყველებს ეს ინდექსები? ეს ინდექსები იმაზე მიუთითებს, რომ 2015 წლის საბაჟო შე-მოსავლები 2014 წლის საბაჟო შემოსავლებთან შედარებით შემცირდა იმპორტის გადასახადის მიმართ 27%-ით, აქციზის გადასახადის მიმართ გაიზარდა 9%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ 40%-ით, ხოლო მთლიანად საშუალოდ გაიზარდა 26%-ით.

როგორია საქართველოს საბაჟო შემოსავლებ-ის დინამიკა 2012-2015 წლებში?

ცხრილი 1

საქართველოს საბაჟო შემოსავლები 2012-2015 წლებში [18]
(ათასი ლარი)

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
|---|---|---|---|---|
| სულ | 1,292,053 | 1,198,956 | 1,871,692 | 2,366,087 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 747,417 | 586,184 | 1,172,369 | 1,637,524 |
| აქციზი | 450,684 | 516,604 | 598,436 | 651,137 |
| იმპორტის გადასახადი | 90,079 | 89,375 | 94,883 | 69,294 |
| სხვა გადასახადები | 3,873 | 6,793 | 6,004 | 8,131 |

მოცემულ პერიოდში იმპორტის გადასახადი შემცირდა 23,1%-ით, აქციზი გაიზარდა 44,5%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადი 119,1%-ით, ხოლო მთლიანად საბაჟო შემოსავლები გაიზ-არდა 83,1%-ით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბაჟო სტატის-ტიკაში ინდექსების გამოყენების მეორე დიდი სფეროა ექსპორტ-იმპორტი.

საბაჟო სტატისტიკაში ექსპორტისა და იმ-პორტის საშუალო ფასების დინამიკის გაზომვი-სას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ე.წ. „პარადოქსების" პრობლემა ეკონომიკაში და მათ შორის საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერ-თობებშიც. ეს „პარადოქსები" იმაში მდგომარე-ობს, რომ შესაძლებელია, მაგალითად, არცერთი სახეობის საექსპორტო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა და ფასები არ გაიზარდოს, მაგრამ საშუალო ფასის დინამიკა ზრდას აჩვენებს. ამ შედეგს იწვევს ის გარემოება, რომ საექსპორტო საქონლის სტრუქტურულმა ძვრებმა (საქონლის შემადგენლობაში მაღალფასიანი საქონლის ან მომსახურების ხვედრითი წილის ზრდა) განა-პირობა საშუალო ფასის მატება საანგარიშო პე-რიოდში საბაზისოსთან შედარებით.

მაგალითისათვის განვიხილოთ წონის მიხედ-ვით უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუ-თეული 2015 წლის მიხედვით.

ცხრილი 2

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეული [18]
(რაოდენობისა და ერთეულის ფასის მიხედვით)

| საქონლის დასახელება ექსპორტში | 2014 | | 2015 | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა (ათასი ტონა | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) | რაოდენობა (ათასი ტონა) | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) |
| აზოტოვანი სასუქები | 464 | 0.3 | 454 | 0.2 |
| ნავთობი ნედლი | 58 | 0.6 | 240 | 0.4 |
| სპილენძის მადნები და კონცენტრატები | 187 | 1.3 | 240 | 1.1 |
| ფეროშენადნობები | 270 | 1.1 | 219 | 0.9 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 147 | 0.9 | 102 | 0.8 |

ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ 2015 წელს საექსპორტო ხუთეულის ყველა სახეობაზე 2014 წელთან შედარებით ფასები შემცირდა (მაგ.: "აზოტოვან სასუქებზე" 0,2/0,3x100=81,6 ანუ 18,4%-ით, "ნედლ ნავთობზე" 0,4/0,6x100=56,6 ანუ 43,4%-ით,,,სპილენძის მადნებზე და კონცენტრატებზე" 1,1/1,3 100=85,2 ანუ 14,8%-ით და ა.შ.). მაგრამ წინასწარ, გაანგარიშების გარეშე რთულია თქმა, საშუალო ფასი საანგარიშო (2015 წ.) წელს შემცირებული იქნება თუ არა. ამის საფუძველს მკვლევარებს აძლევს ის, რომ ამ პერიოდში საექსპორტო საქონლის სტრუქტურა ცვალებადი იყო, ზოგი საქონლის ხვედრითი წილი გაიზარდა, ზოგის კი შემცირდა.

ამის გასარკვევად პირველ რიგში გავიანგარიშოთ საშუალო ფასები შეწონილი საშუალო არითმეტიკულის დახმარებით 2014 (საბაზისო) და 2015 (საანგარიშო) წლებში:

2014წ. $$\bar{x}=\frac{\Sigma xf}{\Sigma f}=\frac{(464\cdot 0.3)+(58\cdot 0.6)+(187\cdot 1.3)+(270\cdot 1.1)+(147\cdot 0.9)}{464+58+187+270+147}=0{,}75$$ აშშ დოლარი

2015წ. $$\bar{x}=\frac{\Sigma xf}{\Sigma f}=\frac{(454\cdot 0.2)+(240\cdot 0.4)+(240\cdot 1.1)+(219\cdot 0.9)+(102\cdot 0.8)}{454+240+240+219+102}=0{,}59$$ აშშ დოლარი

მაშასადამე, ამ პერიოდში საშუალო ფასი შემცირდა 0,75 აშშ დოლარიდან 0,59 აშშ დოლარამდე ანუ 21,2%-ით. ეს მაშინ, როცა თითოეული დასახელების საქონელზეც ფასები შემცირდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საგარეო ვაჭრობაში, სწორი ფისკალური პოლიტიკაა გატარებული.

საბაჟო სტატისტიკაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად აგებულ უნდა იქნეს ცვალებადი, სტრუქტურული და ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსები.

ამ ინდექსების გასაანგარიშებლად საჭიროა დავადგინოთ საექსპორტო საქონლის სტრუქტურა საბაზისო და საანგარიშო წლებში. საბაზისო წელს. 2014 წელს "აზოტოვან სასუქებს" ეჭირა სასაქონლო სტრუქტურაში 41,2%, "ნედლ ნავთობს" 5,2%, ,,სპილენძის მადნებს და კონცენტრატებს" ეჭირა სასაქონლო სტრუქტურაში 16,6%, "ფეროშენადნობებს" 23,9%, ხოლო ,,მინ-

ერალურ და მტკნარ წყლებს“ 13,1%. საანგარიშო, 2015 წლის შესაბამისი მაჩვენებლებია 36,2%; 19,1%; 19,1%; 17,5% და 8,1%.

საბაზისო წლის ხვედრითი წილი აღვნიშნოთ $\omega_0$ -თი, ხოლო საანგარიშო პერიოდის კი $\omega_1$ -ით და წარმოვადგინოთ მონაცემები ცხრილის სახით:

ცხრილი 3

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეული [18]
(წილისა და ერთეულის ფასის მიხედვით)

| საქონლის დასახელება ექსპორტში | 2014 | | 2015 | |
|---|---|---|---|---|
| | ხვედრითი წილი ($\omega_0$) | ერთეულის ფასი ($p_0$) | ხვედრითი წილი ($\omega_1$) | ერთეულის ფასი ($p_1$) |
| აზოტოვანი სასუქები | 0.41 | 0.3 | 0.36 | 0.2 |
| ნავთობი ნედლი | 0.05 | 0.6 | 0.19 | 0.4 |
| სპილენძის მადნები და კონცენტრატები | 0.17 | 1.3 | 0.19 | 1.1 |
| ფეროშენადნობები | 0.24 | 1.1 | 0.17 | 0.9 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 0.13 | 0.9 | 0.08 | 0.8 |

ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი ასახავს საექსპორტო საქონელბრუნვაზე ორივე ფაქტორის (სასაქონლო სტრუქტურის და ფასების) ერთდროულ გავლენას და აიგება შემდეგნაირად:

$$I = \frac{\Sigma\omega_1 p_1}{\Sigma\omega_0 p_0}$$

სადაც $\omega_1$ და $\omega_0$ - სასაქონლო სტრუქტურაში თითოეული საექსპორტო სახის საქონლის ხვედრითი წილია შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო წლებში გამოსახული კოეფიციენტის სახით, ხოლო $p_1$ და $p_0$ საქონლის ერთეულის ფასებია საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში. ჩვენი მონაცემებით ის შეადგენს:

$$I = \frac{\Sigma\omega_1 p_1}{\Sigma\omega_0 p_0} = \frac{(0{,}36\cdot 0{,}2)+(0{,}19\cdot 0{,}4)+(0{,}19\cdot 1{,}1)+(0{,}17\cdot 0{,}9)+(0{,}08\cdot 0{,}8)}{(0{,}41\cdot 0.3)+(0{,}05\cdot 0{,}6)+(0{,}17\cdot 1{,}3)+(0{,}24\cdot 1{,}1)+(0{,}13\cdot 0{,}9)} = 1{,}69$$

შეადგენს 1,69-ს ანუ ის გაიზარდა 69%-ით. აღნიშნული გამოწვეულია ნედლი ნავთობის ხვედრითი წილის მ ნიშვნელოვნად გაზრდით.

მეორე ინდექსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არის ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი, რომელმაც უნდა გაზომოს საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობა, მხოლოდ ფასების ცვალებადობის მიხედვით.

$$I = \frac{\Sigma\omega_1 p_1}{\Sigma\omega_1 p_0}$$

$$I = \frac{\Sigma\omega_1 p_1}{\Sigma\omega_1 p_0} = \frac{(0{,}36\cdot 0{,}2)+(0{,}19\cdot 0{,}4)+(0{,}19\cdot 1{,}1)+(0{,}17\cdot 0{,}9)+(0{,}08\cdot 0{,}8)}{(0{,}36\cdot 0.3)+(0{,}19\cdot 0{,}6)+(0{,}19\cdot 1{,}3)+(0{,}17\cdot 1{,}1)+(0{,}08\cdot 0{,}9)} = 1{,}77$$

აქ ჩანს, რომ ცალკეულ საქონელზე ფასების შემცირებამ საანალიზო პერიოდში, საშუალო ფასიც შეამცირა.

და ბოლოს, სტრუქტურული ძვრების ინდექსი, რომელიც ზომავს საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობაზე ცალკეული საქონლის ხვედრითი წილის ცვალებადობის გავლენას გაიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\Sigma \omega_1 p_0}{\Sigma \omega_0 p_0}$$

$$I = \frac{\Sigma \omega_1 p_0}{\Sigma \omega_0 p_0} = \frac{(0{,}36 \cdot 0{,}3) + (0{,}19 \cdot 0{,}6) + (0{,}19 \cdot 1{,}3) + (0{,}17 \cdot 1{,}1) + (0{,}08 \cdot 0{,}9)}{(0{,}41 \cdot 0.3) + (0{,}05 \cdot 0{,}6) + (0{,}17 \cdot 1{,}3) + (0{,}24 \cdot 1{,}1) + (0{,}13 \cdot 0{,}9)} = 0{,}99$$

აქ ჩანს, რომ ფასების უცვლელობის პირობებში საშუალო ფასი შემცირდა. ეს გამოიწვია ფეროშენადნობების ხვედრითი წილის შემცირებამ.

ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსების გაანგარიშება საბაჟო სტატისტიკაში ვაჭრობის პირობების ინდექსის აგების საშუალებას იძლევა, რომლის ფორმალიზებული გამოსახულება შემდეგი სახისაა:

$$I = \frac{I_{p(\text{ექსპორტი})}}{I_{p(\text{იმპორტი})}}$$

სადაც $I$ - ვაჭრობის პირობების ინდექსია, რომელიც გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდის ვაჭრობის პირობებს საბაზისოსთან შედარებით (თუ ის ერთის ტოლია, მაშინ ვამბობთ, რომ საანგარიშო პერიოდში ვაჭრობის პირობები იგივეა, რაც იყო საბაზისო პერიოდში, ხოლო თუ ერთზე მეტია, მაშინ ეს პირობები გაუმჯობესებულია, თუ ნაკლები - გაუარესებულია);

$I_{p(\text{ექსპორტი})}$ - საექსპორტო საქონლის საშუალო ფასის ინდექსია;

$I_{p(\text{იმპორტი})}$ - საიმპორტო საქონლის საშუალო ფასის ინდექსი.

ვაჭრობის პირობების ინდექსის აგება დღესაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირდაპირი ფორმით, ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით ვაჭრობის პირობების ინდექსის გაანგარიშება ვე ხდება.ამის მიზეზი არის ის, რომ ექსპორტის ფასების ინდექსის გაანგარიშება ხდება 2014 წლიდან, ხოლო იმპორტის ფასების ინდექსი პირველად გაანგარიშებულ და გამოქვეყნებულ იქნა 2017 წელს. (იანვარში). ამიტომ ვაჭრობის პირობების ინდექსის გასაანგარიშებლად იმპორტის ფასების ინდექსის მაგივრად გამოვიყენეთ CPI სამეწარმეო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2015 წელს წინა, საბაზისო 2014 წლთან შედარებით წელი) სამეწარმეო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე 2,2%-ით გაიზარდა და 102,2% შეადგინა, ხოლო ქსპორტის ფასების ინდექსი 12,3%-ით გაიზარდა და 112,3%-ის დონეზე დაფიქსირდა. ამის გათვალისწინებით, ვაჭრობის პირობების ინდექსი გამოვიდა 109,9%. რადგან ვაჭრობის პირობების ინდექსი გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდის ვაჭრობის პირობების ცვლილებას საბაზისოსთან შედარებით, კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოეფიციენტის ერთზე მეტობის პირობებში საანგარიშო პერიოდში, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ვაჭრობის პირობები გაუმჯობესებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი, ბ. კუხიანიძე–ახვლედია ნ., საბაჟო სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში. თბ., 2002.

2. კუხიანიძე–ახვლედიანი ნ., საბაჟო სტატისტიკა. ქუთაისი 2014.

3. ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა, თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, „საუნჯე“, თბ., 2009.

4. გაბიძაშვილი ბ.ს., ფისკალური სტატისტიკა. შპს „ატლასი“, თბ., 2000.

5. გაბიძაშვილი ბ.ს., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011.

6. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ იორკი, აშშ 2004.

7. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ იორკი, აშშ 2011.

8. ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო საქმის თეორია. ,პოლიგრაფი”, თბ., 2009.

9. ძებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბ., 2012.

10. jgerenaia Ee, sabaJo saqmis tenologiis safuZvlebi. Tb.,2002.

11. Бондаренко А.В. Вопросы информационного взаимодействия участников ВЭД и уполномоченных государственных органов. учебное пособие/ М.: издательство Российской Таможенной Академии, 2014. – 643 с.

12. Intarnational Merchandnise Trade Statistics. Compilers Manual. New York. 2004.

13. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf.

14. Статистика международной торговли товарами: концепции и определения, 2010 год [Электронный ресурс].– Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011. – URL: http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/SeriesM_52rev3r.pdf.

15. Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год [Электронный ресурс]. - Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011.

16. Терехов В.А. Таможенная статистика в условиях функционирования Таможенного союза. учебное пособие/ М.: Юрайт, 2013. с.359.

17. http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/seriesM_86Rev1r.pdf.

18. www.geostat.ge.


## The specifics of using Index methods in Customs Statistics


**Meri Daushvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PHD Student

E mail: mdaushvili@geostat.ge



Production of Accurate customs statistics has a great importance for government regulation of economic processes in the country, which is transforming and turns into completed data based on the changes and developments in customs. In terms of progressing Customs processes and it's effects in the area and time, it becomes important to evaluate this changes for creating and analyzing Customs Index in the country.

# ქალთა ჩართულობის პრობლემები სამხედრო სამსახურების მართვაში



ელენე გრატიაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი;
ელ. ფოსტა: egratiashvili@yahoo.com

*სტატია ეხება გენდერული საკითხების მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებით შეიარაღებულ ძალებში არსებულ პრობლემებს. ეს პრობლემებია: მამაკაცთა შეხედულება შეიარაღებულ ძალებში ქალთა ჩართულობაზე; სამხედრო საქმის სირთულე; სამხედრო განათლების საკითხები; საზოგადოებრივი აზრი და სხვ.*

*გენდერული საკითხების გათვალისწინება ხელს უწყობს შეიარაღებული ძალებში ქალებისა და მამაკაცების პოტენციალის გამოყენებას, ზრდის შეიარაღებული ძალების უსაფრთხოებასა და მის ეფექტიანობას.*

*მრავალფეროვნება სამხედრო სფეროში არის კომპლექსური საკითხი როგორც აზრობრივად, ასევე პრაქტიკული და მენეჯერული მნიშვნელობითაც. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ გამოწვევას ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კუთხით, რის წინაშეც დგანან სამხედრო ლიდერები ბოლო ათეული წლების განმავლობაში.*

*არსებული ბარიერების მსხვრევა, შესაძლებელია უპირველეს ყოვლისა სწორი მენეჯმენტით. ხელმძღვანელობამ ხელი უნდა შეუწყოს შეიარაღებულ ძალებში გენდერული თანასწორობის დაცვას და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.*

ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც გენდერული თანასწორობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, როდესაც საკითხი ეხება განათლებას, დასაქმებას, შემოსავალს, სამსახურეობრივი პოზიციების გადანაწილებას და საზოგადოების დამოკიდებულებას – კაცებს უპირატესი პოზიციები უკავიათ.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქით – დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

რაც უფრო მეტი ქალი იკავებს ხელმძღვანელის პოზიციას მით უფრო ხშირად ისმის კითხვები: რამდენად განსხვავებულად მართავენ ქალები ორგანიზაციას? ქალი ხელმძღვანელები მეტად ეფექტიანები არიან საქმიანობაში თუ მამაკაცები? ხშირად ამტკიცებენ, რომ ხელმძღვანელობის სტილებს შორის გენდერული განსხვავებები მართლაც არსებობს და ქალთა მმართველობა თანამედროვე საზოგადოებაში უფრო ეფექტიანია. თუმცა, არსებობს საპირისპირო მოსაზრებებიც. მაშასადამე, არა მხოლოდ საზოგადოების წევრთა, არამედ თვით მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია.

ისტორიულად, ბევრ ადამიანს სჯერა, რომ ხელმძღვანელობა ტრადიციულად მამაკაცის საქმიანობაა. ჯუდის კოლბმა თავის სტატიაში განაცხადა, რომ „კანტერის კვლევის მიხედვით, თუ ქალები ორგანიზაციაში უნდა გამოჩნდნენ როგორც ლიდერები, მნიშვნელოვანია რომ ისინი აღქმულ იქნენ ინდივიდუალებად, ვისაც შეუძლია სხვებზე ზეგავლენის მოხდენა ან მათი მოტივაციის ამაღლება.“ [ 1, გვ. 370 ].

1991 წელს შიმანოფის და ჯენკინსის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა,რომ ქალებისა და მამაკაცების ხელმძღვანელობის ქცევებს შორის არის უფრო მეტი მსგავსება, ვიდრე განსხვავება და ისინი ორივე თანაბრად ეფექტიანები არიან. თუმცა მაინც ნაკლებად მოსალოდნელია ქალების ლიდერებად არჩევა. ამასთან ლიდერობის იგივე ქცევები უფრო დადებითადაა შეფასებული როდესაც საქმე ეხება მამრობით სქესს და არა მდედრობითს. [1, გვ. 371].

უამრავი კვლევაა ჩატარებული იმის დასადგენად, თუ როგორ აღიქვამს პიროვნება თავს, მამრობით და მდედრობით სქესთან კავშირში. 1990 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მდედრობითი სქესის სტუდენტები თავიანთ თავში უფრო მეტად მამაკაცური თვისებებს ხედავდნენ ვიდრე ქალურ თვისებებს. ამ კვლევის შედეგები შეიძლება მიანიშნებდეს, რომ არა ბიოლოგიური სქესი, არამედ მამაკაცური როლის დამახასიათებელი თვისებები შეიძლება იყოს ლიდერობასთან დაკავშირებული გენდერის გადამწყვეტი ასპექტი . [1, გვ.374].

ბოლო დროს „გენდერი" მნიშვნელოვანი ტერმინი გახდა სამხედრო წრეებშიც. სხვადასხვა სახელმწიფოში, შეიარაღებული ძალების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, რომ დისლოკაციის ადგილებზე ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობების მიზნით, საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებლებში ქალებისა და მამაკაცების სხვადასხვა როლისა და საჭიროების გაცნობიერება. ამის მიღწევა კი შეუძლებელია გენდერული საკითხების გადაჭრის გარეშე. ბევრ ქვეყანაში გააცნობიერეს, რომ სამხედროებს უფრო ეფექტურად შეუძლიათ მისიის მიზნების მიღწევა სხვადასხვა სქესის პერსონალით დაკომპლექტებული შერეული კონტიგენტის მეშვეობით. ამიტომაც, შეიარაღებული ძალები ცდილობენ, რომ პირადი შემადგენლობა უფრო მეტი ქალით დააკომპლექტონ, შეინარჩუნონ ისინი თავიანთ რიგებში და შეუქმნან კარიერული ზრდის საშუალება, რაც ასევე, ხელს უწყობს მორალური სულისკვეთების ამაღლებას და შეიარაღებულ ძალებში ძალადობის აღმოფხვრას.

მრავალფეროვან შეიარაღებულ ძალებს აქვთ უნარებისა და გამოცდილების ფართე დიაპაზონი, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომელნიც მრავლადაა თავდაცვის სფეროში. ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ შეიარაღებული ძალები უნდა იყოს იმ საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც იგი ემსახურება. [2 ]

ნატოს წევრი ყველა ქვეყანა (გარდა ისლანდიისა, რომელსაც არ ყავს შეიარაღებული ძალები) იღებენ ქალებს თავიანთ რიგებში, თუმცა 7 ქვეყანა კვლავ ზღუდავს ქალთა სრულ წვდომას ყველა პოზიციაზე. ის პოზიციები, რომლებიც არ არის ქალთათვის ხელმისაწვდომი, მოიცავს საბრძოლო როლებს და პოზიციებს წყალქვეშა ნავებზე.

1999-2013 წლებში ნატოს წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს ფოკუსირება შეიარაღებულ ძალებში ქალთა რეკრუტირებისა და მათი შენარჩუნების პოლიტიკაზე. 1999 წლისთვის ნატოს წევრი ქვეყნების მხოლოდ 26% უჭერდა მხარს შეიარაღებულ ძალებშიქალთა და მამაკაცთათვის შესვლის თანაბარ პროცესებს (მაგალითად ფიზიკური ტესტები). 2013 წლისთვის ეს რიცხვი 93%-მდე გაიზარდა. ასევე დადებითი მოვლენა იყო ისეთი პოზიციებისა თუ დეპარტამენტების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობდა გენდერულ ინტეგრაციას შეიარაღებულ ძალებში. [ 3, ]

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გენდერული პერსპექტივა და გენდერული საკითხების მოგვარება მისიის წარმატებასთან ერთად ზრდის საბრძოლო ეფექტიანობასაც. ბოლო წლების მანძილზე ნატომ წარმატებით გადადგა ნაბიჯები სამხედრო ოპერაციებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით. 2013 წლისთვის, ნატოს წევრი ქვეყნების 75%-მა ახსენა გენდერული ტრენინგი თავიანთ ეროვნულ მოხსენებებში, მაშინ როცა 2002 წელს ეს ციფრი 11 %-ს შეადგენდა. ასევე დინამიური ზრდა შეიმჩნევა გენდერული მრჩევლების რაოდენობაშიც. 2013 წელს ნატოს წევრი ქვეყნების 43%-ის მოხსენებებში აღნიშნულ იქნა, რომ ჰყავთ მრჩევლები გენდერულ საკითხებში. [ 3 ]

2013 წლისთვის ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ქალები 10,5 %-ს შეადგენდნენ, მაშინ როცა 1999 წელს მათი რიცხვი იყო 7,14%. ქვეყნები, რომელთაც შეიარაღებულ ძალებში ქალთა ყველაზე მაღალი რაოდენობით გამოირჩევიან არიან უნგრეთი (20.3%), ა.შ.შ (18.0 %) და ლატვია (16,5%).

კვლევის ერთ-ერთი საინტერესო შედეგი იყო ის, რომ როდესაც ახალი ქვეყანა უერთდებოდა ნატოს, ნატოს წევრობა დადებით ეფექტს ახდენდა მომავალ გენდერულ ინტეგრაციაზე. მაგალითად, 2004 წელს, როდესაც ნატომ თავის შემადგენლობაში მიიღო 7 ახალი ქვეყანა, ქვეყნების მთლიანმა პროცენტულობა განდერთან დაკავშირებული რეკრუტირების კუთხით შემცირდა, თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ მთლიანი პროცენტული რაოდენობა კვლავ გაიზარდა. ამან შექმნა ვარაუდი,

რომ ნატოს წევრობამ დადებითი ეფექტი მოახდინა ნატოში ახალგაწევრიანებულ ქვეყნებში გენდერულ პოლიტიკაზე.

რაც შეეხება საქართველოს, 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან საერთაშორისო ვალდებულებების უკეთშესრულებისდასაქართველოსკონსტიტუციის მე-14 მუხლის განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი საკანომდებლო დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას. ბოლო დროს მიღებულ კანონებსა და საკანონმდებლო დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია (2006 წ.), კანონები „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" (2006 წ.), „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ" (2006 წ.), „გენდერული თანასწორობის შესახებ" (2010 წ.) და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (2014 წ.). [ 4 ].

1994 წელს საქართველო დათქმების გარეშე შეუერთდა გაეროს „კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (CEDAW), ხოლო 2002 წელს კონვენციის დამატებით ოქმს. 1995 წელს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია მონაწილეობდა „პეკინის დეკლარაციის და მოქმედებათა პლატფორმის" შემუშავებაში. 2014 წლის 19 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციას (შემდგომში სტამბულის კონვენცია). [ 4 ].

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და "საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის" განხორციელების სამოქმედო გეგმა. [5 ].

შემუშავებული კონცეფციის თანახმად "საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების ეფექტიანი განხორციელება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. " [ 5 ].

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ", რომლის მთავარი მიზნებია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმანაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას. [ 6 ].

კანონში აღიარებულია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იგი არეგულირებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს შრომითი ურთიერთობისას, სადაც ცალსახადაა მითითებული, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის." [ 6, თავი მე-2, მუხლი მე-6, პუნქტი მე-2 ].

2014 წლის 29 აპრილს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის #544 ბრძანებით დამტკიცდა "თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია", [7], რომელიც ძალზე მნიშვნელოვან სამოქმედო დოკუმენტს წარმოადგენს; სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი მიმართულება – გენდერული თანასწორობის პირობების შექმნა, დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. გენდერული თანასწორობა განხილულია, როგორც ადამიანის უფლებათა ნაწილი.

ტრადიციულად ქალების რაოდენობა შეიარაღებულ ძალებში არათანაბრად არიან წარმოდგენილნი. (იხ. ცხრილი 1). შედარებით ნაკლები რაოდენობის ქალები არიან ზედა რგოლებში, ხოლო შედარებით მეტი რაოდენობაა ლოჯისტიკის, ადმინისტრაციულ და სამედიცინო პოზიციებზე. [8]. დღესდღეობით, კვლავ რჩება ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს შეიარაღებულ ძალებში სრულფასოვან მონაწილეობაში. ეს დაბრკოლებებია, მაგალითად სექსუალური შევიწროვება, ქალების კონკრეტულ ქვედანაყოფებში დანიშვნაზე უარის თქმა, ასევე ისეთი სამუშაო პირობები, რომლებიც შეუძლებელს ხდის პროფესიულად დაწინაურდეს სამხედრო ქალბატონი, რომელიც მცირეწლოვან ბავშვებს ზრდის. ხშირ შემთხვევაში სამხედრო სფეროში არსებული ბარიერები ქალთა დაწინაურების კუთხით, ასევე უარყოფითად მოქმედებს შეიარაღებულ ძალებში მრავალფეროვნების მიღწევასა და დაცვაზეც.

ცხრილი 1.

ქალები ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. ქვეყნების მიხედვით 2013 წელს [ 9, გვ. 26 ].

| ქვეყანა | % |
|---|---|
| ალბანეთი | 14,4 |
| ბელგია | 7,6 |
| ბულგარეთი | 14,6 |
| კანადა | 14,1 |
| ხორვატია | 9,4 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 13,9 |
| დანია | 5,9 |
| ესტონეთი | 11,2 |
| საფრანგეთი | 13,5 |
| გერმანია | 10,1 |
| საბერძნეთი | 11,1 |
| უნგრეთი | 20,3 |
| იტალია | 4,0 |
| ლატვია | 16,5 |
| ლიტვა | 9.8 |
| ლუქსემბურგი | 5,3 |
| ნიდერლანდები | 9,0 |
| ნორვეგია | 9,7 |
| პოლონეთი | 2,8 |
| პორტუგალია | 12,0 |
| რუმინეთი | 5,2 |
| სლოვაკეთი | 9,2 |
| სლოვენია | 13,6 |
| ესპანეთი | 12,4 |
| თურქეთი | 0,9 |
| გაერთიანებული სამეფო | 9,7 |
| აშშ | 18,0 |

დღესდღეობით გენდერი კვლავ რჩება ქალებისათვის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად სამხედრო სფეროში ხელმძღვანელის პოზიციებზე. ამ მხრივ საინტერესოა უმაღლეს განათლების რეზერვის ოფიცერთა ტრენინგის კორპუსის პროგრამები. ჩატარდა მრავალი კვლევა მამაკაცი სამხედროებით დომინირებულ გარემოში ქალი სამხედრო მოსამსახურეების ინტეგრაციის პრობლემების შესასწავლად. ჰერბერტის თანახმად, ის ფაქტი, რომ ქალ ჯარისკაცებს უწევთ შეუთავსონ ერთმანეთს ქალურობა, რათა აღქმულნი იყვნენ ქალებად და ამავდროულად კაცური ქცევები, რათა მიჩნეულ იყვნენ სამხედრო ლიდერებად - ავითარებს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქალები განიხილებიან როგორც ნაკლებად კომპეტენტური ოფიცრები. ქალი სამხედროები ხშირად თვლიან, რომ ისინი თავიანთ მამაკაც სამხედრო კოლეგებთან შედარებით ორჯერ მეტს მუშაობენ, თუმცა გენდერი მუდამ ხაზს უსვამს ამ უკანასკნელთა მიღწევებსა და ხელმძღვანელობის უნარს. [10 ].

საზოგადოდ, გენდერთან და სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურაში ქალები მიჩნეულნი არიან, როგორც იშვიათი და ნაკლებად კონკურენტული ლიდერები. მაჰანის აზრით, ეს არც არის გასაკვირი, რადგან დასავლური კულტურა ხაზს უსვამს მამაკაცთა და ქალთა როლის განსხვავებულობას დაბადებიდანვე. მამაკაცთა და ქალთა როლების შესახებ მოსაზრება ისე ღრმადაა ჩაბეჭდილი დასავლურ კულტურაში, რომ სამეცნიერო საზოგადოებაც კი კამათობს იმის შესახებ, ბუნებაა უფრო მთავარი, თუ აღზრდა -განათლება.

ლარვუდის, გლასერისა და მაკდონალდსის კვლევამ წინასწარ ივარაუდა, რომ რეზერვის

ოფიცერთა ტრენინგის კორპუსში შემსვლელი მამაკაცები შეაფასებდნენ ქალებს როგორც საბრძოლო სპეციალობებზე შესვლისათვის ნაკლები უნარის მქონედ. მაშინ როცა იგივე კორპუსში მყოფი მამაკაცებისთვის, რომელთაც ჰქონდათ ქალებთან ერთად მუშაობის მეტი გამოცდილება, უფრო მისაღები იყვნენ.[12] ავტორებმა კვლევის პირველ ნაწილში მონაწილეებს სთხოვეს შეეფასებინათ შემდეგი შეკითხვები: 1) მათი აზრით, ქალები ისეთივე ჭკვიანები არიან თუ არა როგორც მამაკაცები; 2) ენდობოდნენ თუ არა ქალებს სამეთაურო პოზიციაზე იგივე დოზით, როგორც მამაკაცებს. კვლევის 1 ნაწილის შედეგებმა ცხადყო, რომ: 1) მამაკაცი სამხედროები ნაკლებად ენდობიან ქალებს ლიდერის პოზიციაზე; 2) მამაკაცები გენდერ-ინტეგრირებულ კომპანიებში ოდნავ მეტად არიან დარწმუნებულნი ქალთა ლიდერობის პოტენციალში; 3) რაც უფრო მეტ ხანს ურთიერთობენ მამაკაცი სამხედროები ქალ სამხედროებთან მით უფრო მეტად ნეგატიური დამოკიდებულება ექმნებათ მათ მიმართ; 4) რაც უფრო მეტ ხანს რჩებოდნენ ქალი სამხედროები ამ ზანაკში, ნაკლებად თავდაჯერებულად გრძნობდნენ თავს; 5) იმ მამაკაცი სამხედროებისათვის, ვისაც ყავს მდედრობითი სქესის დედმამიშვილი, უფრო მისაღებია ქალი ხელმძღვანელები, ვიდრე მათთვის, ვისაც არ ყავთ.

კვლევის მეორე ნაწილში მონაწილე ყველა სამხედრო იყო რეზერვის ოფიცერთა ტრენინგის კორპუსში შერეული სქესის სწავლების მეოთხე ან დამამთავრებელ კურსზე. გამოკითხულ იქნა მამაკაცი და ქალი კადეტები მათი ოჯახური ბიოგრაფიის შესახებ, სასწავლებელში მიღებულ გამოცდილებაზე და იმაზე, თუ რა დამოკიდებულება გააჩნდათ ქალების მიმართ როგორც მათ ხელმძღვანელ, ასევე დაქვემდებარებულ პოზიციებზე. [12 , გვ 367 ]. მონაწილეებს სთხოვეს პასუხი გაეცათ ისეთ კითხვებზე, როგორიცაა - მათი აზრით, ქალი სამხედროები იქნებოდნენ თუ არა ისეთივე ეფექტიანი ლიდერები, როგორც მამაკაცები, როგორ იგრძნობდნენ თავს ქალი ხელმძღვანელი რომ ყოლოდათ. კვლევის მეორე ნაწილმა დაადგინა, რომ: 1) ქალები კაცებზე უფრო მეტად თავდაჯერებულნი არიან მდედრობითი სქესის ხელმძღვანელობის დროს; 2) ქალი სამხედროების ხელმძღვანელობის შემთხვევაში, არ უმჯობესდება მამაკაცი სამხედროების ნდობა ქალი ლიდერებისადმი; და 3) მამაკაცები ზევრად უფრო ნეგატიურად არიან განწყობილნი ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფი ქალების მიმართ, ვიდრე დაქვემდებარებულ პოზიციებზე მყოფთა მიმართ.

ამრიგად, იმ წინააღმდეგობების დაძლევაში, რომლებიც ხელს უშლის ქალთა სრულ ჩართულობას შეიარაღებულ ძალებში, პრიორიტეტი უნდა იყოს გენდერული დისკრიმინაციის, შევიწროვებისა და ბულინგის პრევენცია. რაც მთავარია უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მთლიანი პერსონალი, მამაკაცებიც და ქალებიც, იმსახურონ ჯანსაღ, უსაფრთხო და თავაზიან გარემოში, სადაც მათი უფლებები დაცული იქნება. [ 2 ].

ამ ბარიერების მსხვრევას სჭირდება უპირველეს ყოვლისა კარგი მენეჯმენტი. ზედა რგოლის ხელმძღვანელებისგან უნდა მოდიოდეს გზავნილი, სადაც გარკვევითაა დაფიქსირებული, რომ შეიარაღებული ძალები სერიოზულად ეკიდება მრავალფეროვნების მიღწევას და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ჯარში და უნდათ განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები. [ 2 ].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kolb, Judith A. Are We Still Stereotyping Leadership? SMALL GROUP RESEARCH, Vol.28 No. 3, August 1997 p. 370 ;

2. მეგან ბასტიკი , გენდერი და საჩივრის მექანიზმები, 2015;

3. The NATO Science for Peace and Security Programme. UNSCR 1325 Reload. 1 June,2015;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი, 2014;

5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „"საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის" დამტკიცების შესახებ, 24.07.2006 https://matsne.gov.ge/ka/document/view/44014 ( ვიზიტის თარიღი 20.12.2016);

6. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 26.03 .2010 https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624 (ვიზიტის თარიღი 20.12.2016) ;

7. https://mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/pdf/gender/genderuli-Tanasworobis-strategia.pdf ;

8. DCAF პარლამენტის ომბუდსმენი ნორვეგიის შეიარაღებული ძალებისთვის. "შეიარაღებულ ძალებში გენდერთან დაკავშირებული საჩივრების პევენცია და პასუხი" ნატო-ს მოხსენება მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამის მოწინავე კვლევის ვორქშოფი, ჟენევა,18-30 აპრილი, 2015 ;

9. რეი ხუან კარლოს უნივერსიტეტი, ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისია და ავსტრალიის თავდაცვის ძალები, , UNSCR 1325 Reload, 2015, p. 26. ;

10. Herbert, M. (1998). Camoflauge isn't only for combat: Gender, sexuality, and women in the military. New York, NY: New York University Press. ;

11. Scott-Tyson, A. (2008, May 1). Woman gains silver star - and removal from combat: Case shows contradictions of Army rules. Washington Post, p. A01.;

12. Larwood, L., Glasser, E., & McDonald, R. (1980) .

## Women's Participation Problems in Military Management

Elene Gratiashvili

PhD student at St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia;
e-mail: egratiashvili@yahoo.com

This article refers to the importance of gender issues and the problems that exist in the armed forces. These problems can be: Men's perceptions about women's participation in the armed forces, difficulty of military profession, military education issues, public opinion etc.

Consideration of Gender related issues, helps Armed forces to use men's and women's potential and increases safety and effectiveness.

Diversity in the military is a complex subject, both conceptually and in terms of its more practical, managerial implications. It represents one of the most significant and difficult challenges for human resource management that military leaders have faced over the past several decades .

Breaking down these barriers requires, first and foremost, leadership. Leaders must promote gender equality, and must drive forward the necessary changes in the armed forces.

# სწრაფი ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება ევროპის ქვეყნებში



სოლომონ სონღულაშვილი
საქართველოს პარლამენტის კვლევითი
დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
599 85 87 31
email: ssonghulashvili@parliament.ge

*სწრაფი სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობის დარეგულირება ევროპის ქვეყნებმა ბოლო რამდენიმე წლის წინ განახორციელეს. აღნიშნულ ქვეყნებში ამ ორგანიზაციების რეგულირება ხორციელდება კანონებით: „სამომხმარებლო სესხების შესახებ", „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", „ვალდებულებების შესახებ და „სამოქალაქო საპროცესო კოდექსით".*

*ნაშრომში განხილულია სწრაფი სესხების გამცემი ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის, ვადაგადაცილების შემთხვევაში ჯარიმის დაკისრებისა და საჯარიმო განაკვეთის განსაზღვრის წესი, ამავე ორგანიზაციების უფლებამოვალეობები. ამავე კანონმდებლობებით განისაზღვრება სწრაფი სესხების გამცემ ორგანიზაციებზე ზედამხედველობის წესი.*

სწრაფი ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება ევროპის ქვეყნებში რამდენიმე წლის წინ განხორციელდა.

საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრის (European Center of Parliamentary Research and Documentation) მასალებზე დაყრდნობით ლიტვაში, სლოვაკეთში, სლოვენიასა და უნგრეთში ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება სამომხმარებლო სესხების შესახებ კანონით (Law on Consumer Credit). ესტონეთში აღნიშნული ორგანიზაციების რეგულირება ხდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონით (Consumer Protection Act), რეკლამის შესახებ კანონით (Advertising Act), ვალდებულებების შესახებ კანონით (Obligations Act), სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა (Civil Procedure Code) და სესხების დაცვის შესახებ კანონით (Debt Protection Act). რუმინეთში აღნიშნული ინსტიტუტების საქმიანობა რეგულირდება როგორც არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების შესახებ კანონით (Law No. 93/2009 regarding non-banking financial institutions), ასევე მთავრობის საგანგებო დადგენილებით. ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მონტენეგროში, ჩეხეთში, ალბანეთში, სერბეთსა და საბერძნეთში სწრაფი ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობა კანონმდებლობით არ რეგულირდება. აღნიშნული რეგულირების შესახებ ინფორმაცია განხილულია წინამდებარე სტატიაში, რომელშიც მოყვანილია ევროპის ექვსი ქვეყნის (ლიტვა, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, რუმინეთი და ესტონეთი) მაგალითი.

ლიტვაში 2015 წლის მონაცემებით 66 ორგანიზაცია გასცემდა სწრაფ ონლაინ სესხებს. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოკლევადიანი სამომხმარებლო დაკრედიტება (სწრაფი ონლაინ სესხები) რეგულირდება სამომხმარებლო კრედიტის შესახებ კანონის დამატებებით (Law on Consumer Credit with the amendments), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 თებერვლიდან. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთის დაწევას 200%-დან 75%-მდე. მსესხებლის მიერ ყოველდღიური სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა, რომელიც შედის სამომხმარებლო კრედიტის საერთო ღირებულებაში, არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის საერთო თანხის 0.04%-ს. სამომხმარებლო კრედიტის საერთო ღირებულება, რომელიც მოიცავს პროცენტებს, საკომისიო მოსაკრებელს და სხვა მოსაკრებლებს, რომელსაც იხდის მსესხებელი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით, არ უნდა აღემატებოდეს გაცემულ სამომხმარებლო კრედიტის თანხას, გარდა ვადაგადაცილების შემთხვევაში. ვადაგადაცილების შემთხვევაში,

ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ძირეული თანხის 0.05%-ს თითოეულ გადაცილებულ დღეზე. საჯარიმო დღეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 180 დღეს, ვადაგადაცილების დღიდან.

გამსესხებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

- მსესხებელი ინფორმირებულია ვადაგადაცილებაზე;
- ვადაგადაცილების დღეების რაოდენობა ერთ თვეზე მეტია და გადასახდელი თანხა შეადგენს დასაბრუნებელი თანხის არანაკლებ 10%-ს ან ვადაგადაცილება ხდება ზედიზედ სამი თვის განმავლობაში;
- ვადაგადაცილებული გადახდა არ არის დაფარული 14 დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მსესხებელს წერილობით ეცნობა გადახდის შესახებ.

ვადაგადაცილების შემთხვევაში ჯარიმებისა და პროცენტების დაწესება არ ხდება თუ გამსესხებლის მიერ სათანადოდ არ არის შეფასებული მსესხებლის გადახდისუნარიანობა. მსესხებლის ფინანსური ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი მდგრადი შემოსავლის 40%-ს.

იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებას, გამსესხებელი იწყებს გაცემული თანხის ამოღებას სასამართლოს მეშვეობით.

2012 წლის 1 იანვრიდან ლიტვის ეროვნული ბანკი ახორციელებს ზედამხედველობას სწრაფი სამომხმარებლო სესხების გამცემ ორგანიზაციებზე.

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲨᲘ სწრაფი ონლაინ სესხების საკითხი რეგულირდება სამომხმარებლო სესხების შესახებ კანონით (Consumer Credit Act), რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 აპრილიდან. ახალმა რეგულაციამ მეტად გამჭვირვალე გახადა სამომხმარებლოსესხებისბაზრისზედამხედველობა და ხელი შეუწყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის ამაღლებას აღნიშნულ სფეროში. აღნიშნული კანონით თითოეული არასაბანკო ორგანიზაცია ადგენს სპეციფიკურ წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ქვეყანაში მოქმედი წლიური საპროცენტო განაკვეთის (15%) (annual percentage rate (APR)), ორმაგ ოდენობას.

ვადაგადაცილების შემთხვევაში, ჯარიმის პროცენტული ოდენობა ემატება საერთო საპროცენტო განაკვეთს ვადაგადაცილების მეორე დღიდან და ჯარიმის პროცენტის ოდენობა დადგენილია მთავრობის მიერ. საჯარიმო საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება სამომხმარებლო სესხების შესახებ კანონით, რომლის მიხედვითაც მისი ოდენობა შეადგენს 8,05%-ს.

ახალი რეგულაციის ძალაში შესვლამდე, არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციები ვალდებულნი იყვნენ რეგისტრაცია გაევლოთ კრედიტორთა რეესტრში, რომელიც შედიოდა ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში. ახალი რეგულაციით კი ეროვნული ბანკი თვითონ გასცემს ლიცენზიას ასეთ ორგანიზაციებზე. ლიცენზიის მიმღები სუბიექტები ვალდებულნი არიან შეასრულონ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პირობები, რომლის მიხედვითაც სწრაფი ონლაინ სესხების გამცემ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, უნდა შექმნან სამეთვალყურეო საბჭო, უნდა გააჩნდეთ სავალდებულო საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა (500 000 ევრო). ასევე ამ ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ წესდება, რომლის შესაბამისად განისაზღვრება საოპერაციო და ადმინისტრაციული ქვედანაყოფების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, მათი შემადგენელი ერთეულები და ფუნქციები, მმართველობითი თანამდებობები და ანგარიშვალდებულებები. მათ უნდა შექმნან მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შეფასების მოქნილი სისტემა.

ახალი რეგულაციით სწრაფი ონლაინ სესხის საერთო მოცულობა 12 თვის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს 10000 ევროს.

